პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — ბომბეაში გაფიცულია 150.000 ფეიქარი.
- — განაჩენი კუტიურიეს საქმეზე.
- — 10 მაისიდან სპარსეთში გაუქმებულად ითვლება კაპიტულაციების რეჟიმი.
- — ჩემბერლენმა სასჯელი შეუმსუბუქა ო,მალის.
- — მიწისძვრა საბერძნეთში. — ამოქმედდა ჩამქრალი ვულკანი.
- — მონბლანის ქვეშ ჩამოინგრა გვირაბი. — დაიღუპა 5 მუშა.
- — უბედური შემთხვევები ინგლისის საჰაერო ფლოტში.

პარასკევი, 27 აპრილი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 97 (2140)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მნიშვნელოვანი დადგენილება

საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენ წინ წამოიჭრა მთელი რიგი სიძნელენი, რომელთა გადაულახავათ შეუძლებელია ჩვენი შემდგომი წარმატებითი წინსვლა. სახალხო მეურნეობის ზრდით გამოწვეულ ერთ-ერთ ასეთ დიდ სიძნელეს წარმოადგენს საბინაო საკითხის მოგვარება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საბჭოთა მეურნეობის არც ერთი დარგი არ არის ისე ჩამორჩენილი, როგორც საბინაო აღმშენებლობის საქმე. ამას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი საპატიო მიზეზებიც. ჯერ ერთი, მრეწველობის აღორძინების პერიოდში არ იყო საამისო პირობები, რომ სათანადოთ გვეზრუნა ახალ საბინაო მშენებლობის გაფართოებაზე. ეს მიუხედავათ იმისა, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის დროს არანაკლებ გაცვდა და დაზიანდა საბინაო ინვენტარი, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა რომელიმე დარგი.

დიდათ შეაფერხა საბინაო მშენებლობის სათანადო ტემპით გაშლა იმ საერთო ფინანსიურ ხელმოკლეობამ, რომელსაც ჩვენ განვიცდით. ყოველი თავისუფალი მანეთი პირველყოვლისა მიდიოდა მრეწველობისა, სოფლის მეურნეობის და კულტურულ საჭიროებაზე.

ამავე დროს საბინაო კრიზისი დღითი-დღე მწვავდება. და რაც უფრო წინ მივდივართ, ჩვენ ეკონომიურათ და კულტურულათ, მით უფრო საგრძნობი ხდება ის დაბრკოლებანი, რომელსაც ჰქმნის ბინის სივიწროვე.

ამ საერთო ეკონომიურ მიზეზებს თან დაერთო სხვა მიზეზებიც, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ბინის სივიწროვე. საბჭოთა ხელისუფლების სისტემა, ეს იგივე ხალხთა მართველობის სისტემაა. ჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლებამ, ცალკე სახელმწიფოებრივ აპარატის ორგანოების შექმნამ თითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში, ბუნებრივათ მიიზიდა საბჭოთა ქალაქებში ადგილობრივ მშრომელ ფენების ელემენტები, გააძლიერა საერთო ლტოლვა ქალაქისაკენ, როგორც ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრისაკენ.

ყველა ამ მიზეზებით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ საბინაო კრიზისი დღეს საბჭოთა კავშირის თითქმის თვითეულ ქალაქის და სამრეწველო პუნქტის სენს წარმოადგენს. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს.

ჩვენს წინაშე მთელი თავისი კატეგორიულობით სდგას საკითხი საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ. საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ ამ მხრივ გარკვეული დირექტივა მოგვცა. საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში უკვე შეუდგნენ გაცხოველებულ მუშაობას საბინაო აღმშენებლობისათვის. ამ მიზნით სწარმოებს სახელმწიფო საშუალებათა მობილიზაცია; ფართო ასპარეზი აქვს მიცემული საზოგადოებრივ ინიციატივას; შემოღებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეღავათები, რომელიც ჰქმნიან ხელსაყრელ პირობებს კოლექტიურ საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის. მაგრამ ეს არის მხოლოდ საკითხის ერთი მხარე.

საბინაო კრიზისს ჩვენ მარტო ახალი ბინების აშენებით, ამ უახლოესი ხანის განმავლობაში ვერ დავძლევთ. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები უკვე არსებულ საბინაო ფონდის დაცვისა და მოვლის მოწესრიგებისათვის. ამ მხრივ კი, როგორც ვიცით, ყველაფერი რიგზე არ არის. სახლის კერძო მეპატრონეები მთელ რიგ შეღავათების გამო, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა მასებს მიანიჭა ჩვენმა ხელისუფლებამ ბინით სარგებლობის დარგში, არ ზრუნავენ ბინების შეკეთებაზე და საკუთარ სახლებს მისჩერებიან, როგორც საწველ ფურს. ადგილი აქვს დაუშვებელ სპეკულიაციას ბინების სარგებლობა-გაქირავებაზე, ხოლო თვით აუცილებელ ტეხნიკურ პირობების დაცვაზე საბინაო შენობის ნორმალური ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფათ, იშვიათად ფიქრობს ვინმე.

ასეთ მდგომარეობას ჩვენ გულხელდაკრეფილი ვერ ვუყურებთ. კერძო სახლების საბინაო ფონდის ანგარიშიდან გამორიცხვა, როცა ვლაპარაკობთ საბინაო საკითხის საერთო მოგვარებაზე, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ სრულიად დროულად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი საქართველოს მთავრობის დადგენილება, მოუვლელობის გამო საცხოვრებელი სახლების მუნიციპალიზაციის შესახებ. ამიერიდან სახლის მოუვლელობისათვის შემოღებულია ქონებრივი პასუხისმგებლობა. სახლის ის პატრონი, რომელიც მხოლოდ მოგების თვალით შესჩერებია მის საკუთრებას და თავს არ იტკივებს სახლის მოვლა-შეკეთებისათვის, ჰკარგავს მესაკუთრეობის უფლებას სახლზე.

ყველამ მტკიცედ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ საბინაო კრიზისს საჭიროა ვებრძოლოთ ორი გზით: ერთი მხრივ არსებულ საცხოვრებელ ფონდის დაცვით და მეორე მხრივ ახალ საბინაო მშენებლობის კიდევ უფრო გაფართოებით. ქალაქების კომუნალურ, ადმინისტრატიულ თუ სამეურნეო ორგანოებმა ყოველნაირათ უნდა შეუწყონ ხელი საქართველოს მთავრობის დადგენილების მტკიცედ გატარებას.

მეტი ყურადღება პურის დამზადების საქმეს

ჩვენ უკვე გუშინ მივაქციეთ ყურადღება არანორმალურ მდგომარეობას პურის დამზადების საქმეში მიმდინარე თვეში. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ პურის დამზადებათა შემცირებას აპრილში. მაშინ, როდესაც პურის დამზადება თებერვლისა და მარტის განმავლობაში აღემატებოდა წარსული წლის სათანადო პერიოდის დამზადებას, აპრილის ხუთ დღიურებში ჩვენ გვაქვს ისეთი ციფრები, რომლებიც საგრძნობლად მცირეა შარშანდელთან შედარებით. პურის დამზადების თვიური გეგმა, ცხადია, ვერ სრულდება.

აპრილის თვეში პურის დამზადების შემცირების ფაქტი და გეგმის შეუსრულებლობა არ შეიძლება გამართლებულ იქნას ობიექტიურ გარემოებებზე მითითებით, როგორც მაგალითად, უქმეებია და სხ. ამით არ შეიძლება ახსნილ იქნას არც პურის დამზადების შემცირება ერთდროულად ყველა ძირითად რაიონებში და არც ის, რომ პური ნაკლები რაოდენობით მზადდება შარშანდელთან შედარებით.

ნამდვილად კი პურის დამზადების ფრონტზე ადგილი აქვს დემობილიზაციურ განწყობილებას, წინააღმდეგ პარტიისა და ცენტრალური კომიტეტის კატეგორიულ გადაწყვეტილებათა და დირექტივებისა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას ჩვენი ენერგია შესუსტებული, სანამ ჩვენი გეგმები სავსებით და მთლიანად არ იქნება შესრულებული. თავი იჩინა უდარდელობამ და ფიქრობენ, რომ რაკი ამოცანის უდიდესი ნაწილი „უმთავრესად გადაწყვეტილია", დანარჩენი ნაწილისათვის „აჩქარება არ არის საჭირო"-ო. დაუღალავი ბოლშევიკური მოქმედების, ენერგიის გამოჩენის მაგივრად, თავი იჩინა უმოქმედობის ტენდენციამ. იმის მაგივრად, რომ აქტიურად ვიბრძოლოთ ყოველგვარ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სრულ გულგრილობას იჩენენ ამ საქმეში და არ იღებენ ზეგავლენის ზომებს სოფლის ზედაფენების მიმართ. დამამზადებელი ორგანოები დაკმაყოფილდნენ წარსული პერიოდის მიღწევებით, ხოლო პარტორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მათ უმოქმედობას. ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა პარტორგანიზაციების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ ღონისძიებათა ნაწილი, რომელიც საგანგებო ხასიათს ატარებდა, შეიძლება მოხსნილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „მოსპობილ იქნება დაბრკოლებანი პურის დამზადების საქმეში" და რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევასუსტოთ კლასიურ ზეგავლენის ზომები კულაკური ფენების მიმართ, რომლებიც შეგნებულად შლიან პურის დამზადების გეგმებს და პროვოკაციას ეწევიან გლეხთა მასებში.

ყოვლად დაუშვებელია უმოქმედობა პურის დამზადების ფრონტზე უკანასკნელ თვეებსა და კვირეებში. თუ დრო ცოტა დაგვრჩა, თუ დამზადებათა უმეტესი ნაწილი უკვე შევასრულეთ, ეს მოითხოვს ჩვენგან იმას, რომ კიდევ მეტად მივაქციოთ ყურადღება ამ საქმეს, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და ენერგია, და არა დავმშვიდდეთ, არა მივეცეთ უმოქმედობას და უბრძოლველად დავუთმოთ ბრძოლის ველი კლასიურ მოწინააღმდეგეს.

პარტიის ყოველი წევრისათვის ცხადი უნდა იყოს ის, თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ პურის დამზადების კამპანიის უკანასკნელ პერიოდში. ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს პურის დამზადების გეგმის აუცილებლად შესრულება სავსებით. უმოქმედობის და დემობილიზაციის განწყობილება აუცილებლად უნდა მოვსპოთ დაუყოვნებლივ და აქტიურად უნდა შევუდგეთ მუშაობას პურის დამზადების ფრონტზე. მთელი მუშაობის ქვა-კუთხედს უნდა შეადგენდეს რევოლიუციონურ-პროლეტარული დისციპლინა.

პურის დამზადების თვიური გეგმების სისწორით შესრულება მაისისა და ივნისის განმავლობაში, პარტიის მასიური მუშაობის განუწყვეტლივ გაფართოება სოფლად და არა შენელება, პარტიული მასების მობილიზაცია, პურის დამამზადებელთა მთლიანი ფრონტის სასტიკად დაცვა, სამრეწველო საქონლის სისწორით განაწილება, დისციპლინის მტკიცედ დაცვა დამზადების დარგში, პასუხისმგებლობის დაწესება დირექტივების შეუსრულებლობისათვის, — ყოველივე ეს აუცილებლად განხორციელებულ იქნეს პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. ზეგავლენის ზომები კულაკებისა და კერძო ვაჭართა მიმართ, რომლებიც ბოროტი განზრახვით ეწევიან სპეკულიაციას, გაძლიერებულ უნდა იქნას. კულაკებს და სპეკულიანტებს უნდა დავსცხოთ რევოლიუციონური საბჭოთა კანონიერების ზომებით და კანონის დამრღვეველთა წინააღმდეგ გამოყენებულ უნდა იქნას მე-107 მუხლი; ამასთანავე აუცილებლად უნდა გამოსწორდეს არსებული ნაკლოვანებანი და არ უნდა იქნას დაშვებული მათი განმეორების შესაძლებლობა.

ჩვენ უნდა ავამოქმედოთ სოფლის ღარიბ-საშუალო ფენები და მუშაობაში უნდა ჩავაბათ ღარიბ-საშუალო გლეხთა კოოპერატიული და საბჭოთა საზოგადოებრიობა (კოოპერატიულ კრებების, სასოფლო კრებების გადაწყვეტილებანი, პურის კოლექტიურად ჩაბარება). ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავაფართოვოთ კამპანია თვითდაბეგვრისა და საგლეხო სესხის გავრცელებისათვის და კამპანია იმისათვის, რომ გლეხობის წვრილი თანხები შეგროვდეს კოოპერატიული და საკრედიტო დაწესებულებათა ხაზით. ფართოდ და დაწვრილებით უნდა განვუმარტოთ გლეხთა ძირითად მასებს ის, თუ რა დიდ თანხებს სდებს საბჭოთა მთავრობა სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვნად არის გადიდებული სახელმწიფოს დახმარება სოფლისათვის საგაზაფხულო თესვის დარგში.

პარტიულმა პრესამ ადგილობრივ ერთი წუთითაც არ უნდა შეასუსტოს თავისი ყურადღება პურის დამზადების საქმისადმი, რომელიც წარმოადგენს არა „წარსულ" ფრონტს, არამედ მიმდინარე დღის აქტუალურ ფრონტს. პასივობა, მაჩანჩალობა და უმოქმედობა ყოვლად დაუშვებელია.

პურის დამზადების გეგმა აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული. დამამზადებლები და პარტორგანიზაციები უნდა ამოქმედნენ და უდიდესი სიმტკიცე და ენერგია გამოიჩინონ პურის დამზადების უკანასკნელ კვირაში. აპრილის ხუთ დღიურების გაკვეთილები უნდა გავითვალისწინოთ და დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება დაჩქარებით გამოვასწოროთ.

„პრავდა", 26 აპრილი.

ნანკინის ჯარები განაგრძობენ წინსვლას

შანდუნში ბრძოლის დროს მოკლული იქნა 300 რუსი თეთრგვარდიელი

გამწვავდა იაპონია-ჩინეთის კონფლიქტი მანჯურიაში

ხელმოწერილია სავაჭრო ხელშეკრულება ამერიკასა და ლატვიას შორის

მდგომარეობა ჩინეთში

ამერიკელების ევაკუაცია

ვაშინგტონი, 25 აპრილი. ამერიკის კონსული ცზინანფუდან (შანდუნის პროვინციის მთავარი ქალაქი) იუწყება, რომ ამერიკელების უმრავლესობა რჩება ქალაქში და მხოლოდ ქალების ნაწილი ბავშვებით სტოვებს ქალაქს. (ადს).

ამერიკელი მისიონერის მოკვლა

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. „ასოშიეტედ პრესის" კორესპონდენტის ცნობით, ჩინელმა ჯარისკაცებმა ცზინინში მოკლა ამერიკელი მისიონერი სეიმორი. (ადს).

სამხრეთის ჯარების გამარჯვება

შანხაი, 25 აპრილი. გომინის სააგენტოს ცნობით, სამხრეთელების ჯარებმა 24 აპრილს დაიკავეს შანდუნის პროვინციის მთავარი ქალაქი ცზიანინი. სუნ-ჩუან-ფანის კონტრ-იერიშები სამხრეთელებმა მოიგერიეს.

„ჩაინა ტაიმს"-ის ცნობით, ბრძოლის დროს ტაიანის რაიონში მოჰკლეს 300 მეტი რუსი თეთრგვარდიელი, შანდუნის არმიის ჯარისკაცები. (ადს).

ამერიკელები ტიანძინში

პეკინი, 25 აპრილი, ჰოვენის სააგენტოს ცნობით, ამერიკის 6 სამხედრო გემმა მიიღო ბრძანება ტიანძინში წასვლის შესახებ. (ადს).

გამწვავებული მდგომარეობა მანჯურიაში

პეკინი, 25 აპრილი. მანჯურიის იაპონური პრესა აღნიშნავს, რომ მუკდენ-ხაილუნჩინის სარკინიგზო კონფლიქტი ამოწურულია, მაგრამ მდგომარეობა მანჯურიაში მაინც გამწვავებული რჩება.

როგორც დაირენის იაპონური გაზეთები იუწყებიან, გირინის ცხენოსან რაზმსა და სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის დამცველ იაპონიის რაზმს შორის მოხდა შეტაკება. გარდა ამისა, იაპონიის ხელისუფლებასა და პეკინის მთავრობას შორის წარმოიშვა კონფლიქტი სამხრეთ-მანჯურიის ფუშუნის ქვანახშირის მაღაროებში რამდენიმე ასეულ ჩინელ მუშის დალუპვასთან დაკავშირებით.

ფუშუნის მაღაროებში პეკინიდან გაიგზავნა გამომძიებელი (ადს).

უცხოელთა ევაკუაცია

პეკინი, 26 აპრილი. პრესის ცნობით, ყველა უცხოელთა ოჯახები, რომლებიც ცზინანში (შანდუნის პროვინციის მთავარი ქალაქი) სცხოვრობდნენ, ცინდაოში გაემგზავრნენ. (ადს).

არჩევნები საფრანგეთში

კომპარტიის გავლენის გაძლიერების გამო

პარიზი, 25 აპრილი. დემოკრატიულ-რესპუბლიკანური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა (მემარცხენე ბურჟუაზიული ჯგუფი, რომელიც პუანკარეს უჭერს მხარს) კომპარტიის გავლენის გაძლიერების გამო გადასწყვიტა მოხსნას კავშირის წევრთა კანდიდატურები, რომელთაც ნაკლები ხმები მიიღეს, ვიდრე „ანტი-რევოლიუციონური მიმართულების" რესპუბლიკანელთა კანდიდატებმა. (ადს).

სავაჭრო ხელშეკრულება

ამერიკასა და ლატვიას შორის

რიგა, 25 აპრილი. ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას ლატვიასა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ხელშეკრულება დადებულია 10 წლის ვადით—ურთიერთისათვის დიდი უპირატესობის მინიჭების საფუძველზე. (ადს).

საბჭოთა მეცნიერების დასაცავად

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. ამერიკის ლიბერალური გაზეთი „ნორტჩაინა სტარ", რომელიც ტიანძინში გამოდის, მოწინავე წერილში ჰოლანდიის მთავრობის მიერ საბჭოთა მეცნიერებისათვის კუნძულ იავაზე შესასვლელ ვიზების მიცემაზე უარის თქმის გამო სწერს:

„საბჭოთა მეცნიერების გამორიცხვა წყნარ ოკეანეს მეოთხე სამეცნიერო კონგრესიდან, რომელიც იავაზე შესდგება, არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. რუსეთში ამჟამად არსებული მთავრობა ყოველგვარ შესაძლებელ დახმარებას უწევს და ხელს უწყობს მეცნიერებს. აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა საბჭოთა კავშირში მშვენივრად არის დამუშავებული და მშვენივრადაც ხორციელდება. საბჭოთა კავშირში სამეცნიერო ხასიათის ყველა დაწესებულებებს მთავრობა ყოველმხრივ უწყობს ხელს. მთელი მსოფლიოს მეცნიერებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ შეტევას მათ რუს კოლეგებზე, რომელსაც აწარმოებენ მოსკოვის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი ძალები. ჰოლანდიის მთავრობის გადაწყვეტილება ამ საკითხში უსამართლოა და შეურაცხმყოფელია სხვა ქვეყნების მეცნიერთათვის". (ადს)

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 25 აპრილი. გრომადის პროცესის მე-39 დღეს შეტაკება მოხდა სასამართლოს თავმჯდომარესა და ოსტროვსკის დამცველს შორის; ოსტროვსკი ბელორუსთა გიმნაზიის ყოფილი დირექტორია, პასუხისგებაში მისცეს იმის გამო, რომ გიმნაზიის ზოგიერთ მოწაფეს ჰბრალდება კომუნისტური მოღვაწეობა. ოსტროვსკის დამცველმა ვექილმა **გონიგფელსმა** იკითხა: მართალია თუ არა, რომ კავერდაც (ამხ. ვოიკოვის მკვლელი) ბელორუსთა გიმნაზიის მოწაფე იყოო? თავმჯდომარე ერიდება პასუხს შეკითხვაზე. გონიგფელსი პროტესტს აცხადებს და ამბობს:

„თუ ბრალდებულს დანაშაულად ეთვლება, რომ გიმნაზიის მოწაფეებს შორის რამდენიმე კომუნისტი ერია, მე მინდა აღვნიშნო, რომ კავერდაც გიმნაზიის მოწაფე იყო".

სასამართლოს სხდომაზე წაკითხულ დოკუმენტებს შორის საყოველთაო ყურადღება მიიქცია ამნისტიისათვის მებრძოლი კომიტეტის მოწოდებამ. მოწოდება აღნიშნავს, რომ მარტო **1925 წელს ადგილი ჰქონდა 490 პროცესს, რომელთა მიხედვითაც პასუხისგებაში მიცემული ყოფილა 2.461 ბრალდებული. ბრალდებულებს მისჯილი ჰქონიათ საერთოდ 3.648 წლით დაპატიმრება.** (ადს).

განაჩენი კუტიურიეს საქმეზე

პარიზი, 25 აპრილი. გამასწორებელმა სასამართლომ, რომელმაც საქმე გაარჩია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლად, დაამტკიცა განაჩენი კუტიურიეს საქმეზე; კუტიურიეს მისჯილი ჰქონდა დაპატიმრება 8 თვით და 1.000 ფრანკით დაჯარიმება, „ლიუმანიტე"-ში დაბეჭდილი წერილისათვის, რომელიც საფრანგეთის ჯარისკაცებს ჩინეთში მოუწოდებდა ჩინელ მუშებთან დაძმობილებისაკენ.

საარჩევნო კამპანია გერმანიაში

შტრეზემანის წინადადება

ბერლინი, 25 აპრილი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „შტრეზემანს, რომელიც ბავარიის ერთ-ერთი საარჩევნო ოლქის კანდიდატია რეიხსტაგის არჩევნებში, განზრახვა ჰქონდა 26 აპრილს მიუნხენში წარმოეთქვა სიტყვა გერმანიის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ნაციონალისტურ-სოციალისტური პარტიის მომხრენი ისე ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას სტვენით და „ვაშას" ძახილით გიტლერის (ნაციონალისტურ-სოციალისტური მოძრაობის ბელადი), რომ იძულებულნი გახდნენ კრება მალე დაეშალათ და დარბაზი პოლიციის დახმარებით დაეცალათ (ადს).

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 25 აპრილი. რეიტერის ცნობით, მუშათა პარტიის დეპუტატმა ტერტლმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა: განზრახვა ხომ არ აქვს ბოლდუინს გამოაქვეყნოს მემორანდუმი, რომელიც შეიცავს მთავრობის განკარგულებაში არსებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება პოლონეთი ომისათვის ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში.

ბოლდუინმა ამ შეკითხვაზე უარყოფითი უპასუხა და დასძინა, რომ მემორანდუმის გამოქვეყნება არ იქნება სასარგებლო სახელმწიფოსათვის.

ბურჟუაზიული მართლმსაჯულება

ლონდონი, 25 აპრილი. სოლომონის კუნძულებზე დაიწყო იმ ადგილობრივ მცხოვრებლების საქმის გარჩევა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შარშანდელ აჯანყებაში. აჯანყებულთა ერთ-ერთ ბელადს — ბასიანს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. საქმის გარჩევა ჯერ-ჯერობით არ დამთავრებულა. 13 კაცი გარდაიცვალა სატუსაღოში საქმის გარჩევის დაწყებამდე. ციხის სასტიკი რეჟიმის გამო. (ადს).

„სახელმწიფო ღალატის მზადების" გამო

ბერლინი, 25 აპრილი. ლეიპციგის უზენაეს სასამართლოში ირჩეოდა ასოთ-ამწყობ ჰერხარდტისა და სტამბის მეპატრონე გრებნერის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ „სახელმწიფო ღალატის მზადება". ასოთ-ამწყობ ჰერხარდტს მიუსაჯეს 1 წლით და 4 თვით დაპატიმრება, სტამბის მეპატრონე გრებნერს — 100 მარკით დაჯარიმება. (ადს).

გვირაბის ჩამონგრევა

ბერლინი. მონბლანის ქვეშ გვირაბის თხრის დროს ჩამოინგრა მიწა და ქვეშ მოიყოლა 11 მუშა, რომელნიც 16 საათის განმავლობაში მიწის ქვეშ იმყოფებოდნენ. ხუთი მუშა დაიღუპა დანარჩენნი გადაარჩინეს. (ადს).

იტალიის მოსახლეობა

რომი, 25 აპრილი. 1927 წლის აღწერის ცნობების მიხედვით, იტალიის მოსახლეობა უდრის 41.500.000 კაცს, 2.700.000 კაცით მეტი, ვიდრე 1921 წლის აღწერამ გამოარკვია. (ადს).

„დამოუკიდებელი პოლიტიკური პოლიცია"

ტოკიო, 25 აპრილი. გაზეთების ცნობით, მთავრობას განზრახული აქვს დაარსოს სპეციალური ფონდი 3 მილიონ იენის რაოდენობით „დამოუკიდებელი პოლიტიკური პოლიციის" დაარსების მიზნით. (ადს).

უბედური შემთხვევები

საჰაერო ფლოტში

ლონდონი, 25 აპრილი. თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე ავიაციის მინისტრმა ხორმა განაცხადა, რომ ორი წლის განმავლობაში 1927 და 1928 წლებში—უბედურ შემთხვევებს მოჰყვა 110 ადამიანის სიკვდილი.

შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ 5 წლის განმავლობაში ინგლისის საჰაერო ფლოტი მთლიანად გადავა ლითონის თვითმფრინავებზე (ადს).

ბრძოლა ნიკარაგუაში

ოქროს მადნების გამგის მოკვლა

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. ნიკარაგუადან მიღებული ცნობებით, გენერალ სანდინოს ჯარისკაცებმა მოჰკლეს ჩრდ.-ამერიკის კომპანიის ოქროს მადნების გამგე **მარშალი**. ეს ცნობა შესამოწმებელია. (ადს).

სპარსეთში

კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმება

თეირანი, 25 აპრილი. იუსტიციის სამინისტრომ სასამართლოს დაწესებულებებს აცნობა, რომ კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით, უცხოელ მოქალაქეთა საქმეები გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებებს (ადს).

სპარსეთის შაჰი კერმანშახში

თეირანი, 25 აპრილი. სპარსეთის შაჰი, რომელიც მოგზაურობს სამხრეთ-დასავლეთ სპარსეთში, კერმანშახში ჩავიდა (ადს).

ვრანგელის გარდაცვალების გამო

ლონდონი, 25 აპრილი. ვრანგელის გარდაცვალების გამო, „დეილი ჰერალდი" სწერს:

„რუსებმა იციან, რომ ის ხალხი, რომელიც პასუხისმგებელია 1918—20 წ. წ. რუსეთზე თავდასხმაში, ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეშია, წინანდებურად სიძულვილით ლაპარაკობს საბჭოთა რეჟიმის შესახებ და არ უშვებს შემთხვევას ზიანი მიუტანოს რუსეთს მაშინაც კი, როცა ეს საზარალოა საკუთარი მოქალაქეებისათვისაც. **ზინოვიევის წერილით არკოსზე თავდასხმით და ბირკენხედის ბერლინში გამგზავრებით ინგლისის მთავრობა ყველგან და ყოველთვის ამტკიცებდა, იმას, რომ მისი პოლიტიკა არსებითად უცვლელი რჩება იმ დროიდან, როცა ის ვრანგელს აძლევდა ფულს, რათა მას გაენადგურებია სამხრეთ რუსეთის მდიდარი რაიონები".** (ადს).

თავდაცვა-ავიაქიმის ახსნა-განმარტებითი კამპანია

მოსკოვი, 26 აპრილი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა: თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმის გადაწყვეტილებათა თანახმად, შეუდგეს ახსნა-განმარტებითი კამპანიას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის გადაწყვეტილებათა შესახებ. მთელი კამპანიის გამოსავალი წერტილი უნდა იყოს 1 მაისი. ზავისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის ბრძოლის ლოზუნგები ამ დღეს გადატანილ უნდა იქნეს დემონსტრანტების რიგებში. კამპანია უნდა ჩატარდეს წითელი ჯვარის, წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოებათა, პოლიტორგანოების და წითელი არმიის დახმარებით (ადს).

ლოზუნგები ახსნა-განმარტებითი კამპანიისათვის

მოსკოვი, 26 აპრილი. იმპერიალისტურ მტაცებელთა კავშირი—ერთა ლიგა განიარაღების წინააღმდეგია. პროლეტარებო და გლეხებო—ფხიზლად იყავით.

კაპიტალისტების შეიარაღების საპასუხოდ საბჭოთა კავშირის მშრომელნი შედიან თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებაში.

სოციალისტური მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობით ჩვენ ვამაგრებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას.

გაუმარჯოს წითელ არმიას და თავდაცვა-ავიაქიმის კავშირს—ოქტომბრის რევოლიუციის ერთგულ გუშაგებს.

მეტი ყურადღება კულტურული რევოლიუციის საკითხებს. ამ საკითხების გადაწყვეტა უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცებას.

ჟენევის საპასუხოდ გავამრავლებთ თავდაცვა-ავიაქიმის რიგებს.

განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის საჰაერო და საზღვაო ფლოტი და ქიმიური თავდაცვა.

განვავითაროთ მასების საჰაერო სპორტი—ამის საშუალებით ჩვენ გავაძლიერებთ წითელ საჰაერო ფლოტს.

თავდაცვა-ავიაქიმი ჟენევის „მშვიდობიანობის მოყვარეთა" თვალთმაქცობას 1 მაისს უპირისპირებს თავის ხელის შეწყობას საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის განვითარებისათვის (ადს).

საბჭოთა კავშირის მიწვევა

სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე

მოსკოვი, 26 აპრილი. დასავლეთთან ვაჭრობის საკავშირო პალატაში გაიმართა თათბირი როტერდამის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. გამოფენა გაიხსნება ჰოლანდიაში 1 ივნისს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგები. სულ გამოფენაზე იქნება 10 განყოფილება: საბინაო მშენებლობის, სატრანსპორტო, საწარმოო ჰიგიენის და სხვ. თათბირმა, აუცილებლად სცნო ახლო მომავალში შეუდგეს ექსპონატების დამზადებას გამოფენისათვის. ექსპონატების ნაწილი როტერდამში გადაიგზავნება პარიზიდან მაისის დამლევს.

ბალ-ქალაქების ყრილობაზე

მოსკოვი, 26 აპრილი. ივნისში პარიზში გაიხსნება ეგრედწოდებულ „ბალ-ქალაქების" ყრილობა — საქალაქო მშენებლობის საკითხების შესახებ. ყრილობაზე, რომელსაც დაესწრება 1.000-დე დელეგატი სხვადასხვა ქვეყნებიდან, მიწვეულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებიც. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მშენებლობის კომისიამ სასურველად სცნო საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობა ყრილობაზე.

ველი იბრაჰიმოვის საქმე

სიმფეროპოლი, 26 აპრილი. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს გამსვლელ სესიაზე ამხ. სოლცის თავმჯდომარეობით დაიწყო ყირიმის ცაკის ყოფილ თავმჯდომარის ველი იბრაჰიმოვის საქმის გარჩევა. იბრაჰიმოვის გარდა სასამართლოში მიცემულია 15 მისი ხელისშემწყობი.

ველი იბრაჰიმოვს ბრალდება ის, რომ მას კავშირი ჰქონდა კულაკურ ელემენტებთან და თეთრგვარდიელთა ბანდების ყოფილ მონაწილეებთან. ის ინიციატორი იყო ვინმე ხაიდამეტოვის მკვლელობის, ვინაიდან უკანასკნელმა იცოდა იბრაჰიმოვის და მისი მეგობრების ბნელი საქმეები. იბრაჰიმოვის მეგობრებში განსაკუთრებით ერჩიოდა ყოფილი შტაბს-კაპიტანი, კონტრ-დაზვერვის მოსამსახურე, თეთრგვარდიელი ჯალათი და თეთრგვარდიელთა ბანდის მეთაური 1920 და 1921 წელში, ხაისეროვი. ხაისეროვი ერთხანს იბრაჰიმოვის პირად მდივნად იყო. იბრაჰიმოვს ბრალდება აგრეთვე ის, რომ თავისი ხელით დაარჩო ყოფილი წითელი პარტიზანი ჩელაკი, რომელმაც იცოდა იბრაჰიმოვის დანაშაულობრივი საქმები, იბრაჰიმოვი აგრეთვე დახმარებას უწევდა ხაისეროვის ბანდიტურ ხროვას, რომელიც მთებში იმალებოდა იბრაჰიმოვის ყირიმის ცაკის თავმჯდომარედ ყოფნის დროს. ამას გარდა იბრაჰიმოვმა თავის პირად საჭიროებაზე და ბანდიტურ ხროვის დასახმარებლად გაფლანგა 37.940 მანეთი თათრების დასახლების და განსახლების საზოგადოების თანხებიდან.

სასამართლოში იბრაჰიმოვი გამოტყდა, რომ მონაწილეობას იღებდა ჩელაკის მკვლელობაში. ბრალდებას სხვა პუნქტებზე იბრაჰიმოვი იძლეოდა არეულ და გაურკვეველ პასუხებს, მაგრამ მისი სიცრუე, გამომჟღავნებულ იქნა სხვა ბრალდებულთა ჩვენებით. იბრაჰიმოვმა სასამართლოს წარუდგინა ყალბი დოკუმენტები, რომელიც საქმეს ხატავდა, როგორც იბრაჰიმოვის წინააღმდეგ მისი მტრების მიერ მოწყობილ შეთქმულებას, მისი რეპუტაციის შელახვის მიზნით. მაგრამ სასამართლომ გამოარკვია, რომ ეს დოკუმენტი დაწერილია იბრაჰიმოვის ცოლის მიერ მისი კარნახით. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის წითელ ფრონტელთა ყრილობა

ბერლინი, 26 აპრილი. ფრონტელთა წითელი კავშირის ცენტრალურმა კომიტეტებმა, განიხილა რა საერთო პოლიტიკური მდგომარეობა, დაადგინა 3—4 მაისს ბერლინში მოიწვიოს გერმანიის ფრონტელთა წითელი კავშირის ყრილობა. (ადს)

საპროტესტო რეზოლიუციები

ბერლინი, 26 აპრილი. მეთვალყურეობის კომიტეტი, რომელსაც რეიხსტაგის რწმუნებულება აქვს ძველი რეიხსტაგის დათხოვნისა და ახლის მოწვევის პერიოდში, განუწყვეტლივ იღებს ცალკე წარმოებათა და მასიური პროლეტარული ორგანიზაციების საპროტესტო რეზოლიუციებს ფრონტელთა წითელი კავშირის დაშლის წინააღმდეგ. 18 წარმოების საქარხნო კომიტეტების საერთო კრებამ, რომელიც აერთიანებს ბერლინის სამი საქალაქო ოლქის 13.000 მუშას, მკაცრი საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო კავშირის დაშლის წინააღმდეგ. რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს, რომ არჩევნებში 20 მაისს ხმა მისცენ გერმანიის კომპარტიის კანდიდატებს. ასეთივე რეზოლიუციები მიიღეს მრავალმა სხვა დიდმა წარმოებებმა. (ადს)

პირველი ტურის შედეგები

პარიზი, 26 აპრილი. არჩევნების პირველი ტურის საბოლოო შედეგები ასეთია: კონსერვატორებმა მიიღეს 13 მანდატი, რესპუბლიკანურ-დემოკრატიულმა კავშირმა—73, მემარჯვენე რესპუბლიკანელებმა—43, რესპუბლიკანურმა რადიკალებმა—15, რადიკალებმა—21, რესპუბლიკანურმა სოციალისტებმა—6, სოციალისტებმა—15. სულ არჩეულია 186 დეპუტატი; ხელმეორედ კენჭი ეყრება 426 დეპუტატს. (ადს).

ტრიუკებზე დამყარებული ბიუჯეტი

ლონდონი, 26 აპრილი. მუშათა პარტიის ბელადმა სნოუდენმა თემთა პალატაში გააკრიტიკა ჩერჩილის ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ ეს ბიუჯეტი ტრიუკებზე არის აშენებული. კერძოდ ასეთ ტრიუკს წარმოადგენს მტკიცება იმისა, რომ ახალ ბიუჯეტში ვითომც შემცირებული იყოს სამხედრო ხარჯები. სნოუდენი აცხადებს, რომ ნამდვილად სამხედრო ხარჯები უკანასკნელ წელში 1924—25 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაიზარდა 2 მილიონი გირვანქა სტერლინგით, მიუხედავად ფასების შემცირებისა. შემდეგ სნოუდენმა აღნიშნა, რომ სოციალური დახმარებისათვის გადადებული ხარჯების რაოდენობა ბიუჯეტში გამოანგარიშებულია „სრულიად ფანტასტიურად და შეუსაბამოდ". ანგარიში შედგენილია ისე, რომ ხარჯების უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულია ისეთ დარგში, სადაც არავითარი დახმარება არ არის საჭირო და სარგებლობას ამით მიიღებენ მხოლოდ მემამულეები (ადს).

ფეიქართა გაფიცვა

ლონდონი, 25 აპრილი. ფეიქართა გაფიცვა ბომბეიში მოედო ყველა წარმოებებს. გაფიცულია 150.000 მუშა (ადს).

მიტინგების აკრძალვა

კოვნო, 26 აპრილი. ყოველგვარი დემონსტრაციები და ქუჩებში მსვლელობა 1 მაისს აკრძალულია. მიტინგებისა და კრებების გამართვისათვის საჭიროა ხელისუფლების სპეციალური ნებართვა (ადს).

საბჭოთა ნავთის ექსპორტი ინგლისში

ლონდონი, 25 აპრილი. 1928 წლის მარტის განმავლობაში ინგლისში გატანილ იქნა 5.049.559 გალონი საბჭოთა ნავთი, 184.975 გალონი მეტი, ვიდრე 1927 წლის მარტში (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კომისიის სხდომა

პეკინი, 26 აპრილი. დღეს შესდგა ჩინეთ-საბჭოთა კომისიის მორიგი სხდომა, რომელიც მოწვეულია ეგრედ წოდებული საბოქსერო კონტრიბუციის რუსეთის წილის განაწილებისათვის ჩინეთის სახალხო განათლების საჭიროებისათვის. კომისიამ გამოჰყო 125.000 მექსიკური დოლარი პეკინის უნივერსიტეტის მასწავლებელთათვის აპრილის ჯამაგირების დასარიგებლად (ადს).

რეფორმისტები მოწყალებას თხოულობენ

პრაღა, 26 აპრილი. ყველა სოციალისტური პროფკავშირთა დელეგაციამ ინახულა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შრამეკი და პრაღის ყველა ქარხნების მუშათა სახელით სთხოვა, რათა არ დაუშვას სოციალური დაზღვევის რეფორმის განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვნად აუარესებს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა მდგომარეობას. შრამეკმა დელეგაციას განუცხადა, რომ იგი განიხილავს მის თხოვნას. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო" ამხილებს გამცემლებს და აცხადებს: იმის მაგივრად, რომ მუშათა მასები დარაზმონ საბრძოლველად სოციალური დაზღვევის უკეთესი პირობებისათვის, რეფორმისტები მოწყალებას სთხოვენ შრამეკს (ადს).

„ეროვნული კრიზისი"

ტოკიო, 26 აპრილი. ქვედა პალატამ ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია „ეროვნული კრიზისის" შესახებ, რომელიც გამოწვეულია „საშიში იდეებით". რეზოლიუცია მოითხოვს „შეთქმული კომუნისტების სასტიკად დასჯას" და ამავე დროს აღნიშნავს, რომ აუცილებელია სოციალური რეფორმების პოლიტიკის წარმოება, რათა „ძირშივე იქნას აღმოფხვრილი საფრთხე". შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ყოველივე მომხდარისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო ეხლანდელ კაბინეტს, არამედ ყველა წინანდელ კაბინეტებს და რომ მთავრობამ თავის თავს უნდა დააბრალოს ის, რაც მოხდა (ადს).

კომისიების თავმჯდომარეები

ტოკიო, 25 აპრილი. იაპონიის პარლამენტმა აირჩია ხუთი კომისიის თავმჯდომარე. ოთხი თავმჯდომარე არჩეულია მთავრობის პარტიიდან—სეიუკაის წრიდან, ერთი—ოპოზიციონურ პარტია მინსეიტოდან (ადს).

ო,მალის სასჯელი შეუმსუბუქეს

ლონდონი, 25 აპრილი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ო,მალი, რომელსაც გრეგორის საქმესთან დაკავშირებით „ნება დართეს გადამდგარიყო სამსახურიდან", აღდგენილი იქნა დიპლომატიურ სამსახურში ერთი წლის გასვლის შემდეგ დათხოვნის დღიდან, 5 წლის უფლებების შემცირებით.

ო,მალის სასჯელის შეცვლის მიზეზების შესახებ ჩემბერლენს არაფერი უთქვამს.

ომის შემთხვევისათვის

სტოკჰოლმი, 26 აპრილი. პარლამენტმა მთავრობის წინადადებით დაადგინა შექმნას კომიტეტი იმ მიზნით, რომ თვალყური ადევნოს მრეწველობის მომზადებას და სურსათის მიწოდებას ომის შემთხვევისათვის (ადს).

უკრაინის კომკავშირის ყრილობა

ხარკოვი, 26 აპრილი. უკრაინის კომკავშირის ყრილობაზე ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების შემდეგ პოლონეთის კომკავშირის ცეკას სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლიმანოვსკიმ.

„პოლონეთისა, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის კომკავშირმა და რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ, — სთქვა მან,—დამავალეს მხურვალედ მივესალმო თქვენს ყრილობას. ძმური კავშირის ნიშნად, პოლონეთის კომკავშირის ცეკამ დამავალა გადმოგცეთ თქვენ დროშა. დიე, ეს დროშა იმის მაჩვენებელი იყოს, რომ პოლონეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობა ყოველთვის იდგომება ერთ რიგებში საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად".

ამხ. ლიმანოვსკიმ დროშა გადასცა ამხ. გილჩაკოვს. დროშის გადაცემას მთელი ყრილობა მქუხარე ოვაციით შეხვდა.

ყრილობაზე გამოცხადდა კანტონის კომკავშირის წარმომადგენელი (კანტონის აჯანყების მონაწილე), რომელსაც ოვაციებით შეეგება ყრილობა. მან ყრილობას გააცნო ახალგაზრდა პროლეტარების გმირული ბრძოლა კანტონში.

შემდეგ ტრიბუნაზე ადიან დნეპროპეტროვსკის, ნიკოლაევის, მარიუპოლის და ხარკოვის წარმომადგენლები პოლონეთისა და კანტონის კომკავშირელების დასახმარებლად კომკავშირელების მიერ შაბათობის მოწყობით შეგროვილ ფულის გადასაცემად. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. მილჩაკოვი (ადს).

მუშა ქიმიკოსების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 26 აპრილი. გაიხსნა მუშა-ქიმიკოსების საკავშირო ყრილობა. საკავშირო კომპარტიის ცეკას და მთავრობის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. რუძუტაკი, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ ენერგეტიულ ბაზისთან ერთად, რომელიც ამჟამად იქმნება საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, საჭიროა აგრეთვე საფუძვლის ჩაყრა ქვეყნის ქიმიზაციისათვის. ქიმიზაციის საკითხები—ეს არის ნედლეული პროდუქტების გადამუშავების ახალი მეთოდების შექმნის და მეურნეობის ყველა დარგების მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობის საკითხები. ქიმიამ პირველ ხარისხოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს არა მარტო მრეწველობაში, არამედ სასოფლო მეურნეობაშიაც. ქიმიური პროცესებით ნედლი მასალის დამუშავების და ხელოვნურ განოყიერების გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი სასოფლო მეურნეობის ფართო განვითარებაზე. აი რატომ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას პარტია და მთავრობა ჩვენი მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებს. სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში ქიმიის პრაქტიკულად გამოყენების საკითხები შეტანილ იქნება მრეწველობის ხუთწლიან გეგმაში, რომელიც დამტკიცდება მიმდინარე წელს.

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დოგადოვმა.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისალმება პროფინტერნის აღმასრულებელისაგან, უცხოეთის პროფორგანიზაციების, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების და სხვ. წარმომადგენლებისაგან. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შუამდგომლობა სამელიორაციოს პროცენტების შემცირების შესახებ

მოსკოვი, 26 აპრილი. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, რათა პროცენტები იმ კრედიტებზე, რომელიც ეძლევა გლეხკაცობას მელიორაციის მიზნით, დაკლებული ყოფილიყო ექვსიდან ოთხამდე.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ამ შუამდგომლობის შესახებ გამოიტანა თავისი დასკვნა, რომლის თანახმად უცვლელად უნდა დარჩეს ამჟამად არსებულ პროცენტის ნორმა. თავის ამგვარ დასკვნას მიწათმოქმედების კომისარიატი ასაბუთებს იმით, რომ სამელიორაციო საქმეზე კრედიტები იმდენათ გრძელვადიანია, რომ ეს ფაქტი თავისთავად უკვე წარმოადგენს დიდ შეღავათს სესხის ამღებთათვის. ამის დასამტკიცებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აღნიშნავს, რომ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, კრედიტმა მელიორაციის საქმეზე სრული გამართლება ჰპოვა და ის გლეხკაცობისათვის მისაღები აღმოჩნდა.

ფასების მოწესრიგება ხილეულობაზე

მოსკოვი, 26 აპრილი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს, უხელმძღვანელონ ფასების მოწესრიგების საქმეს ხილისა და ბოსტნეულობაზე.

შრომისა და თავდაცვის საბჭო სახალხო ვაჭრობის კომისარიატების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ლიმონის, მანდარინის და ხმელი ხილეულობის ფასების მოწესრიგებაზე.

როგორ ემზადება მოსკოვი პირველ მაისისათვის

მოსკოვი, 26 აპრილი. მოსკოვის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარებისათვის.

დედა ქალაქის სადღესასწაულოდ მორთვა დავალებული აქვს ცნობილ მხატვარს. წითელი მოედანი მოწყობილი იქნება მხატვარ ლეტკარის პროექტის მიხედვით. შენობები გაჩირაღდნებული იქნება ელექტრონის ფერადი. შუქებით.

უცხოელი ექსკურსანტები მიემგზავრებიან ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 26 აპრილი. საბჭოთა ვაჭრობის ფლოტმა ხელშეკრულება დასდო უცხოეთის მთელ რიგ საექსკურსიო ბიუროებთან. საბჭოთა კავშირში მოემგზავრება უცხოელ ტურისტების მრავალი ჯგუფები.

როგორც გადმოგვცეს საბჭოთა ვაჭრობის ფლოტის სამმართველოში, უცხოელ ექსკურსანტების უმრავლესობა გაემგზავრება ამიერ კავკასიაში და ყირიმში.

შალიაპინის მამული გადაეცა პიონერებს

მოსკოვი, 26 აპრილი. როგორც ცნობილი იყო, შალიაპინს საბჭოთა კავშირში აქვს საკუთარი უძრავი ქონება. თუმცა არსებულ კანონების ძალით ეს ქონება მუნიციპალიზაციაქმნილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ შალიაპინს, როგორც ხელოვნების თვალსაჩინო მუშაკს, გამონაკლისის სახით დაუტოვა სრულუფლებლობაში მისი უძრავი ქონება.

უკანასკნელ წლების განმავლობაში, როცა საზღვარგარეთ მცხოვრებ შალიაპინმა ვერ გაამართლა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო სახელი, და მას ხელოვნების მუშაკთა ერთსულოვანი მოთხოვნით წაერთვა ეს სახელწოდება, დაისვა საკითხი იმ უძრავ ქონებათა შესახებ, რომელნიც დღემდე შალიაპინის საკუთრებას წარმოადგენდნენ.

ამ დღეებში გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის ძალით შალიაპინის მდიდარი მამული თავის სახლკარით გადაეცა წითელ ჯვარს იმ პირობით, რომ ამ მამულში მოწყობილი იქნეს პიონერების საზაფხულო ბანაკი და უპატრონო ბავშვთა სანატორიუმი.

მოსკოვის გაზეთები საქართველოს სახკინმრეწვის სურათ „ქალი ბაზრობიდან"-ის შესახებ

მოსკოვი, 26 აპრილი. მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია რეცენზიები საქართველოს სახკინმრეწვის სურათის „ქალი ბაზრობიდან"-ს შესახებ. პრესის აზრით „ქალი „ბაზრობიდან" წარმოადგენს ამერიკულ სურათების ყალბ და უხეირო მიბაძვას.

სახკინმრეწვს არაფერი საერთო უნდა ქონდეს ამერიკულ სურათებთან. ჩვენს კინო წარმოებებს ამერიკულ სურათების მიმდევრობა არ გამოადგებათ.

უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად პრესის სასტიკი კრიტიკისა და კინოს საქმის მცოდნე პირთა საერთო აზრისა იმის შესახებ, რომ „ქალი ბაზრობიდან" საქართველოს სახკინმრეწვის უვარგის სურათთა რიცხვს ეკუთვნის, ხალხი ამ სურათის ჩვენებაზე მაინც ესწრება. კომერციული მხრით სურათი ამართლებს თავის თავს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგები

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივის გაფართოებულ კრებაზე *)

რევოლიუციონურ თვითკრიტიკის ნიადაგზე

ამხანაგებო, მე არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ამ ცოტა ხნის წინად დამთავრებული აპრილის პლენუმი სავსებით შეეფერებოდა ლენინურ კომუნისტურ პარტიის ღირსებას, ვინაიდან ეს იყო უაღრესად ნაყოფიერი და ფართე თვითკრიტიკის პლენუმი.

თუ ჩვენ მოვიგონებთ, რას აკეთებდენ ჩვენი პლენუმები უკანასკნელი ერთნახევარიორი წლის განმავლობაში, რაზე იხარჯებოდა ბოლშევიკურ პარტიის შტაბის შეუდარებელი ენერგია, მაშინ უნდა ხაზგასმით აღინიშნოს აპრილის პლენუმის ეს თავისებურობა. ამ შემთხვევაში ბოლშევიკური შტაბის მთელი ძალ-ღონე მიმართული იყო იქითკენ, რომ მკაფიოთ, ბოლშევიკური გარკვეულობით, დაესვა მიმდინარე რევოლიუციონურ პოლიტიკის საკითხები და ამომწურავი პასუხი გაეცა ამ საკითხზე.

ამხანაგებო, თვითკრიტიკა—ეს პროლეტარული პარტიის დამახასიათებელი თვისებაა. სწორედ ამ თვისებით განსხვავდება პროლეტარული რევოლიუცია და პროლეტარული რევოლიუციონერები სხვა ტიპის რევოლიუციონერებისაგან.

კ. მარქსი თავის კლასიკურ ნაწარმოებში „ლუი ბონაპარტის მე-18 ბრიუმერი" პროლეტარულ რევოლიუციის ამ თვისების შესახებ ამბობს შემდეგს:

„ბურჟუაზიული რევოლიუციები, მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის რევოლიუციები, უფრო სწრაფად მიდიან გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, მათი დრამატიული ეფექტები უფრო მძლავრია, ხალხი და ამბები გაშუქებულია მაშხალით, ექსტაზი თვითეული დღის დამახასიათებელი განწყობილებაა; ყველა ეს რევოლიუციები სწრაფად მიმდინარეა, მალე აღწევენ თავის უმაღლეს მწვერვალს, და ხანგრძლივი აპატია მოიცავს საზოგადოებას, სანამ ის ფხიზლად შეითვისებდეს ქარტეხილს და იროშვის პერიოდის შედეგებს. პირიქით, პროლეტარული რევოლიუციები, როგორიცაა მე-19 საუკუნის რევოლიუციები, განუწყვეტლივ აკრიტიკებენ თავის თავს, ხანგამოშვებით სწყვეტენ მსვლელობას, ბრუნდებიან უკან და ხელ-ახლა იწყებენ იმას, რაც თითქოს, უკვე შესრულებულია, ულმობელი სისასტიკით იღებენ სასაცილოდ თავის პირველ ცდების გაუბედაობას, სისუსტეს და ნაკლულოვანებებს...".

მოვიგონოთ, როგორ ცხოვრობდა ჩვენი პარტია ლენინის დროს. მაშინ ჩვენი პარტიის თვითეულ ყრილობას, თვითეულ კონფერენციას და, თავისთავად ცხადია, ცენტრალურ კომიტეტის თვითეულ პლენარულ სხდომას ახასიათებდა უსასტიკესი თვითკრიტიკა. ამხ. ლენინის საანგარიშო მოხსენებები ყრილობებზე—ეს იყო ულმობელი თვითკრიტიკა, მუშაობის და ბრძოლის განვლილი ეტაპის კრიტიკა, რათა პარტიას შესძლებოდა ახალი საფეხურიდან უკან მოხედვა, კრიტიკულად უკან მოხედვა და შემდეგ წინსვლის განგრძობა. ასეთი იყო ჩვენი ყრილობები და კონფერენციები ლენინის დროს, რამდენათაც მაშინ შინაპარტიული ოპოზიცია ლაგამ ამოდებული იყო და არ იპყრობდა პარტიის მთელ ყურადღებას.

მაგრამ, აი ეს ოპოზიცია ლენინის სიკვდილის შემდეგ აუეფდა ბურჟუაზიასთან შეხმატკბილებულათ, მან კრიტიკის იარაღი გადააქცია კრიტიკათ იარაღის საშუალებით, ის მივიდა ბოლშევიკური პარტიის კრიტიკის ისეთ გაგებამდე, რომ გამოვიდა ქუჩაში, დაიწყო ლაპარაკი კლემანსოსტურ გადატრიალების შესახებ და ამით გამოამჟღავნა თავისი ძირითადი კონტრ-რევოლიუციონური შეცოდება. ასეთ კრიტიკას პარტია უკან მიჰყავდა. ასეთი კრიტიკა ძირს უთხრიდა პროლეტარულ დიქტატურას.

საკავშირო კომპარტიამ თავის მეხუთმეტე ყრილობაზე მოიკვეთა კონტრ-რევოლიუციონური ხორცმეტი—ტროცკისტული ოპოზიცია—და ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმზე ორი წლის განმავლობაში პირველათ შესძლო ხელი მოეკიდა დადებით მუშაობისათვის რევოლიუციონურ თვითკრიტიკის ნიადაგზე. პლენუმი მონოლიტური იყო. ლენინელთა ცეკას პლენუმი ჩატარდა უსასტიკესი თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ, თვითკრიტიკის, რომელიც არის არა მარტო იარაღი პროლეტარული პარტიის თვითშეგნებისა, არამედ აგრეთვე მატერიალური იარაღი სოციალისტური აღმშენებლობის გზით წინსვლელობისათვის.

ჩვენ მარტო გუშინდელ დღიდან როდი აგვიღია ასეთი გეზი, მაგრამ მხოლოდ მე-15 ყრილობის შემდეგ მივიღეთ ეს საშუალება. ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ, რომელიც კიდევ შინაპარტიულ ოპოზიციასთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ ტარდებოდა, წამოაყენა თვითკრიტიკა, როგორც უახლოესი პერიოდის მუშაობის ძირითადი მომენტი. ჩვენი პარტიის ცეკას პოლიტიკურ ანგარიშში, აგრეთვე ყრილობის მიერ ამ ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლიუციაში, გარკვევით არის ხაზგასმული რევოლიუციონური თვითკრიტიკის ხვედრითი წონა ჩვენს აღმშენებლობაში, ჩვენს რევოლიუციონურ განვითარებაში. ამ ყრილობის ყველა დოკუმენტებიდან, რომელიც შეეხებოდა ამ საკითხს, მე გამოვაქვეყნებ მხოლოდ სათანადო ადგილს ამხ. სტალინის სიტყვიდან. ის ამბობდა: „თუ ჩვენ, პროლეტარულმა რევოლიუციონერებმა, დავხუჭავთ თვალს ჩვენს დეფექტებზე, გადავსწყვეტთ საკითხს ოჯახური წესით, დავფარავთ ჩვენს შეცდომებს და წყლულებს მოვაქცევთ ჩვენი პარტიული ორგანოების შიგნით,—ვინდა გამოასწორებს ამ შეცდომებს, ამ დეფექტებს? განა აშკარა არ არის, რომ ჩვენ აღარ ვიქნებით პროლეტარული რევოლიუციონერები და დანამდვილებით დავიღუპებით, თუ ჩვენ წრიდან არ აღმოვფხვრით ამ ობივატელშინას, ამ ოჯახურ მიდგომას ჩვენი აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის დროს? განა აშკარა არ არის, რომ პატიოსან და პირდაპირ კრიტიკაზე უარის თქმით, ჩვენი შეცდომების პატიოსნად და პირდაპირ გამოსწორებაზე უარის თქმით, ჩვენ ვხშობთ გზას წინსვლისათვის, ჩვენი საქმის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი საქმის ახალ წარმატებისათვის? ჩვენი განვითარება ხომ ხელადებით არ ხდება მშვიდი წინსვლის წესით. არა, ამხანაგებო, ჩვენ გვყავს კლასები, ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობანი ჩვენი ქვეყნის შიგნით, ჩვენ გვაქვს წარსული, ჩვენ გვაქვს აწმყო და მომავალი, ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობანი მათ შორის, და ჩვენ არ შეგვიძლია წინსვლა ცხოვრების ტალღებზე მშვიდი მოძრაობის წესით. ჩვენი წინსვლა ხდება ბრძოლის წესით, წინააღმდეგობათა განვითარების წესით, ამ წინააღმდეგობათა დაძლევის წესით, ამ წინააღმდეგობათა გამოაშკარავების და აღმოფხვრის წესით. ჩვენ ვერასოდეს ვერ შევსძლებთ, სანამ არსებობენ კლასები, გვქონდეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეიძლებოდეს თქმა: მადლობა ღმერთს, ეხლა კი ყველაფერი კარგადაა. არასოდეს არ იქნება ეს ჩვენში, ამხანაგებო, რამე ყოველთვის ზედმეტი ხდება ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ რაც ზედმეტი ხდება, მას არ სურს უბრალოდ მოკვდეს, არამედ ის იბრძვის თავის არსებობისათვის, იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს. ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის იბადება რამე ახალი. მაგრამ ის, რაც იბადება, უბრალოდ როდი იბადება, არამედ ჰკივის, ყვირის და იცავს თავის არსებობის უფლებას. ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, დრომოჭმულსა და ახლად წარმოშობილს შორის, — აი ჩვენი განვითარების საფუძველი. თუ ჩვენ გულახდილად და პატიოსნად, როგორც ბოლშევიკებს შეეფერება, არ აღვნიშნავთ და არ გამოვააშკარავებთ დეფექტებს და შეცდომებს ჩვენს მუშაობაში, ჩვენ ვხშობთ წინსვლის გზას, ჩვენ კი წინსვლა გვსურს! და სწორედ იმიტომ, რომ გვსურს წინსვლა ჩვენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დავისახოთ პატიოსანი და რევოლიუციონური თვითკრიტიკა. უამისოდ შეუძლებელია წინსვლა. უამისოდ შეუძლებელია განვითარება".

ამიერიდან თვითკრიტიკა ხდება ისეთ იარაღად, რომელიც არასოდეს არ უნდა დაიჟანგოს ჩვენს ხელში. მაგრამ ამასთან ერთად, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რომ ეს იარაღი არ დავჟანგილდეს, ვინაიდან ყოველი ის იარაღი, რომელსაც სათანადოდ ვერ მოვიხმართ, შეიძლება დაჩლუნგდეს. ამჟამად ჩვენ აქ, ამიერკავკასიაშიც, გვაქვს ფართო თვითკრიტიკის ერთგვარი ნიმუში გამოხატულება: „ზარია ვოსტოკა"-ს და ქართული „კომუნისტი"-ს გუშინდელ ნომრებში თქვენ შეგეძლოთ გენახათ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი, მშრომელთა ფართო მასების საზოგადოებრივი აზრის ფურცელი.

ამიერიდან პროლეტარიატს აქვს დამატებითი ფხიზელი თვალი, რომელიც, იმედი ვიქონიოთ, კვირაში ერთხელ მაინც გარკვევით აღნიშნავს ჩვენს დეფექტებს. ეს ფურცლები ემსახურება არა სიცილსა და ღრეჭას, და მით უმეტეს არა პირადი ანგარიშების გასწორებას, გარდა ანგარიშის გასწორებისა პროლეტარიატის საქმის გაფუჭებისათვის. ისინი გაუადვილებენ მშრომელთა მთელ ოჯახს და მთელს ჩვენს პარტიას აღმშენებლობის საქმეს, მის მიზანშეწონილობას, მის ეკონომიურობას, მის სიმტკიცეს.

პურის დამზადების კამპანია

წინააღმდეგობათა გადალახვის გზით

გადავდივარ რა პლენუმის დღის წესრიგზე, საჭიროა ამ თავითვე აღვნიშნო, რომ ეს დღის წესრიგი არ ყოფილა ვრცელი. დღის წესრიგში იდგა სულ ორი საკითხი—პურის დამზადების კამპანიისა და შახტის ამბების შესახებ. მაგრამ ეს ორი საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ისინი დაუკავშირდა ყველა იმ პრობლემებს, რომლებიც ჩვენი რევოლიუციის განვითარების ეხლანდელ ეტაპზე საჭირბოროტო პრობლემადაა მიჩნეული და რომლებიც მოითხოვენ სწორ ანალიზს, სათანადო სოციალურ კლასობრივ დიაგნოზს და სათანადო გადაწყვეტილების გამოტანას. პურის დამზადება გასცილდა ჩვეულებრივ სამეურნეო ამოცანების წრეს. მოულოდნელად, სწრაფი შეფერხების გამო, მან მიიღო უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობა და მას შეეძლო უარყოფითი გავლენის მოხდენა ჩვენს რევოლიუციაზე.

ცენტრალურ კომიტეტს უნდა გაეხსნა მთავარი ნერვი, მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც გამოიწვია მწვავე ხასიათის მოვლენები ამ დარგში.

შემთხვევითია თუ არა ეს მოვლენა პურის დამზადების დარგში? მეორე მხრით, ნუ თუ აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ პურის დამზადებაში ადგილი ჰქონდა ასეთ შეფერხებას, რომელიც გვიქმნიდა საფრთხეს უპუროდ დარჩენილიყო ქალაქებს, ჩვენი პროლეტარიატი, წითელი არმია, და რომელიც მაშასადამე, გვართმევდა ჩვენი საექსპორტო-საიმპორტო გეგმის განხორციელებისა და მით ჩვენი მრეწველობისათვის ნედლეულს, ისე მოწყობილობის მიწოდების შესაძლებლობას?

დაბოლოს, აქ მხოლოდ ჩვენ შეცდომებსა და არასაკმაო გეგმიანობას ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა? თუ აქ ერთმანეთს შეეტაკა კლასობრივი ძალები და თავი წამოყო ანტიპროლეტარულმა კლასობრივმა ძალამ?

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა იყო, მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება იმის თქმაც, რომ ეს აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა. აქ, პურის დამზადების ამ ისტორიაში თავი იჩინა ჩვენი საბჭოთა სინამდვილის ერთ-ერთმა მთავარმა თვისებამ, იმ სინამდვილის, რომელიც მრავალი წინააღმდეგობებითაა სავსე, ჩვენ არასოდეს არ ვფარავდით და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ჩვენი განვითარება, ჩვენი წინსვლა, ჩვენი სოციალისტური მშენებლობა ხდება წინააღმდეგობით სავსე პირობებში. ჩვენ არ მივდივართ გაკაფული გზით, მით უფრო ეს გზა არაა ია და ვარდით ფენილი. აქ არაა მზა შაბლონი, რომ ჩვენ შეგვეძლოს პირდაპირ და დაუბრკოლებლად წინსვლა. ჩვენ ყოველდღიურად გვიხდება წინააღმდეგობათა კვანძის გახსნა, ხშირად კი მისი გადაჭრა. მაგრამ ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენს გეგმაში. კარგი გეგმა მინიმუმამდე ამცირებს ამ დაბრკოლებებსა და სიძნელეებს, მაგრამ კარგი გეგმის შედგენა ჩვენს პირობებში ძნელი საქმეა, კარგი გეგმის შესადგენად ჯერ კიდევ საჭიროა მუშაობა და ბრძოლა, მანამდე კი აუცილებელია შეცდომები და დროებითი სიძნელენი. მეტად საძნელო საქმეა ყოველმხრივი სამეურნეო გეგმის შედგენა ისეთ ქვეყანაში, სადაც ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენს დისპროპორცია მსხვილ მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას შორის, სადაც მრეწველობა არაა დიდათ განვითარებული, ხოლო სასოფლო მეურნეობა ჩამორჩენილი და დაქსაქსულია, თანამედროვე ტექნიკით შეუიარაღებელი.

წელს საბჭოთა კავშირში უფრო მეტი პური იყო, ვიდრე წარსულ, სამეურნეო წელში, ვინაიდან მესამე მოსავლიანი წელი გვქონდა. ამავე დროს გამოირკვა, რომ 1928 წლის 1 იანვრისათვის დამზადდა გეგმით გათვალისწინებულ პურის რაოდენობაზე 128 მილ. ფუთით ნაკლები, ხოლო დამზადების ტემპი 50 პროც. შემცირდა.

ობიექტიური ეკონომიური მიზეზები

რაშია საქმე? ერთი მხრით ადგილი აქვს ობიექტიურ ეკონომიურ მიზეზებს, მეორე მხრით—ასეთივე „ობიექტიურ" მოვლენებს, მაგრამ უკვე სოციალურ-კლასობრივი ანტაგონიზმის დარგში.

ჩვენი მრეწველობის მაჯისცემა გაძლიერებულია იმ დროს, როცა სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების მაჯისცემა წყდება. ჩვეულებრივად სასოფლო მეურნეობას თავისი მაქსიმალური პროდუქცია ბაზარზე გამოაქვს ივნისიდან სექტემბერ-ოქტომბრამდე. ჩვენი მრეწველობა კი ამ დროს იწყებს გაძლიერებულ მუშაობას. ვინაიდან არა გვაქვს რეზერვი, არა გვაქვს სამრეწველო პროდუქციის მარაგი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამაგიეროდ უნდა მივაწოდოთ სოფელს, ამიტომ ჩვენ ვვარდებით მძიმე მდგომარეობაში, ჩვენ გვაქვს ბაზრის დარღვეული წონასწორობა.

გლეხობის მოთხოვნილება მრეწველობის ნაწარმოებზე ვერ დაჭფარა, რადგან ჩვენმა მრეწველობამ ამ დროისათვის იმდენი ვერ შექმნა, რომ ეს მოთხოვნილება დაეფარა, ჩვენ არ გვქონდა სამრეწველო პროდუქციის რეზერვები, რაც გვქონდა, ისიც დროინად და გეგმიანად ვერ გაუნაწილეთ პურის დამამზადებელ რაიონებს, ამიტომ პურის დამზადების საქმე ერთბაშად შეფერხდა.

სოფელს აქვს ზედმეტი საქონელი პურის სახით, მაგრამ რაკი თავისი პურის სანაცვლოდ ვერ დაინახა სამრეწველო საქონლის სათანადო რაოდენობა, შესაფერი ეკვივალენტი, მან, რასაკვირველია, თავის პურს ხელი გადააფარა. მაგრამ შარშანაც ხომ ამ დარგში მდგომარეობა დაახლოებით ასეთივე იყო, პურის დამზადების საქმემ კი კარგად ჩაიარა. წელს შარშანდელთან შედარებით პურს უფრო ძნელად იმეტებდნენ. სხვადასხვა მიზნით პურის შენახვის საშუალება სოფელს წელს უფრო მეტი ჰქონდა. სოფლის საერთო ზრდის დროს კულაკები უფრო სწრაფად გაძლიერდნენ და თავისი სამეურნეო ავტორიტეტის გამო საშუალო გლეხების ზედაფენის, შეძლებული ნაწილის ერთგვარ მეთაურებად გადაიქცნენ, ზედმეტი პურის ძირითადი მარაგი კი სწორედ ამ ნაწილის ხელშია. გლეხობის ამ ფენებს ფული ესაჭიროებოდათ თავისი ვალდებულების მოსახდელად სახელმწიფოს წინაშე, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასასტუმრებლად, და ამ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ შემოსავლის სხვა წყაროების ხარჯზე, უმთავრესად, ტექნიკურ კულტურათა და შინაური საქონლის პროდუქციის რეალიზაციის საშუალებით. გარდა ამისა, სოფელს ემატება ფული თანხები გარე სამუშაოსაგან, ვინაიდან ჩვენი მშენებლობა, როგორც სარემონტო სასიათისა, ისე მთლად ახალი მშენებლობა, მოითხოვს სოფლის დიდძალ მუშა-ხელს; განსაზღვრული ნაწილი ხელფასის ფონდისა, რომელსაც ნთქავს ეს მშენებლობა, სხვადასხვა ხვრელით სოფლისაკენ მიიმართება. ამგვარად, გლეხობას შეეძლო შეეჩერებინა მთელი პურის რეალიზაცია და შეენახა პური, როგორც ერთგვარი სავალუტო საქონელი; ამის საშუალებას აძლევდა მას სხვადასხვა ტექნიკური კულტურა, რომლის ფასი წელს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე პურის დაწესებული ფასი,—მესაქონლეობის პროდუქტები, რომლებიც აგრეთვე დიდად ფასობდა ბაზარზე, და, ბოლოს, გარე სამუშაო, რომლის წყალობით ფულის განსაზღვრული თანხების დენა სწარმოებდა სოფლისაკენ. ეს შესაძლებელი იყო მით უმეტეს, რომ ჩვენი ჩერვონეცი კარგი შემყიდველობითი საშუალებაა, საქონლის ბრუნვის საშუალებაა, მაგრამ იგი დღევანდლამდე ასე კარგ საშუალებას არ წარმოადგენს ფულის დაგროვებისათვის. ჩვენი საკრედიტო საქმე ჯერ კიდევ ორგანიულად არ არის დაკავშირებული ჩვენს ვალუტასთან. ამიტომ გლეხობა თავისი მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შემდეგ, ცდილობს მაშინვე მოახდინოს მიღებული ჩერვონცების რეალიზაცია საჭირო ფაბრიკატების შეძენით და ამის გამო, ჩვენი ჩერვონცების ეს მასა უშუალოდ ბაზარს აწვება, იმის მაგიერ, რომ დინა დაიწყოს ჩვენი საკრედიტო სისტემის მილებში, ჩვენი შემნახველ-გამსესხებელი სალაროების მილებში და სხვ. როდესაც ბაზარზე საქონლის სიმცირეა, ცხადია, რომ გლეხი მოერიდება, რამდენადაც შესაძლებელია, ვალუტას, ე. ი. პურის გადაქცევას ქაღალდის ვალუტად; ამ ვალუტის რწმენა კი მას ჯერ-ჯერობით საკმაო არა აქვს, სხვათა შორის, იმის წყალობითაც, რომ ჩვენი პარტია ყოველ საჭირო საშუალებას არ ხმარობს, რომ ჩერვონცის შემდგომი განმტკიცება მოხდეს გლეხურ მოსახლეობის იმ ფართო მასების შეგნებაში, რომლებსაც ჯერ ისევ ცხოვლად ახსოვთ წყეული მილიარდიანი ბონები.

კულაკების კონტრ-რევოლიუციონური ცდები

ამგვარად, მრეწველობის პროდუქცია საკმაო ვერ გამოდგა და ამიტომ ბაზრის წონასწორობა დაირღვა: საქონლის მიწოდება უფრო სუსტი იყო, ვიდრე მოთხოვნილება. ამიტომ ზედმეტი პური, გლეხის ნატურალური სავალუტო ფონდი, შენახულ იქნა და აქ ეკონომიკამ „გადასვლა" იწყო პოლიტიკაში. რასაკვირველია, კულაკობა ეცადა ესარგებლა გაჭირვებით, წონასწორობის დარღვევით ბაზარზე შექმნილი ობიექტიური მდგომარეობით და შეეცადა გაეტარებინა თავისი ხაზი, რომელსაც უნდა ჩაეშალა ჩვენი პოლიტიკა ფასებისა, დაერღვია ვაჭრობის საბჭოთა მონოპოლია.

ამხანაგებო, ცხადია, უაზრობა იქნება იმის მტკიცება, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა იყო. კულაკი და მისი მეგობარი ნეპმანი—სპეკულიანტი პურის საშუალებით ცდილობდნენ შეიმუშაონ მათი შემაწუხებელი საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. მათ შეტევა დაიწყეს ფასების პოლიტიკის წინააღმდეგ, ვინაიდან დაწესებული მკვიდრი ფასები მათ ვერ აკმაყოფილებს, მათ მუქარის ქვეშ ჩვენი ვაჭრობის მონოპოლია და ამიტომ ისინი შეეცადნენ, რომ ჩვენი ჩერვონცის ერთგვარი ბოიკოტით შეენახათ თავისი ზედმეტი პური, იძულებული გავეხადეთ მორიგების გზას დავდგომოდით, აეძულებინათ საბჭოთა ხელისუფლება, რომ გადაეთვალიერებინა ფასების პოლიტიკა, გადაეთვალიერებინა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლები. ამით ამ საკითხმა უკვე მიიღო უაღრესად პოლიტიკური ხასიათი. აქ ჩვენ უკვე ვხვდავთ კულაკის პირველ ნაბიჯს, რომ თავი წამოყოს და გაიცხადოს არა მარტო თავისი არსებობის შესახებ, არამედ იმის შესახებ, რომ იგი მოითხოვს განსაზღვრულ კორექტივებს, თუ არა სრულ გაუქმებას მთელი ჩვენი სამეურნეო სისტემისას; ამაშია სოციალურ-კლასობრივი აზრი იმ სიძნელეთა, რომლებიც, ვიმეორებ, შემთხვევითი არ იყო, თუმცა მათი აცდენა კი შეიძლებოდა, კარგი გეგმიანობა რომ ყოფილიყო, საქონლის მარაგის განსაზღვრული რეზერვები რომ გვქონოდა, დროინად, რომ მიგვეწოდებინა ეს მარაგი სოფლისათვის, სადაც პურის დამზადება სწარმოებდა და სხვა. კულაკმა აქედან თავისი სოციალ-პოლიტიკური ბუნების შესაფერი დასკვნა გამოიტანა; ამით მთელმა ამ ისტორიამ მიიღო ხასიათი არა მარტო ჩვენი მშვიდობიანი ეკონომიური მეტოქეობისა კულაკობასთან და საშუალო გლეხების იმ მაღალ ფენასთან, რომელსაც წინ კულაკი გაუძღვა, არამედ კულაკობისა და პურის სპეკულიანტების პოლიტიკური გამოსვლის ხასიათიც; მათი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა თუ არა, ისეთი კორექტივების, ისეთი „შესწორების" შეტანა მაინც ამ ხელისუფლების პოლიტიკაში, რომელიც გულ-ღვიძლს გამოაცლიდა პროლეტარიატის დიქტატურის მთელ ეკონომიურ შინაარსს.

საგანგებო ზომები

როგორი პასუხი უნდა გაეცა ამ მოვლენისათვის ჩვენს პარტიას? აქ აუცილებელი იყო სიმტკიცე, სისწრაფე და აგრეთვე საგანგებო ზომები. ამ ზომებმა უკვე მოგვცა შედეგები, მდგომარეობა გამოსწორდა. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ". ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხელისუფლებამ მოიპოვა გამარჯვება, პურის დამზადება აჩქარებული ტემპით წავიდა, დეფიციტი, რომელიც გვქონდა პურის დამზადებაში, ჩვენ უკვე შევავსეთ, გადავაცილეთ კიდევ ნორმას და ეხლა თითქოს არ გვაქვს საფუძველი ვიქონიოთ შიში პურის დამზადების საქმეში, საექსპორტო გეგმის შესრულების, ქალაქებისათვის, არმიისათვის და სხვებისათვის პურის მიწოდების საქმეში. მაგრამ პარტია თავის თავად არის მოსამართლე, მეტად მკაცრი მოსამართლე. გამოდიოდა რა თვითკრიტიკის მოვალეობის შეგნებიდან, ცენტრალურმა კომიტეტმა შეაფასა ცეკას პოლიტბიუროს მიერ მიღებული ყველა ღონისძიებანი და აგრეთვე ის ზომები, რომლებიც დასახულია პურის დამზადების მომავალი კამპანიისათვის.

ცხადია, ჩვენი ხელისუფლების ღონისძიებანი მიმართული იყო უპირველეს ყოვლისა იმისაკენ, რომ შეევსოთ ის ნაკლი, ის დეფექტი, რომელიც გვქონდა პურის დამზადების დარგში, და მეორის მხრით მიმართული იყო იმისაკენ, რომ თავისუფლება არ მიგვეცია კულაკისათვის, რომელსაც უნდოდა თავისი საკმაოდ მსუქანი ხელებით შეერყია ჩვენი პოლიტიკური სიმტკიცე.

ამისათვის კი საჭირო იყო დაგვერაზმა ყოველი ცოცხალი, საბჭოთა, ბოლშევიკური ძალები, რაც არის თანამედროვე სოფელში, რათა აგვეღლმა კულაკის ზრახვები და უზრუნველგვეყო პურის დაუბრკოლებლად, ნორმალურად მიწოდება სახელმწიფოსათვის.

როცა ტარდებოდა ღონისძიებანი პურის დამზადების დარგში წარმოშობილი ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად, ზოგიერთ ადგილას, გაზრუდებულ, დამახინჯებულ იქნა პარტიის ხაზი, მაგრამ ეს ხაზი უმთავრეს ნაწილში გატარდა ყველგან.

ცხადია, რომ აუცილებელი იყო მოქმედება არა მარტო ეკონომიური მეთოდებით, არამედ იძულების მეთოდებითაც. მაგრამ იძულების მეთოდები ეკონომიური ხასიათის უნდა ყოფილიყო და არ უნდა გასცილებოდა რევოლიუციონურ კანონიერების ფარგლებს. გადასახადებისა და გადასახადთა ნარჩენების შეკრება, გლეხის მეურნეობის ადგილის ხასიათის გაძლიერება, თვითდაბეგვრის შესახებ კანონის გატარება და სხ.—ყოველივე ეს არამტკიცე მუშაკისათვის ქმნიდა იმის ცდუნებას, რომ მას მიემართა ზეგავლენის დამახინჯებული მეთოდებისათვის, რითაც მახინჯდებოდა პარტიის მტკიცე, და ამასთანავე გარკვეული ხაზი. ეს ხაზი მიმართული იყო იმისაკენ, რომ დაახლოებით შეგვეთანასწორებინა სამეურნეო ბალანსი ქალაქსა და სოფელს შორის. ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეცალიერებინა ქალაქის ცენტრები და საქონლის მარაგი გაგვეგზავნა პურის რაიონებში. ჩვენ უნდა მიგვეწოდა იმისათვის, რომ კულაკებს გაეყიდათ ზედმეტი პურის მარაგი, ჩვენ მთელი გლეხობა უნდა დაგვეინტერესებინა პურის [illegible] და მასთან დაკავშირებული ფულის ოპერაციებით, რომელსაც საწარმოო დანიშნულება ჰქონდა სოფლისათვის; უნდა დაგვეინტერესებინა ღარიბი გლეხობაც, არა მარტო ნორმით დაწესებული პურის ფასების შენარჩუნებით, არამედ ანარიცხების (25 %) მიცემითაც იმ პურის რაოდენობიდან, რომელიც საწარმოო დანიშნულებისათვის ჩამოერთმეოდა პურის ბოროტი განზრახვით გადამმალავებს.

ამრიგად, ამ მხრივ ჩვენ ვიცავდით მტკიცე ბოლშევიკურ ხაზს. ჩვენ ხელმძღვანელობას უწევდით ეკონომიურ პროცესებს, გავლენას ვახდენდით მათზე სახელმწიფოს ხელისუფლების საშუალებებით, ჩვენ ამ პროცესებს მივმართავდით ადგილობრივი კულტურული ცხოვრების აღორძინებისაკენ.

საერთო-სამეურნეო კრიზისის საფრთხის აცილება, პურის დამზადების გაუმჯობესება და პოლიტიკური ატმოსფერის გაჯანსაღება—აი, პარტიის ამოცანა.

მივაღწიეთ თუ არა ამას? მე უკვე ვთქვი, რომ ამ ღონისძიებათა წმინდა ეკონომიური ეფექტი თვალსაჩინოა. პურის დამზადებამ მიაღწია იმ დონემდე, სადამდეც უნდა მიეღწია ნორმალური მუშაობის პირობებში. მაგრამ მოვიგეთ, თუ წავაგეთ პოლიტიკურად? ჩვენს წინააღმდეგ იყო სოფლის კულაკური ფენა. ამ ზედაფენამ გაიყოლია საშუალო გლეხთა შეძლებული ფენა. კულაკებთან ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ „ნათესაურ" ურთიერთობაში, ჩვენ მათთან ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით მტრულ დამოკიდებულებაში. პურის დამზადების კამპანიამ გააღარიბა საშუალო გლეხობის ზედაფენების განწყობილება და სულისკვეთება. მაგრამ საშუალო გლეხობის ძირითადი ფენა ჩვენ მოვსწყვიტეთ კულაკების გავლენას, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ განმტკიცდა ღარიბი გლეხობა სოფლად.

ამგვარად, ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ წარმატებას. ნაწყენი კულაკები, სპეკულიანტები და მათი იდეოლოგები სიხარულით შეხვდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუქმებაზე, სამხედრო კომუნიზმის აღდგენაზე. ეს არის ჩვენი მტრების ლაყბობა, ჩვენი მტრების, როგორც პირწავარდნილი თეთრგვარდიელთა ბანაკიდან, ისე პირველთ შენიღბული ბანაკიდან ანუ ტროცკისტული ოპოზიციის სხვადასხვა ტიპის ოპოზიციონერთა ბანაკიდან,—ყოველივე ეს არის კონტრ-რევოლიუციონერთა ლაყბობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ამხ. ლენინის მეთაურობით განახორციელა ჩვენმა პარტიამ, ცხადია, არ არის შეუზღუდავი კაპიტალიზმი, ეს არის შეზღუდული, დამოკიდებული კაპიტალიზმი. ჩვენ თვითონ დაუშვით ამ კაპიტალიზმის არსებობა, მივეცით მას სუნთქვის საშუალება, მაგრამ დავაბით ის ჯაჭვით და ამასთანავე წინასწარ განვსაზღვრეთ ამ ჯაჭვის სიგრძე. როცა კაპიტალიზმი ცდილობს გაადიდოს ამ ჯაჭვის სიგრძე ან გაწყვიტოს იგი, აქ დღის წესრიგში ხდება არა მარტო მე-107 მუხლი, არამედ პროლეტარული დიქტატურის მთელი სისტემა. და ცხადია, რომ ჩვენ ვერავინ ვერ შეგვაშინებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუქმებაზე. პირიქით, ის რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის სწორედ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეთოდი, რომლის ნიადაგზედაც ვსძლევთ კაპიტალიზმის ელემენტებს სოციალიზმისათვის. მაგრამ ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ადგილი ქონდა პარტიის მიერ განსაზღვრული ხაზის დამახინჯებას, მის შემცდარად გაგებას იმის გამო, რომ ადმინისტრატორობა გადააჭარბებს ამ ხაზის გატარებაში, ან იმის გამო, რომ გაიხრწნა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები და ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციებიც კი, რომლებსაც ზოგან მოედო ხავსი, ობი. ეს უდავოდ გამოაშკარავდა და დამტკიცდა. პლენუმმა დაადგინა მკაცრად იქნან დასჯილი ის პირნი, რომელთაც დანაშაული მოუძღვით პარტიული ხაზის, პარტიული დირექტივების დარღვევასა და დამახინჯებაში.

საგანგებო ზომები ჯერ-ჯერობით მოხსნილია საერთოდ იქ, სადაც საჭირო აღარ არის, მაგრამ არა სამუდამოდ. მე-107 მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში რჩება და იგი გამოყენებულ იქნება პურის დამზადების დასრულებამდე. ეხლა ამ მუხლს ფართოდ არ ვიყენებთ იმის გამო, რომ არ არსებობს ობიექტი გამოყენებისათვის, მაგრამ როგორც კი აღმოჩნდება ეს ობიექტი,—და შეიძლება იგი აღმოჩნდეს პურის დამზადების მომავალ კამპანიაში,—მაშინ ამ მუხლს დაუყოვნებლივ გამოვიყენებთ. ზარბაზნები კულაკებისა და სპეკულიანტებისათვის კვლავ დარჩება პოზიციაზე, თუმცა მათ ჯერ-ჯერობით არ ვიყენებთ, მაგრამ როგორც კი გამოჩნდება მტერი, მაშინვე დაუშენთ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით რჩება ძალაში, როგორც გარდამავალი პერიოდი სოციალიზმისაკენ, როგორც ყველაზე უფრო ეკონომიური და ყველაზე უფრო ნაყოფიერი მეთოდი მსხვილი სოციალისტური მრეწველობის და წვრილ გლეხურ მეურნეობის ინტერესების შეთავსებისა ბაზრის მეშვეობით. ასეთია ახალი ეკონომიური პოლიტიკის დედა აზრი და, რა თქმა უნდა, როდესაც გვიპირდებენ ჩვენი არსებობის ძირითადი ბურჯების მოშლას, როდესაც სურთ მოგვსპონ ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის მკვებავი წყაროები, პროლეტარული დიქტატურა ფაფარაყრილი ირაზმება თავდამსხმელთა წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით კი უნდა გადაიჭრას მთავარი საკითხი—მეურნეობის ძირითადი დარგების გეგმიან შეთანხმების საკითხი, სამრეწველო სეზონის სასოფლო-სამეურნეო სეზონთან შეუთანხმებლობის ლიკვიდაციის საკითხი. კიდევ და კიდევ უნდა გადაისინჯოს სოფლის ზედაფენების დაბეგვრის ნორმები.

პურის დამზადების კამპანიის გაკვეთილები

პლენუმი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ პოლიტიკური დასკვნების გამოტანით პურის დამზადების საკითხიდან. პლენუმმა მოგვცა საორგანიზაციო დირექტივები, თუ როგორ, რა ფორმით და რა მეთოდებით დაამზადებს ამიერიდან პურს სახელმწიფო. ამ კამპანიაში ჩვენი პურის დამამზადებელი ორგანიზაციები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. იმის მაგიერ, რომ მთლიანი ფრონტი შეექმნათ კულაკის წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც ბოროტი განზრახვით მალავდა პურს, ვინც ბოროტი განზრახვით ადიდებდა პურის ფასებს, ეს ორგანოები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ცალ-ცალკე აწარმოებდნენ პურის შესყიდვას და ფაქტიურად ემხრობოდნენ კულაკს, ფაქტიურად არღვევდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებულ ფასებს და ამით უადვილებდნენ კულაკებს მათ კულაკურ საქმეს.

ამიტომ პლენუმმა გადასწყვიტა:—ამიერიდან ყველა ორგანიზაციები: „ხლებოპროდუქტი", რესპუბლიკანური ორგანიზაციები (უკრაინის პური, „სოვკავტორგი", „სიბტორგი" და სხვ.) ჰქმნიან მთლიან საკავშირო ორგანიზაციას, სააქციო საზოგადოება „სოიუზხლებ"-ს, რომელშიაც თვითეული ორგანიზაცია შევა მთელი თავისი სააქციო კაპიტალით, და რომელიც უკვე ერთიანი სისტემით, პურის შემსყიდველებთან ერთიანი გენერალური ხელშეკრულებების დადების საშუალებით, მოაწესრიგებს პურის საქმეს—პურის დამზადებისა და განაწილების საქმეს. ეს ძირითადი ღონისძიებანი მოსპობს იმ არევ-დარევას, რომელიც ფაქტიურად იწვევდა კულაკის მდგომარეობის რამდენიმეთ შემოსუქებას. ამიერიდან საბჭოთა ხელისუფლებას ექნება ერთიანი პურის დამამზადებელი ორგანო, რომელიც ბატონპატრონი იქნება ამ დარგში საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით, და რომელიც ამჟამად მიიღებს ერთადერთ რეგულიატორად გადაქცევის საშუალებას ამ საკითხში.

რას მოწმობს შახტის კონტრრევოლიუცია

მეორე საკითხი—შახტის ამბების შესახებ. ეს ამბები დამახასიათებელია არა მარტო დონბასის ერთი რაიონისათვის. არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია მიიღოს ამგვარი და კმაყოფილი კაცის პოზა და სთქვას, რომ აქ დონბასის ცოლევილებთან ეკონომიური კონტრრევოლიუცია აღმოჩნდა და ჩვენში არაფერი ასეთი არ არის და არც შეიძლება იყოს, რომ ჩვენ უზრუნველყოფილი და დაზღვეული ვართ ამისგანო. ყველა ცნობების მიხედვით შახტის საქმე არ არის მხოლოდ ერთი რაიონის საქმე.

ძნელი წარმოსადგენია, რომ იმავე ავტორებს, რომლებიც მუშაობდნენ შახტის რაიონში, რომლებმაც მოაწყვეს ეს ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია, და რომლებიც სხედან უცხოეთში მყოფ ხელმძღვანელ ცენტრში, რომ ამ უცხოეთში მყოფ ხელმძღვანელ ცენტრს თავის კონტრ-რევოლიუციონური ყურადღების გარეშე დაეტოვებია მაგალითად ისეთი დარგი, როგორიც არის ნავთის მრეწველობა? ემიგრაციაში ნავთის მრეწველები ყველაზე უფრო და ალბათ ყველაზე უკეთ არიან დარაზმული, და ძნელი დასაჯერებელია, რომ ნავთის მრეწველთა ეს სექცია როგორმე არ იყოს დაკავშირებული ჩვენს ნავთის მრეწველობასთან მავნებლობის ხაზით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენს ნავთის მრეწველობას, განსაკუთრებით ბაქოს რაიონს, აქვს ერთგვარი ხელსაყრელი პირობები, რომლებიც იძლევა მაქსიმალურ გარანტიას, რომ მავნებელთა მუშაობამ აქ ვერ შესძლოს ფეხის მოკიდება. ბაქოს ნავთის მეურნეობას მისი ნაციონალიზაციის დღიდან სათავეში უდგას ძლიერ გამოცდილი ამხანაგების ჯგუფი. ეს ამხანაგები იცნობდნენ არა მარტო მრეწველობის მართვა გამგეობის საქმეს, არამედ სწორედ საქმის ტექნიკურ-საწარმოო მხარესაც. ამხ. სერებროვსკი ნავთის საქმის მცოდნე მუშაკი იყო. აი ამიტომ იქ ადგილი არ იყო მავნებელ ქვეწარმავალთა გაჩენა. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ამ შესაძლებლობის აბსოლიუტურად გამორიცხვა შეუძლებელია, როგორც ბაქოში, ისე მით უმეტეს სამრეწველო წარმოების სხვა რაიონებში (ქვანახშირი, მარგანეცი, სპილენძი, სარკინიგზო მეურნეობა, ახალშენებანი და სხვ.). შახტის კონტრ-რევოლიუციონური საქმე, რომელიც ექვს წლამდე გრძელდებოდა, მოასწავებს იმპერიალიზმის ეკონომიურ ინტერვენციას. საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ ბურჯებისათვის ნიადაგის გამოთხრას უნდა გამოეწვია ჩვენი მეურნეობის ერთერთი უმთავრესი დარგის დაშლა, რაც გაადვილებდა სამხედრო ინტერვენციას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და კაპიტალიზმის აღსადგენად. ამიტომ ამ საქმის მომწყობნი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საზღვარგარეთ მყოფ ცენტრთან, ეს უკანასკნელნი კი—ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა გენერალურ შტაბებთან.

საჭიროა მეტი სიფხიზლე

შემთხვევითი იყო თუ არა შახტის ამბები? მარტო ჩვენი უყურადღებობით ხომ არ აიხსნება ეს მოვლენა? არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ, მარტო ამ ახსნით. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დამახასიათებელია ისიც, რომ ჩვენ სათანადო ყურადღება ვერ გამოვიჩინეთ, ბევრი რამე გავუშვით მხედველობიდან. ჩვენ გვქონდა ისეთი ორგანოები, როგორიცაა პარტ-ორგანიზაციები, პროფკავშირები და სხვა და ჩვენ 5—6 წლის განმავლობაში ვერ შევსძელით ამ კონტრ-რევოლიუციის აღმოჩენა. რაგინდ ღრმად არ დამალულიყო მიწაში ეს კონტრ-რევოლიუცია, რაგინდ შორს არ შემძვრალიყო იგი მაღაროებში, პროლეტარულ დიქტატურას მაინც არ შეეძლო არ აღმოეჩინა ის თავისი ორგანიზაციების საშუალებით.

მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება მარტო ამით დავკმაყოფილდეთ, სათანადოთ უნდა შევაფასოთ საკითხის მეორე მხარეც. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ გარემოცვაში ვიმყოფებით, ჩვენში განმტკიცდა ისეთი წარმოდგენა, რომ არსებობს საბჭოთა რესპუბლიკა თავისი წითელი საზღვრებით, ამ მიჯნას იქით კი—ბურჟუაზიული გარემოცვა. ჩვენ ვსარგებლობთ შესვენებით, რომელიც გვაძლევს დამშვიდებული აღმშენებლობის, დამშვიდებული მუშაობის საშუალებას. მაგრამ გარემოცვა ხომ დაულალავად მუშაობს და ახალი მეთოდებით უთხრის ნიადაგს საბჭოთა ქვეყანას.

იმპერიალისტები უკვე აღარ ფიქრობენ დაგვამხონ ჩვენ მარტო სამხედრო მეთოდებით, მარტო სამხედრო შემოტევით. პროლეტარიატი, როგორც კლასი, რომელმაც დაიპყრო ძალა-უფლება, აღმოჩნდა ამ ძალა-უფლების ღირსი, აღმოჩნდა ღირსეული მეურნე და იგი მიჰყავს მეურნეობა, რომ იმპერიალისტები და კონტრ-რევოლიუციონერები უნდა აფეთქებდნენ უკვე ჩვენს მუშაობას, შლიდნენ იმ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებული აქვს სამეურნეო პროლეტარიატს.

წარმოიდგინეთ ამხანაგებო: ექვს წელიწადს გრძელდებოდა უსაზიზღრესი, უაღრესად ბოროტი ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია—საბოტაჟიდან ტურბინების აფეთქებამდე და მაღაროების წყალით ავსებამდე—და ეს რაიონი მაინც წლიდან წლამდე იზრდებოდა, პირდაპირ ფერფლიდან აღორძინებულმა დონბასის მეურნეობამ ქვანახშირის წარმოებაში გადააჭარბა ომის წინა დროის დონეს. და ეს მაშინ, როდესაც ასორმოცდაათამდე სპეციალისტი, რომლებიც ეხლა სხედან საბჭოთა საპყრობილეებში, ასრულებდნენ მათ დამქირავებელ კაპიტალის ნებასურვილს და აწარმოებდნენ უბოროტეს მავნებელ მუშაობას.

დონბასის პროლეტარიატი აღმოჩნდა დევგმირი, რომელმაც აღორძინა დაშლილი მეურნეობა სპეციალისტების ვეებერთელა მასის წინააღმდეგობის და ბოროტი მავნებლობის პირობებში. რის გაკეთებას შესძლებდა იგი, რომ ამ სპეციალისტებს პატიოსნად ეთანამშრომლათ მასთან?

ამხანაგებო ეს მოწმობს, რომ ბრძოლა მეტად გაღრმავდა, რომ იმპერიალიზმს სურს დააზიანოს ჩვენი ყველაზე უფრო მტკიცე ადგილი, ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, რომელიც უკვე არ არის ოცნება, არ არის მხოლოდ პროგრამა, არამედ რეალური ფაქტია. შახტის საქმის ეს მხარე არ უნდა დავივიწყოთ. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საქმის პირველი მხარე. როგორ მოხდა, რომ მუშათა კლასის სახელმწიფო, პარტიული და პროფესიონალური ხელმძღვანელი ორგანიზაციები აღმოჩნდნენ ასეთი ამბების წინაშე? შეფასება იმის, თუ როგორ მოხდა ეს და სათანადო დასკვნები—აი როგორ უნდა დასვას საკითხი ლენინურმა პარტიამ.

ბრძანება რომელიც უნდა გაუქმდეს

რა ირკვევა შახტის ამბებიდან? პირველ რიგში ირკვევა ის, რომ ჩვენ ვეყრდნობით რა მუშათა კლასის გმირობას, ვეყრდნობით რა ყველა იმ ძალებს, რომლებიც ახასიათებს მას, განსაკუთრებით ბრძოლაში და აღმშენებლობაში, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყავს სამეურნეო მუშაკების, მრეწველობის ხელმძღვანელების საკუთარი კადრი.

აქ საინტერესოა შედარება მეორე ორგანიზაციასთან: წითელ არმიასთან. წითელი არმია—ეს არის არა მარტო ძლევამოსილი არმია, არამედ არმია, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, რომლებიც გაეცნენ სამხედრო ხელოვნების საიდუმლოებას, სოციალისტურ სამშობლოს დაცვის მტრების დამარცხების, მსოფლიო რევოლიუციისათვის ბრძოლის ხელოვნებას.

ამხანაგებო, თუ ამგვარივე საზომით მიუდგებით ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელებს დავინახავთ, რომ ასეთივე მდგომარეობა არ არის ამ სფეროში. რა უშლის ამას ხელს? გამოირკვა, რომ სხვა მიზეზებს გარდა ამას ხელს უშლიდა აგრეთვე არსებული დებულება ჩვენი სამეურნეო წარმოებების მმართველობის შესახებ, აქამდე ძალაშია ის წესი, რომელიც მართალია თავის დროზე აუცილებლად საჭირო იყო, გამომდინარეობდა აღორძინების გზაზე დამდგარ მრეწველობის მდგომარეობიდან, მაგრამ ეხლა ის მოძველდა—ეს არის საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს ბრძანება (1926 წლ.) № 38 და მასთან დართული ტიპიური დებულება, რომელიც მე აქ მაქვს. ამ ბრძანებით შემოღებული წესი მოძველდა და ის სრულიადაც არ უმსუბუქებს კომუნისტ-სამეურნეო მუშაკებს საწარმოო ტექნიკის შესწავლას, ვინაიდან ამ ბრძანების მიხედვით წარმოების მმართველი (თითქმის ყოველთვის—კომუნისტი სამეურნეო მუშაკი) არ არის სრული უფლებებით აღჭურვილი, მისი თანაშემწე ტექნიკური დირექტორი (უმეტეს შემთხვევაში სპეციალისტები) დამოუკიდებელია წარმოების ხელმძღვანელობის საკითხებში, თანამდებობებზე მიღების საკითხში და სხვ. მმართველობის მთლიანობა არ არსებობს, არ არსებობს, მაშასადამე, კომუნისტ სამეურნეო მუშაკის სრული პასუხისმგებლობაც; ამიტომ მას არ აქვს სტიმული წარმოების საიდუმლოებების სავსებით გაცნობისათვის. ის „საერთოდ" ხელმძღვანელობს, „საერთოდ" აწესრიგებს. ის წააგავს ძველ პოლიტგანყოფილების მუშაკს, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა შესწავლილი სამხედრო ხელოვნება, მაგრამ მაინც იყო პარტიის რწმუნებული პირი და როგორც „მთავარსარდალი" იდგა სამხედრო სპეცთან, რომელსაც საერთოდ აყენებდა სწორ გზაზე. ეს არ იძლეოდა იმის აბსოლუტურ გარანტიას, რომ ადგილი არ ექნებოდა ღალატს, მაგრამ უზრუნველყოფდა საერთო სწორ ხაზს. არმიისათვის ეს პერიოდი დიდი ხანია გავიდა—მაგრამ დირექტორის მხრივ საერთო ხელმძღვანელობის, საერთო ხაზის ჩვენების ხანა, კონფლიქტების მოწესრიგების და წარმომადგენლობის ხანა დარჩა ჩვენს მრეწველობაში.

პლენუმმა სავსებით სწორად გამოიტანა აქედან დასკვნა, რომ დებულება, რომელიც მოძველდა, რომელიც უკვე ხელს უშლის ამ სფეროში ძირითადი ამოცანის გადაჭრას, სახელდობრ იმას, რომ ჩვენ გვყავდეს ჩვენი კომუნისტური სამეურნეო კადრი, რომ ეს დებულება უნდა შეცვლილიყო ახალით. უნდა მოვამზადოთ წითელ სპეცების კადრები.

ამასთანავე ერთად უნდა დაისვას საკითხი ახალი კადრების შესახებ არა მარტო კვალიფიკაციის აწევის ხაზით, არა მარტო იმისათვის, რომ შეუმსუბუქოთ ჩვენ კომუნისტ-სამეურნეო მუშაკებს მათთვის ჩაბარებულ წარმოების შინაგან პროცესების შესწავლა—არამედ სწორედ იმ ხაზით, რომ მოვამზადოთ მუშაკები, რომლებიც შესცვლიან ბურჟუაზიულ სპეციალისტებს. აქ იხმება საკითხი ჩვენი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების შესახებ. დამტკიცებულია, რომ ეს სასწავლებლები აქამდე ვერ იძლევიან რამოდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებელ მასალას, რომელიც ესაჭიროება ჩვენს მრეწველობას, ხალხის იმ მასალას, რომელიც საჭიროებს აღორძინების გზაზე შემდგარ ჩვენს მრეწველობას. ეხლა ამ სფეროში მდგომარეობა ისეთია, რომ ისინიც კი, ვინც შეიძლება ჩაითვალოს წითელი სპეცების კანდიდატებად, ისინი ჩვენს წარმოებაში ვერ ღებულობენ ისეთ ადგილს, რომელიც უზრუნველყოფს მათ სათანადო პრაქტიკულ მომზადებას, სათანადო გამოცდილების მიღებას. სხვადასხვა სახით ეს დეფექტები მოიპოვება ყველგან, დაწყებული ლენინგრადის გიგანტური ქარხნებიდან და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებიდან, გათავებული ჩვენი სახელგანთქმული „საინჟინერო" ფაკულტეტებით.

პროფმუშაკების მტკივნეული მხარეები

ჩვენ სისუსტედ უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე ის, რომ ჩვენი პროფესიონალური ორგანიზაციები არ იყვნენ იმ მოწოდების სიმაღლეზე, რომელსაც მათ უკარნახებს ოქტომბრის რევოლიუციის მთავარი აზრი, მუშათა კლასის მიერ საბჭოთა, სოციალისტურ ხელისუფლების დაპყრობის აზრი. აქ არ არიან ბრალეულები. პარტია თვითონ ხედავს თავის-თავს ბრალს. რასაკვირველია, პროფმუშაკები პარტიასთან ერთად, მის შემადგენლობაში იზიარებენ პასუხისმგებლობას ამ საქმისათვის.

მაგრამ ამხ. ანდრეევმა, ჩრდილო-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანმა, ძველმა პროფესიონალურმა მუშაკმა, რომელიც დღემდე რკინისგზელთა კავშირის ცეკას თავმჯდომარეა, აღნიშნა პლენუმზე, რომ დონბასის პროფკავშირები (და არა მარტო დონბასი) მხოლოდ დაბალ საფეხურებზე ავად თუ კარგად უახლოვდებიან წარმოებას, უწევენ რა ხელმძღვანელობას საწარმოო ტრესტებს და სხ. რაც შეეხება ზედა საფეხურებს, უნდა ითქვას, რომ აქ საქმე ცუდად რიგიანად. შახტის ისტორიამ გამოაშკარავა, რომ პროფორგანიზაციები დაშორებული არიან მასებისაგან, მათი ენტუზიაზმისაგან და აგრეთვე მათი წვრილმანი ყოფაცხოვრების მოთხოვნილებებისაგანაც. ამიტომ მათ ვერ შეამჩნიეს არამც თუ ის, რასაც ბოროტმოქმედნი სჩადიოდნენ მაღაროებში, ისეთიც არ უმჩნიეს აგრეთვე იმ მუშებს, რომლებიც მათ აპირებდნენ მიმართავდნენ. მუშები აღმოჩნდნენ არა მარტო ბუმბერაზები, რომელთაც თავის მხრივ გადამჭრელი მშენებლობის მთელი სიმძიმე, არამედ ისინი აღმოჩნდნენ უფრო გამჭრიახნი, ვიდრე ადგილობრივი პროფესიონალური და პარტიული მუშაკები.

ჩვენი მორალური კაპიტალი

მუშებს არა ერთხელ დაუყენებიათ კატეგორიულად საკითხი კონტრ-რევოლიუციის მუშაობის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად ამისა, დონბასის პროლეტარიატი საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის ერთგული იყო და გული არ გატეხია. ამ მხრით გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს ამხ. მოლოტოვის დიალოგი მუშებთან მაღაროების სიღრმეში. ამხ. მოლოტოვი შედიოდა ცენტრალური კომიტეტის კომისიაში, რომელიც გაემგზავრა იქ. აი ამ საუბრის ერთი ნაწილი თავისუფალი გადმოცემით:

---

*) ა. წ. 23 აპრილს, ყ. სახალხო სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტიული კრებების გაჭიანურების წინააღმდეგ

პარტიული მუშაობის ერთ-ერთი ფორმათაგანია პარტიული კრება.

მაგრამ სამწუხაროდ მისი მომზადების და რიგიანად ჩატარების მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა გვაქვს გაკეთებული. შედეგი ის არის, რომ კრებები უსიცოცხლოდ ტარდება, დამსწრეები ვერ იჩენენ აქტივობას და თვითმოქმედებას, დღის წესრიგში დასმული საკითხები ვერ მუშავდება შესაფერისი სერიოზულობით და ყურადღებით. კრების უსიცოცხლოდ ჩატარებას უმეტეს შემთხვევაში მომხსენებელთა შეურჩევლობა იწვევს ხოლმე. ტყუილად როდი აღნიშნა ამხანაგმა კალინინმა ერთ-ერთ თავის სიტყვაში, მომხსენებლის უდიდესი როლი და მნიშვნელობა კრების აქტიურ მსვლელობაში.—თავი უნდა გავანებოთ მშრალ, მხოლოდ სტატისტიკურ მასალით და ციტატებით გატენილ მოხსენებებს. მოხსენება საუბრის ხასიათს უნდა ატარებდეს. მომხსენებელი უნდა დაუკავშირდეს აუდიტორიას, ზოგჯერ წაიხუმროს კიდეც, ეცადოს, რომ ცოცხალი ძაფი არ გასწყვიტოს მსმენელებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში კრება უსიცოცხლოდ ჩატარდება.

ჩვენს მომხსენებლებში კიდევ არის უნაკლო, ერთი ფრიად ცუდი ჩვეულება რომ არ ჰქონდეთ. თვითეული მათგანი ცდილობს გააგრძელოს თავისი სიტყვა, ივიწყებს ხოლმე, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის". ზოგჯერ განსაკუთრებით მაშინ, როცა მომხსენებელი მოუმზადებელია საათობით ლეჩქავს ერთსა და იმავეს, თითონაც ოფლის ღვარი გადასდის და სხვებსაც ღლის.

ამ არანორმალური მდგომარეობის წინააღმდეგ თავის დროზე იყო მიღებული ზომები უკანასკნელ ხანებში. პარტიის მოსკოვის კომიტეტმა კიდევ გამოიტანა ერთი ფრიად საჭირო და აუცილებელი დადგენილება. ამ დადგენილების ძალით თვითეულ მომხსენებელს ეძლევა არა უმეტეს 40 წუთისა—მოხსენება უთუოდ უნდა იქნეს „მოთავსებული" ამ დროში. გარდა ამისა. თვითეული კრების ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს სამ საათს.

ეს დადგენილებები ფრიად დროული და მიზანშეწონილია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვა პარტორგანიზაციებმაც უნდა მიბაძონ მოსკოვის კომიტეტს ამ საქმეში.

ჩვენის აზრით ასეთი ღონისძიების გატარება ზედმეტი არ იქნება არც ჩვენი საზოგადოებრივი, პროფესიონალური ორგანიზაციების ძირითადი ორგანოებისათვის.

ვლ. ბერაძე.

მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის პარტ-კონფერენცია

ამხ. ნემერზელის მოხსენება

ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობას ამჟამად ახასიათებს სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი მიღწევები, მშრომელი მასების ეკონომიური კეთილმდგომარეობისა და კულტურული მოთხოვნილებების ზრდა.

ამ წარმატებებთან ერთად ცხადია ჩვენს წინაშე სდგას მრავალი სიძნელე, რომლის დაძლევასაც ჩვენი პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს.

ყოველ წლობით უმჯობესდება წითელი არმიის მატერიალური მდგომარეობა და მისი შეიარაღება, უმჯობესდება მეთაურთა შემადგენლობა, იზრდება წით. არმიელთა შეგნება და კულტურული დონე.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვალდებული ვართ მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენი მუშაობის შინაარს. საჭიროა პარტ-აპარატისა და მეთაურთა შემადგენლობის პასუხისმგებლობის გაძლიერება. უნდა გაუმჯობესდეს პარტორგანიზაციის როლი და ხელმძღვანელობა წითელი არმიის მუშაობის ყველა დარგებში.

გასულ პერიოდში არმიის პარტ-ორგანიზაციამ, მთელ პარტიასთან ერთად. ჩაატარა იდეოლოგიური ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ჩვენი ორგანიზაცია იდეურად საგრძნობლად გაიზარდა.

კ. წ. დ. არმიაში პარტიის წევრები და კანდიდატები შეადგენენ 11 პროცენტს, ხოლო კომკავშირელებთან ერთად—17,5 პროცენტს. მუშები პარტ-ორგანიზაციაში შეადგენენ—34,7 პროცენტს, გლეხები—34,6 პროცენტს, მოსამსახურეები—28,3 პროცენტს. წარსულ წელთან შედარებით კანდიდატთა შემადგენლობა შემცირდა 3 პროცენტით, პარტ-წევრთა რაოდენობის გადიდების ხარჯზე.

კომკავშირის სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშა—30 პროც., მოსამსახურე—7 პროცენტი და დანარჩენი—გლეხობა.

გადადის რა ტერ-აღმშენებლობის საკითხებზე, მომხსენებელი მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია სამოქალაქო ორგანიზაციების ჩაბმა შეკრებათაშორისო მუშაობაში.

მოხსენების დასასრულს, ამხ. ნემერზელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ამოცანების შესრულება შეიძლება მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციისა და პოლიტ-აპარატის აქტივობის აწევით, წით. არმიელთა შორის მეთაურთა შემადგენლობასთან დაახლოებით. და ბოლშევიკური თვითკრიტიკის უმაღლეს დონემდე განვითარებით.

* * *

26 აპრილის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ნემერზელის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქალიაშვილმა, თოფურიძემ, ცინცაძემ, იმნაიშვილმა, უგულავამ, ბერიძემ, ელიაშვილმა, წულაძემ; სიამაშვილმა და სხვებმა. ორატორები უმთავრესად ეხებოდენ მუშაობის ნაკლულოვანებებს და შემოიტანეს კონკრეტიული წინადადებები მათ გამოსასწორებლად.

თბილისის ორგანიზაციის რაიკომებში

მესამე რაიონის აქტივზე

გუშინ შესდგა მესამე რაიონის პარტაქტივის კრება. რომელზედ საკავშირო კომპარტიის ცეკას, და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რუბენი.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო აქტივს პლენუმის გადაწყვეტილებანი პურის დამზადების კამპანიისა და შახტის საქმეზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჯინჯოლავამ, ოგანეზოვმა, სერაფიანმა, მახარაძემ, ტერ-ვართანოვმა და ადამიანმა.

უკანასკნელი ორატორი სხვათა შორის აღნიშნავდა, რომ ჩვენთვის თვითკრიტიკის ლოზუნგის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მარტო ამ ლოზუნგის გადმოსროლა არ არის საკმარისი. მის განსახორციელებლად კი საჭიროა უარვყოთ სამეურნეო მუშაკების უნივერსალური მოხსენებები. მოხსენება უნდა იყოს რომელიმე ცალკე საკითხის გარშემო, რომ მუშებს შეეძლოთ მისი საქმიანი კრიტიკა.

ამხ. რუბენის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო დადგენილება მთლიანად შეუერთდეს თბილისის ორგანიზაციის აქტივის რეზოლუციას.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

გუშინ, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, უჯრედის ბიუროს წევრთა და პარტ-ორგანიზატორთა თანდასწრებით. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. უჯრედის ბიუროების გადარჩევის შესახებ და 2. პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. კუდრიავცევი, რომელმაც დაახასიათა ბიუროების გადარჩევის მნიშვნელობა, და მისი ჩატარების ორგანიზაციული მხარეები.

1-ლი მაისის დღესასწაულის ჩატარების შესახებ მოკლე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. ციხელაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ დემონსტრაციის ჩატარების დროს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს დაბნეულობას და ყოველი წარმოება-დაწესებულების მომუშავეები უნდა გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად. საჭიროა ადგილებზე გამოიყოს სამეულები, რომელთაც უნდა დაევალოთ მუშა-მოსამსახურეთა შეკრება დანიშნულ დროისათვის. 2 მაისს მოეწყობა ქალაქს გარეთ ექსკურსიები.

მუშათა ცხოვრება

გამომგონ მუშების დაჯილდოების შესახებ

მუშა გამომგონლებს, ჩვენი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. შემოღებულია სპეციალური ფონდები მუშების მიერ გამოგონებულისა და წარმოების გამაუმჯობესებელ ღონისძიებების ცხოვრებაში გასატარებლად და თვით გამომგონ და გამაუმჯობესებელ მუშების დასაჯილდოებლად. ამ ფონდებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს ჩვენს წარმოებას და ხელი შეუწყვეს როგორც გამომგონ მუშების რიცხვის ზრდას, ისე წარმოების გაჯანსაღებასაც.

საწარმოო თათბირების მუშაობაც უმთავრესად მუშა-გამომგონებელთა რიცხვის ზრდისაკენ არის მიმართული. არ ვარგა საწარმოო კომისიის თუ თათბირის მუშაობა, თუ ამ მუშაობაში არ არის ჩაბმული წარმოების აქტივი, მუშა-გამომგონი და საერთოდ წარმოების გაჯანსაღებაში დაინტერესებული მუშები, რომლებიც თავიანთი წინადადებებით აუმჯობესებენ წარმოებას და ხელს უწყობენ მის რაციონალიზაციას. ამ მხრივ საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, საწარმოო თათბირების მუშაობა ადგილებზე, საგრძნობლად გაუმჯობესდა. ეს ფაქტი დამამტკიცებელია იმისა, რომ თანდათანობით მუშა-გამომგონებელთა რიცხვი მატულობს და თვით საწარმოო თათბირების მუშაობაც მეტ ნაყოფს იძლევა. ასეთი სურათია საერთოდ.

მაგრამ ზოგიერთ ცალკე წარმოებაში ეს ასე არ არის. წარმოების ხელმძღვანელები ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშა გამომგონებლებს. ისინი ხშირად აჭიანურებენ კიდეც მუშა-გამომგონის წინადადებების ცხოვრებაში გატარებას. ასეთივე მდგომარეობაა გამომგონ მუშების დაჯილდოების საკითხიც ზოგიერთ წარმოებაში. ეს კი ცოტა არ იყოს აფერხებს წარმოების გაჯანსაღებას და მუშაობის გაადვილებას. აი ერთი მაგალითი წარმოების გამაუმჯობესებელ მუშების დაჯილდოების გაჭიანურებისა:

გასულ წელს ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ორმა მუშამ; ჯანელიძემ და გურგენიძემ, მდ. რიონზე მოაწყო პატარა ელექტრო სადგური, რომელმაც ფაბრიკას მისცა უფასო სინათლე. ამან საგრძნობლად შეამცირა ფაბრიკის ხარჯები, მაგრამ გამაუმჯობესებელ მუშების დაჯილდოების საკითხი კი დღესაც არ არის გადაწყვეტილი.

ასეთი შემთხვევის შემდეგ რასაკვირველია, რომ აღარც ეს მუშები და აღარც სხვები, არ შეეცდებიან წამოაყენონ საწარმოო თათბირზე რაიმე გეგმა წარმოების გასაუმჯობესებლად. ამით საწარმოო თათბირის მუშაობაც ფერხდება. ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღონ ადგილობრივ პროფორგანოებმა და რაც შეიძლება დააჩქარონ გამომგონ მუშების დაჯილდოების საკითხის გადაწყვეტა.

X.

როდის გამოირკვევა

(წერილი ქუთაისიდან)

ერთი წლის წინად, ქუთაისის მაუდის საქსოვ ფაბრიკის მუშებმა; ჯანელიძემ და გურგენიძემ ფაბრიკისათვის წყლის საქაჩავთან მოაწყვეს პატარა ჰიდრო ელექტრო სადგური, რომელმაც ქარხანას მისცა უფასო ელექტრონის ენერგია. ამან საგრძნობლად შეამცირა ფაბრიკის ხარჯები. ამის გამო ადმინისტრაციამ გადასწყვიტა დააჯილდოვოს გამომგონი მუშები ერთი 30 მანეთით და მეორე 50 მანეთით. მუშები დათანხმდნენ ასეთი პირველ ჯილდოს მიღებას იმ პირობით, თუ მათ მისცემდნენ აღნიშნულ სადგურის მოწყობაზე გაწეულ ზედმეტი მუშაობის გასამრჯელოს. ადმინისტრაცია ამას არ დასთანხმდა, რის გამო გაჩაღდა მიწერ-მოწერა ადმინისტრაციასა და სათანადო დაწესებულებათა შორის. ფაბრიკის ადმინისტრაცია ამბობს, რომ გასამრჯელოს გაცემა დამოკიდებულია საფეიქრო ტრესტზე. უკანასკნელმა კი არაფერი არ იცის ამის შესახებ. ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამაც აქამდე ვერ გამოარკვია ეს საკითხი.

ამრიგად მუშა გამომგონებლების დაჯილდოების საკითხი უკვე ერთი წელიწადი ირკვევა და კიდევ რამდენი დრო დასჭირდება მის გადაწყვეტას ვინ იცის. ასეთი საკითხის გაჭიანურება ხელს უშლის წარმოების გაუმჯობესებას.

ქარხნის მუშა.

ორ სკამზე

აგურის ქარხნების სამმართველო აერთიანებს, შვიდ ქარხანას, ამ ქარხნებს წინად ჰყავდა ერთი ექსპედიტორი, მაგრამ საქმის გართულების და ქარხნების მომატების შემდეგ, საჭირო შეიქნა ერთი კაცის მომატება, ამჟამად სამმართველოს ჰყავს ორი ექსპედიტორი. დღემდე ამ თანამდებობაზე ვერვინ ფეხი ვერ მოიკიდა; ვინც მოიყვანეს ან ფული გაფლანგა და წავიდა, ან შეუფერებელი იყო თავის თანამდებობაზე.

უკანასკნელად, მეორე ექსპედიტორად დანიშნეს ვინმე პეტროვი, რომელიც აგურის ქარხნების სამმართველოს გარდა მსახურობს ლოტოს სათამაშოში და ჯამაგირს ღებულობს, საკმაო რაოდენობით, ლოტოში რჩება ღამის 2—3 საათამდე, რის გამო მეორე დღეს, მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის ასრულება ისე, როგორც ამას მოითხოვს სამსახური, მისი მოვალეობის შესრულება უხდება № 1 ქარხნის ინსტრუქტორს, რომელიც სტოვებს თავის სამუშაოს და დადის ქალაქში ამა თუ იმ მასალა-ინსტრუმენტების შესაძენად. ეს კი საგრძნობლად აფერხებს წარმოებას და ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას. ასეთი უთავობა წარმოებაში ყოვლად დაუშვებელია.

ადგილი აქვს კიდევ ისეთ შემთხვევას, როცა ექსპედიტორი ყიდულობს ისეთ იარაღს, რომელიც არ ესაჭიროება ქარხანას: ამას წინად ქარხანაში გადმოგზავნეს 54 კილო რკინის რგოლი. სამისო მოთხოვნილება კი სრულებით არ ყოფილა. მეორეთაც ამავე ქარხანას იგივე მასალა 45 კილო მოუვიდა. ესეც ისევე უნაყოფოდ ეწყო, როგორც პირველი, ამავე დროს კი ქარხანას არ მოეპოვება აუცილებელი საჭირო ხელსაწყო იარაღი.

აგურის ქარხნების სამმართველომ ბოლო უნდა მოუღოს თანამშრომელთა ორ სკამზე ჯდომას და ექსპედიტორების ასეთ დაუდევრობას.

უდაბადე.

მუშკორთა წერილებიდან

წიგნებს აქირავებს. ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის საბუღალტრო კურსების ლექტორს, მოქ. სტეფანოვს გამოუცია სახელმძღვანელო წიგნი, რომელსაც აქირავებს 6 თვეში სამ მანეთად თითო მსმენელზე. ერთ წიგნს აძლევს ოთხ მსმენელს, ისე, რომ წიგნში 6 თვეში ღებულობს 12 მანეთს. აღნიშნული წიგნი ბაზარზე არ მოიპოვება, რომ შეიძინოს მსმენელმა, სხვა წიგნით მეცადინეობის უფლებას კი არ აძლევს მოქ. სტეფანოვი. განათლების განყოფილებამ, გამოარკვიოს რად ხდება ასე.

ივლ. ლუკაშვილი.

რად შეამცირეს. გასულ წელს, რკ. გზის მთ. სახელოსნოს სამკითხველოსთვის, ადგილკომს გამოწერილი ჰქონდა სამი ჟურნალი და სამი გაზეთი. დღეს კი სამკითხველოს მოსდის მხოლოდ ერთი ჟურნალი და ორი გაზეთი. ადგილკომმა, რად შეამცირა ჟურნალ-გაზეთების რიცხვი.

დ. გვაზავრელი.

შინაური სტიპენდია. რკ. გზის გამგეობის ყოფილი წევრის, მოქ. მამედბეკოვის თხოვნით, საქმეთა მმართველ რიბინის შვილს, რომელიც სწავლობს ლენინგრადის გზათა ინსტიტუტში, სამხრეთ-ჩრდილოეთის რკ. გზის გამგეობამ დაუნიშნა შინაური სტიპენდია. ეს პროფკავშირმა დღემდე არ იცის. როგორ მოხდა.

ა. ბე.

მუშაობა არა სჩანს. ზეთის სახდელ საპნის ქარხანაში კულტმუშაობა არა სჩანს. საზაფხულო სეზონი უკვე იწყება და კულტკომისიას მუშაობის გეგმა არა აქვს შემუშავებული, ფაბკომიც ჯერ-ჯერობით არავითარ ზომებს არ ღებულობს კულტმუშაობის გასაცოცხლებლად.

ზეთის მხდელი.

სამუშაოზეც არ გვიშვებენ. სად. თბილისის კომენდანტის მხრის პერონზე გასავალ კარებიდან, სადაც სდგას დამცველი რაზმის თანამშრომელი, სამუშაოზე მიმავალ რკ.-გზელებს არ ატარებენ, რის გამო მუშები ხშირად იგვიანებენ სამუშაოზე. დამცველი რაზმის უფროსმა უნდა გასცეს განკარგულება, რათა მუშები გაუშვან ამ კარებიდან.

რაზმელი.

საქ. სახკომსაბჭოში

აღმშენებლობა ხრეთის თემში

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო დაევალოს მიწსახკომს გასცეს 1928—29 წ. სპეციალური დანიშნულების ხე-ტყის მასალიდან ხრეთის თემში სკოლისა, ბიბლიოთეკისა და საექიმო პუნქტის მოსაწყობად 6.800 კ. ფ. ხე-ტყის მასალა.

ამხ. ბ. გოგიას დანიშვნა

წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო სამეულის წევრად დაინიშნა წყალთა სამმართველოს უფროსი ამხ. ბ. გოგია.

საკურორტო აღმშენებლობა აჭარისტანში

სრულიად საქართველოს ცაკ-ის სესიის დადგენილების თანახმად, სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ დააკმაყოფილა აჭარისტანის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა აჭარისტანში საკურორტო აღმშენებლობისათვის—50.000 მან. გაღების შესახებ.

კურორტი „არაზინდო".

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებით კურორტი „არაზინდო" გადაეცა კურორტთა სამმართველოს.

ცაგერი-მუაშის გზატკეცილი

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ განიხილა ცაგერი-მუაშის გზის გაყვანისათვის საჭირო სახსრის გამონახვის საკითხი. სხდომამ საჭიროდ სცნო დაევალოს ლეჩხუმის აღმასკომს ხსენებული გზის გასაყვანად შეიტანოს თავის ბიუჯეტში, სამი წლის განმავლობაში 1928—29 წლიდან, ოც-ოცი ათასი მანეთი.

მიწსახკომის შუამდგომლობა

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ დააკმაყოფილა მიწსახკომის ცხენთსაშენის განთავისუფლების შესახებ სამქედლოს ყოველგვარი გადასახადისაგან.

გლეხების გადასახლება ჩაქვის სახ. მამულებიდან

ჩაქვის სახალხო მამულების ფართობებიდან გლეხების გადასახლებისათვის საჭირო სახსრის გამოსარკვევად სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ გამოჰყო კომისია მიწსახკომის მოადგ. ამხ. მ. ძამაშვილის (თავმჯდომარე) და საზ. „საქართველოს ჩაის" და აჭარისტანის სახკომსაბჭოს წარმომადგენლების შემადგენლობით.

კრედიტი კოოპერაციას

1927—28 წ. ბიუჯეტით საქართველოს კოოპერაციისათვის გადადებული 211.600 მან. კრედიტი სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ გაანაწილა შემდეგნაირად: „სოფლის კავშირს"—101,600 მან.; სარეწაო კოოპერაციის კავშირს—60.000 მან. და საბინაო კოოპერაციას—50.000 მან. ხსენებული დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცა ეკონომიურ საბჭოს.

ეკონომიურ საბჭოში

ახალციხის წყალსადენი

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ახალციხის სამაზრო აღმასკომს ახალციხის წყალსადენის გასაფართოებლად საჭირო ხარჯი გათვალისწინოს 1928—29 წ. ბიუჯეტში.

ეკონომსაბჭოსთან არსებულ სატექნიკო საამშენებლო კომიტეტს დაევალა წარმოადგინოს წყალსადენის დეტალური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

ჩაის საცდელი საქმის გაფართოება

ჩაის საცდელი საქმის გაფართოების მიზნით ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო დაევალოს საზ. „საქართველოს ჩაი"-ს ქ. ოზურგეთში მოაწყოს ჩაის საცდელი ცენტრი და ერთ-ერთი განყოფილება ჩაქვში.

ფინანსების მიწოდება ადგილობრივ მრეწველობისათვის

ეკონომსაბჭომ დაამტკიცა ადგილობრივ მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელ კომისიის დადგენილება, 1927—28 წ. მესამე კვარტალის ლიმიტების ანგარიშში, სამაზრო აღმასკომებისა და ადგილობრივი ტრესტებისათვის მიზნობრივი კრედიტის სახით 312.000 მან. მიცემის შესახებ.

სენაკის კირის ქარხნის შეკეთება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივ მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელი კომისიის დადგენილება სენაკის კომუნალური ტრესტის განკარგულებაში, კირის ქარხნის კაპიტალური რემონტის საჭიროებისათვის, გრძელვადიანი სესხის სახით 2,600 მან. მიცემის შესახებ.

ნავთის წყაროები სოფელ ბაღდათში

თბილისში ჩამოვიდა სამთო ტრესტის გეოლოგების კომისია ინჟ. დ. ყიფიანის, გეოლოგ ბახტაძის და არ. გოგიშვილის შემადგენლობით. კომისიამ აქ რამოდენიმე დღის წინათ დაათვალიერა სოფ. ბაღდათის (ქუთ. მ.) მახლობლად არსებული ნავთის წყაროები და თან ჩამოიტანა ამ ნავთის ნიმუშები.

სამ. უს. ნავთის დამუშავებათა სექციაში ბაღდათის ნავთის შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს, რომ ბაღდათის წყაროები დიდ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ რამე გარკვეული აზრის გამოთქმა ხსენებული რაიონის ნავთის სიმდიდრეთა შესახებ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, ვინაიდან არ მომხდარა ნავთის წყაროების დაწვრილებითი გეოლოგიური შესწავლა. ბაღდათის ნავთის წყაროების არსებობის შესახებ ტექნიკურ ლიტერატურაში მოიპოვება მხოლოდ მოკლე ცნობა. (1912—1913 წ.) ამ ნავთის წყაროების შესწავლას აწარმოებდა ცნობილი ფრანგი გეოლოგი დე-რაცე, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოკვლევების დროს შეკრებილი ყველა მასალები დაიღუპა.

ბაღდათის ნავთის წყაროები მოხერხებულ ადგილას მდებარეობს. ნავთი ამოდის რამოდენიმე ადგილას.

მომავალი ზაფხულის განმავლობაში განზრახულია მოხდეს ამ ნავთის წყაროების დაწვრილებითი გამოკვლევა.

პროფკავშირების მონაწილეობა ხუთწლიან გეგმის შედგენაში

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებაში ამხ. ს. გოდაბრელიძის თავმჯდომარეობით შესდგა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც მოისმინა საქ. საგეგმო კომისიის წარმომადგენლის ამხ. ა. კვიროკაძის მოხსენება საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან პერსპექტიული გეგმის შედგენის შესახებ.

მოხსენების გამო თათბირმა მიიღო შემდეგი დადგენილება:

კავშირების ცენტრალურ გამგეობების წარმომადგენლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ხუთწლიან გეგმის პირველ შედგენაში სათანადო ორგანიზაციებში (ტრესტები, სახკომსარიატები და სხვ.), პროექტების შემდგომი განხილვის დროს, ს. მ. უ. საბჭოში და საგეგმო კომისიაში გამოძახებული უნდა იქნეს სათანადო კავშირის წარმომადგენელი. ს. პ. კ. ს. მონაწილეობას იღებს პროექტების მიღებაში ს. მ. უ. ს. კომისიაში და საგეგმო კომისიაში.

კავშირებმა უნდა აცნობონ ს. პ. კ. ს. იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათ მიერ წამოყენებული იყო ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს, მაგრამ უარყოფილი იქნა სამეურნეო ორგანოების მიერ.

კავშირებმა ხუთწლიანი გეგმების დამუშავებაში უნდა ჩააბან ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები. ხუთწლიან გეგმის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, როგორც ინდუსტრიალურმა, ისე არაინდუსტრიალურმა კავშირებმა.

ხუთწლიან გეგმის შედგენის და დამტკიცების საკითხის უფრო სრულად გასაშუქებლად მოწვეულ უნდა იქნეს უფრო ფართო თათბირი, რომელზედაც მოსმენილი უნდა იქნეს საგეგმო კომისიის მოხსენება.

საბჭოთა საქართველო

წერილები

დაუდევრობის ერთი ნიმუში

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებში მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის თავის დროზე დარიგება. ხელფასის თავის დროზე დარიგებას წინად აბრკოლებდა სათანადო თანხების სიმცირე, მაგრამ რამდენადაც ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა გაჯანსაღდა, იმდენად ხელფასის დარიგების საქმეც ნორმალურ კალაპოტში იქნა ჩაყენებული.

ქალაქებში არსებულ წარმოება-დაწესებულებებში დღეს ძალზე იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ მუშა-მოსამსახურენი თავის დროზე ვერ ღებულობდნენ კუთვნილ ხელფასს. თითქმის ასევე გამოსწორებულია მასწავლებლებისათვის შრომის ხელფასის დარიგების საქმეც, მაგრამ სოფლად არიან დაქირავებული ისეთი თანამშრომლებიც, რომლებიც კიდევ ვერ იღებენ თავის დროზე კუთვნილ გასამრჯელოს და ამ ნიადაგზე მათ შორის ადგილი აქვს უკმაყოფილებას და თავის მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობას.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სოფლად არსებული დაწესებულების დაბალი თანამშრომლები, როგორიცაა მაგალითად თემ-აღმასკომის, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათა და სამკითხველოების მოსამსახურენი. ამ დროს, როდესაც კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად ქალაქში არსებულ წარმოება-დაწესებულებებში ხელფასი რიგდება თვეში ორჯერ, ზემოხსენებული დაწესებულების თანამშრომლებს რამოდენიმე თვეობით უგვიანებენ ხელფასს.

ყველაზე კურიოზულ მოვლენას ამ მხრივ ადგილი აქვს ჩხოროწყუს თემში (ზუგდიდის მაზრა) არსებულ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, სადაც წერილების დამტარებლებს ჯერ კიდევ არა აქვთ მიღებული გასული წლის აგვისტოს ჯამაგირები. ფოსტის უფროსმა ამის შესახებ არა ერთხელ მიმართა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კანტორას, მაგრამ მათგან პასუხიც კი ვერ მიიღო. უკანასკნელად დამტარებლები იძულებული გახდენ მიემართათ შრომის ინსპექტორისათვის.

ყოვლად შეუძლებელია ამ დაუშვებელ მოვლენის ახსნა სათანადო თანხების უქონლობით. აქ საქმე გვაქვს აშკარა დაუდევრობასთან, წმინდა წყლის ბიუროკრატიზმთან, რომლის წინააღმდეგ გაფართოებულ ბრძოლას აწარმოებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები.

საჭიროა ენერგიულად და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ასეთ დაუდევრობას. დაქირავებული თანამშრომლის ხელფასით თავის დროზე დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა თვითეული დაწესებულების ადმინისტრაციისათვის და ამ შემთხვევაში გამონაკლისს არც ერთი დაწესებულება არ უნდა წარმოადგენდეს.

ენი.

ვებრძოლოთ უსამართლობას

დაბა თიანეთი, თბილისის მაზრა.

თიანეთის თემპოლიტგანის გამგეთ ითვლება მოქ. ივანე ბეწუკელიშვილი, რომელიც აგრეთვე ასრულებს დ.-კ. რწმუნებულის მოვალეობასაც. აღსანიშნავია, რომ მოქ. ბეწუკელიშვილი არის საკმაოდ შეძლებული პიროვნება. მას ორ ადგილას აქვს საცხოვრებელი ბინები, რომლებიდანაც იღებს შემოსავალს, აგრეთვე იგი ეწევა მეღვინეობასაც. ასე რომ, დაბა თიანეთში მასზე შეძლებული თითქმის არავინ მოიპოვება. მოქ. ბეწუკელიშვილი დიდის რიხით ეუბნება ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ თუ 80 მან. მომცემთ თვეში გასამრჯელოს, ვიმსახურებ, არა და არ მსურს სამსახურიო. ემთმასკომის ხელმძღვანელები კი სდუმან და ხმასაც არ იღებენ.

რატომ არ შეიძლებოდა ბეწუკელიშვილის განთავისუფლება ამ თანამდებობიდან და მის მაგიერად უმუშევარის მოწვევა? მაგრამ ეს მოვლენა უნდა მიეწეროს არსებულ ნათლიმამობას.

დროა ბოლო მოეღოს უსამართლობას.

მეხი.

ერთი რამ აკლია.

(წერილი სვანეთიდან)

საქართველოში ყველაზე უფრო კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ კუთხეს დღემდი სვანეთი წარმოადგენდა, მაგრამ დღეს სვანეთსაც ეტყობა კულტურული წინსვლა, რომელიც გამოიხატება შემდეგში: რამდენიმე ალაგას არსებობს კოოპერატივი, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები და თვითეულ თემში ოთხწლიანი შრომის სკოლა, საავადმყოფოები, ტელეგრაფი, მიმღები რადიო, სამკითხველოები და აგრეთვე წითელი მხედრების მერხებით გაკეთებული იქნა საცხენოსნო გზა, რომელმაც სვანეთის მშრომელი გლეხობა წელში გამართა და დაუახლოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს.

ამჟამად განზრახულია ჰიდროელექტრო სადგურის აგებაც.

ზემო სვანეთის მაზრის ცენტრში—მესტიაში, ყოველწლიურად შენდება მთავრობის და კერძო მოსახლეობის მიერ ევროპიული ტიპის სახლები, რომლებიც დღემდე სვანეთის სინამდვილეში იშვიათად არ არსებობს.

სწავლის მხრივ უფრო უკეთესად არის საქმე დაყენებული. თუ წინად მარტო მღვდლების შვილები სწავლობდნენ, ახლა მშრომელი გლეხების შვილები სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და მოსკოვშიც, ეს ყოველივე დიდ ბედნიერებას წარმოადგენს სვანეთის მშრომელ ხალხისათვის.

ყველა ამ მიღწევებთან ერთად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჯანმრთელობის დაცვის საქმესაც. მართალია სვანეთში ამჟამად არსებობს ტერაპევტიული და ქირურგიული განყოფილებები, კბილის საექიმო კაბინეტი, ცენტრალური და სოფლის აფთიაქები, მაგრამ არ არის კან-ვენერიული განყოფილება, რაც აუცილებლობას წარმოადგენს სვანეთისათვის.

წინად ქალაქებში მისვლა-მოსვლა არ იყო ისე ხშირი, როგორც დღეს და არც მაინცა და მაინც ვენერიული ავადმყოფობა იყო გავრცელებული სვანეთში, მაგრამ დღეს რადგან მიმოსვლა გახშირდა, ამიტომ ეს ავადმყოფობაც იკიდებს ფეხს. ვინც ვენერიული ავადმყოფობით დასნეულებულია, ის იძულებული ხდება წამლობას მიმართოს, მაგრამ სამისო საშუალებას მოკლებულია, ვინაიდან თვით ადგილობრივად არ არსებობს ასეთი საექიმო პუნქტის კან-ვენერიული განყოფილება და ქალაქში წამოსვლას ყველა ვერ შესძლებს, ვინაიდან ხანგრძლივ წამლობას და ბევრ ხარჯებს მოითხოვს.

იმედია ამ გარემოებას საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მიაქცევს ყურადღებას და იხსნის სვანეთის მოსახლეობას ვენერიული დაავადებისაგან.

მენტელი.

გლეხკორთა წერილებიდან

დადგენილება არ განხორციელდა

ს. გიორგიწმინდა, თბ. მაზრა

ამ სოფელში 500 კომლამდე მცხოვრებია, მაგრამ კულტურულად ძალზე ჩამორჩენილია ამ ერთი წლის წინად გლეხობამ დაადგინა აეგო სახალხო სახლი, მოზიდეს 10 ათასი აგური და სამი საჟენი ქვა, მაგრამ ამის შემდეგ არაფერი გაკეთებულა და დადგენილება ქაღალდზე დარჩა. საჭიროა თემაღმასკომმა და სოფლის კულტურულმა ძალებმა გლეხობის დადგენილება სისრულეში მოიყვანონ.

გ. ბ—შვილი.

„გლეხი"-ს წერილის გამო

გაზეთ „კომუნისტი"-ს წარსული წლის № 272-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სოფ. ხიდისთავიდან (გორის მ.). კორესპონდენციის ავტორი „გლეხი" ბრალს სდებდა ხიდისთავის აღმასკომის თავმჯდომარე თევდორაშვილს მექრთამეობაში, სახელმწიფო მამულების პირად სარგებლობისათვის გამოყენებაში და სხვა. როგორც სამაზრო პარტიულ კომიტეტის მიერ გამოყოფილ კომისიის კვლევა-ძიებამ გამოარკვია, ამხ. თევდორაშვილის წინააღმდეგ წაყენებული არც-ერთი ზემოთ დასახელებული ბრალდება სიმართლეს არ შეეფერება.

კომისია.

ლათინურ ამერიკის პროფკავშირთა დელეგაცია თბილისში

წარმოება-დაწესებულებების დათვალიერება

გუშინ დილის 10 საათიდან დელეგაცია შეუდგა თბილისის ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნოების და სხვა წარმოების დათვალიერებას.

მთავარ სახელოსნოში

დელეგაციის წევრებს დიდად აინტერესებდა რკინის გზის მუშების მდგომარეობა და ამ მიზნით დელეგატები ესტუმრენ მთავარ სახელოსნოებს. სტუმრებმა ყურადღებით დაათვალიერეს სახელოსნოები, ერთ-ერთ საამქროში დელეგატების ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდობის სიმრავლემ. ესაა სასწავლო ბრიგადა. აქ მზადდება კვალიფიციური მუშების კადრი. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე მთავარი სახელოსნოების უზარმაზარი სახარატო ცეხი. დელეგატებმა გამოკითხეს მუშებს, თუ როგორია მათი შრომის პირობები, ხელფასი, რა მდგომარეობაშია დაზღვევის საქმე და სხვა. ყველა ამ კითხვებზე დელეგატებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს მათ გარშემო შეკრებილ მუშებისაგან.

მუშათა კლუბებში

დელეგატებმა დაათვალიერეს მუშათა ახალი კლუბი. დელეგატებს აინტერესებდა ყველაფერი, ყოველივე წვრილმანიც კი. კლუბის დათვალიერებამ დელეგატებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი.

ზაჰესში

გუშინ დელეგაციამ დაათვალიერა ზაჰესი. მუშებთან საუბარში ერთ-ერთმა დელეგატმა სთქვა: „ზაჰესში წარმოებული მუშაობა ნათლად მოწმობს, თუ როგორი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საქართველოში სამრეწველო აღმშენებლობა".

ზაჰესის დათვალიერება გაგრძელდა ორი საათი. დელეგატებმა თავისი შთაბეჭდილებები ჩასწერეს სტუმართა წიგნში, რის შემდეგ გამოემგზავრენ თბილისში.

* * *

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ტყავის [illegible] ქარხნები და წითელი არმიის ნაწილები.

დელეგაციის გამგზავრება

გუშინ, საღამოს დელეგაცია გაემგზავრა ბაქოში.

სადგურზე დელეგაცია გააცილა ადგილობრივმა პროფმუშაკებმა.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარე ციკეიროზთან

თბილისის წარმოება-დაწესებულებების დათვალიერების შემდეგ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა ლათინურ ამერიკის პროფკავშირთა დელეგაციის თავმჯდომარე ციკეიროზს (მექსიკის სამთა-მადნო შრომის ფედერაციის თავმჯდომარეს), რომელმაც განაცხადა შემდეგი:

„ჩვენი მიზანია გავეცნოთ საბჭოთა კავშირის მუშების ცხოვრებას და საერთოდ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას. განსაკუთრებით გვაინტერესებს პროფესიონალური მოძრაობის შესწავლა. ჩვენ დავათვალიერეთ საბჭოთა კავშირის ზოგიერთი სამრეწველო რაიონები, ყველგან დიდის აღფრთოვანებით გვხვდებოდენ მუშები, და მუშა-ქალები და ჩვენს შორის გამართულ მეგობრულ ბაასიდან ბევრი რამ გამოირკვა ისეთი, რაც აქამდე უცნობი იყო ჩვენთვის.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ, ბევრ რამეში დავრწმუნდით, ჩვენი თვალით ვნახეთ, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ჰქმნის ახალ პროლეტარულ სახელმწიფოს, საბჭოთა მეურნეობის აღდგენის საქმე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რაც ნათლად მტკიცდება ყოველივე იმიდან, რაც ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ.

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ის აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს, არის ახალი დამამტკიცებელი საბუთი იმის, რომ მუშათა კლასს, ბურჟუაზიის ჩამოგდების შემდეგ, შესძლებია არა მარტო ქვეყნის მეურნეობის მოწესრიგება, არამედ პროდუქციის გადიდება და მისი მოხერხებულად გამოყენება. აშკარაა, რომ არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ მოიძებნება იმისი მსგავსი, რაც თქვენში გაკეთებული მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ყველაფერი ის, რასაც საზღვარ-გარეთელი ბურჟუაზიული და „სოციალისტური" გაზეთები სწერენ საბჭოთა კავშირის შესახებ, ცილისწამება და ჭორი ყოფილა.

ის რაც ჩვენ თბილისში ვნახეთ, უტყუარი საბუთია იმისა, თუ რამდენად წინ მიდის საბჭოთა საქართველო.

საქართველოში ჩვენ დავათვალიერეთ წითელი არმიის ნაწილები. ის დიდი კულტურული მუშაობა, რომელიც წითელ არმიაში სწარმოებს, ცხადყოფს, რომ წითელი არმია არის ერთად ერთი არმია მთელს მსოფლიოში, რომელიც იცავს მშრომელი კლასის ინტერესებს და შეგნებულად სდგას რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

დასასრულ ციკეიროზმა განაცხადა: ვიძლევი სიტყვას, რომ გამოვალ მუშათა საერთო კრებებზე ლათინურ ამერიკაში და გავაქარწყლებ იმ ჭორებს, რომლებსაც ლათინურ ამერიკის მუშათა წრეებში ავრცელებენ. მივიღებთ ყოველგვარ ზომებს მთლიანი მუშათა ფრონტის შესაქმნელად.

საქ.-ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

დახმარება ხორგის თემს

საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის განკარგულებით ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ ხორგის (ზუგდიდის მაზრაშია) თემს სკოლის შენობის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ დახმარებათ გაუგზავნა 1.000 მანეთი.

პენსიები და დოტაცია

ამ თვეში (აპრილში) ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ დამსახურებულ რევოლუციონერებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, მსახიობებს და მათ ოჯახებს პენსიების სახით დაურიგა 11.779 მანეთი და 50 კაპ., და ამავე თვეში მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს სოც. უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარად გადაუგზავნა 7.717 მანეთი.

თბილისის მაზრაში

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების თბილისის საპენსიო ნაწილმა ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ომის და შრომის ინვალიდებს პენსიების სახით აპრილში დაურიგა 3.300 მანეთი, მხოლოდ ისეთ ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს, რომლებიც აღრიცხულია იქავე ნაწილში და ჯერ არა აქვთ დანიშნული პენსიები, დახმარებათ დაურიგა 2.000 მანეთი.

პროფკავშირები და მაისობა

საბჭოთა კავშირის ცაკის და საქ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების თანახმად, ა. წ. 2 მაისი გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების ცნობით, აღნიშნულ დღეს თბილისის მიდამოებში მოწყობილი იქნება მაისობა. მაისობა ჩატარებული იქნება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად. იგი მოეწყობა სრულებით ნებაყოფლობით.

მაისობის (2 მაისს) ჩატარებას პროფორგანიზაციები აპირებენ ყოფ. ხუდადოვის ტყეში და № ქართული ლეგიონის საბანაკო რაიონში (ავლაბარში).

ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებებში გამოყოფილ საპირველმაისო კომისიებს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ავალებს შეიმუშაონ დაწვრილებითი გეგმა მაისობის ჩასატარებლად და ამის შესახებ ფართოდ აცნობონ მუშა-მოსამსახურეებს.

რათა მაისობას მიეცეს ოჯახის დღესასწაულის ხასიათი, მაისობაში ჩაბმული უნდა იქნეს კავშირების წევრები და მათი ოჯახის წევრები.

მაისობის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ მუშათა კლუბების სამხატვრო წრეები, სასულე და სიმებიანი ორკესტრები, დრამატიული წრეები, ცოცხალი გაზეთების წრეები და სხვა.

სამაზრო ჯანმრთელობის განყ. გამგეების თათბირი

მეორე დღე

26 აპრილს, დილის სხდომაზე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. ვ. ორჯონიკიძე, რომელმაც განმარტა ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა-დამუშავების წესი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნეს საავადმყოფოების შესაკეთებლათ საჭირო თანხები, საექიმო იარაღებით მომარაგების ხარჯთ-აღრიცხვები და სხვა ხასიათის გასავალი. გარდა ამისა, მომხსენებელი დაწვრილებით ეხება ბიუჯეტის დამუშავების ყველა მხარეებს და ასკვნის, რომ ფინსახკომში მოგროვილი წინასწარი ცნობების თანახმად, წელს ადგილობრივ ბიუჯეტს არ დაეტყობა დიდი ზრდა. სულ ჯანმრთელობის დარგის ადგილობრივი ბიუჯეტი ე. წ. ორიენტირის თანახმად გადიდებულ იქნება გასულ წლებთან შედარებით 135.000 მანეთით.

შემდეგი მოხსენებით გამოდის „სახმედვაჭრობა"-ს წარმომადგენელი ს. გაცერიძე, რომელიც თათბირს აცნობს სხვადასხვა მედიკამენტებით მომარაგების საკითხს. რესპუბლიკაში არსებული აფთიაქების მომარაგება მედიკამენტებით, სწარმოებს ორი წყაროდან: ერთი წყაროა საბჭოთა კავშირის ნაწარმოებების პროდუქცია და მეორე წყაროს შეადგენს იმპორტი, ანუ საზღვარგარეთიდან შემოტანილი წამლეულობის მარაგი.

უკანასკნელ ხანებში ფარმაცევტიულ მრეწველობას საბჭოთა კავშირში დიდი წინსვლა ეტყობა და ამჟამად აფთიაქების მთელი მოთხოვნილების 70 პროცენტი კმაყოფილდება საბჭოთა კავშირიდან შემოტანილი მედიკამენტებით. აფთიაქებზე „სახმედვაჭრობას" დღემდე გაცემული ჰქონდა 150.000 მანეთის მედიკამენტები ნისიათ.

დასასრულ, თათბირმა მოისმინა ჯანსახკომის ფარმაცევტიული განყოფილების გამგის ექ. მშვიდობაძის განცხადება ქინაქინის მომარაგების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წელს საქართველოს საჭიროებისათვის შემოტანილი იქნება 105.000 მანეთის ქინა-ქინა, რაც საკმაო იქნება სამალარიო რაიონებში მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ჯერ-ჯერობით ბათომში ჰამბურგიდან ჯანსახკომის სახელზე მოსულია 1000 კილო ქინა-ქინა; დანარჩენს მოელიან ახლო ხანში.

მედსანშრომის მუშაკთა კონფერენცია

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. მამალაძის მოხსენება საკურორტო სამმართველოს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში კურორტების საფუძვლიანად მოწყობა დაიწყო 1923 წლიდან. ამჟამად კურორტების კეთილმოწყობის დარგში დიდი შედეგებია მიღწეული.

ეხლა სწარმოებს მუშაობა აბასთუმანში წყალსადენის და კანალიზაციის გასაყვანად. მუშაობის დასრულება განზრახულია 1929 წ. ივლისში.

1926—27 წ. საკურორტო მშენებლობაზე დაიხარჯა 1 მილიონი და 183.698 მანეთი.

მიღებულია ზომები ბინის კრიზისის აღმოსაფხვრელად კურორტებზე.

ამჟამად კურორტებზე მოწესრიგებულია აგრეთვე ავადმყოფთა კვების საქმე.

მინერალური წყლების შესწავლის საკითხს ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა. ჯერ-ჯერობით, საქართველოში შესწავლილია 290 მინერალური წყალი.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

დასასრულ, კონფერენციამ აირჩია მედსანშრომის მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები.

გემო-კვების მუშაკთა მეშვიდე ყრილობა

გუშინ, საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა საქართველოს გემო-კვების კავშირის მეშვიდე ყრილობა.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს: ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ტომსკი, ცხაკაია, მახარაძე, კახიანი, ყურულაშვილი და მაჩაიძე.

გემო-კვების მუშაკთა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ—მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. ეგოროვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1927 წ. გემო-კვების მუშაკთა კავშირი საკავშირო მასშტაბით აერთიანებდა 460.000 კაცს.

შეეხო რა უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეს, მომხსენებელმა განაცხადა, რომ პირველი თანრიგის უმუშევარი თვეში დახმარების სახით ღებულობს 27 მანეთს, მეორე თანრიგის უმუშევარი 20 მანეთს და მესამე თანრიგის კი —15 მანეთს.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და გემო-კვების მუშაკთა საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.

ახალი სკოლები და სამკურნალო დაწესებულებები ხევსურეთში

ხევსურეთში ახალი სკოლებისა და სამკურნალოების ასაგებად მთავრობის მიერ დაარსებულმა კომისიამ მოიწვია სპეციალური სხდომა, რომელსაც დაესწრო განათლების სახალხო კომისართა მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილი (თავმჯდომარე), ამ.-კავკ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარის მოადგილე ყამარაული, დუშეთის აღმასკომის თავმჯდომარე ხუჯაიშვილი, ჯანსახკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ფრანგულიანი, დუშეთის მაზრის აღმასკომის ექიმი—გ. თედორაძე, განსახკომის ინჟინერი—ა. კალაშნიკოვი და განსახკომის საინფორმაციო სტატისტიკურ განყოფილების გამგე ს. ფანცხავა.

ხევსურეთში ახალი სკოლებისა და სამკურნალო დაწესებულებების გახსნის შესახებ მოხსენება გააკეთა მთავრობის მიერ გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მარიამ ორახელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა ამჟამად ხევსურეთისათვის სკოლებისა და საავადმყოფოების საჭიროება და მთავრობის ღონისძიებები ამ მხრივ ხევსურეთისათვის დახმარების გასაწევად.

მოხსენების შემდეგ სხდომამ დაადგინა გაიხსნას სკოლები ხევსურეთის მივარდნილ ადგილებში, სახელდობრ სოფ. შატილში, ბარისახოში, ბისოში და ხახმატში. სასკოლო შენობები აგებული იქნება ოთხი ჯგუფისათვის—ოთხი სასწავლო ოთახით. სასწავლებლებთან მოეწყობა აგრეთვე ბინები მასწავლებლებისათვის ორი ოთახით და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი. საერთო საცხოვრებლებში მოთავსებული იქნება დაშორებით მცხოვრები ღარიბ ხევსურთა ბავშვები.

სხდომამ შემდეგ დაადგინა გაიხსნას საავადმყოფო სოფ. ბარისახოში, საავადმყოფოს ექნება ათი ოთახი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მუდმივი ათი საწოლი, ამბულატორია, ბინა ექიმისათვის, სამზარეულო, აბანო და სხვა საჭირო ოთახები.

საავადმყოფოს ასაგები პროექტის შედგენა და ტექნიკური ხელმძღვანელობა დაევალა განსახკომის ინჟინერ-არქიტექტორს კალაშნიკოვს.

სახლების მუნიციპალიზაცია

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილ-ლას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ

რადგანაც ბევრი მფლობელი არ აკეთებს საჭირო რემონტს, რათა საცხოვრებელი ნაგებობა სათანადო მდგომარეობაში იყოს, რაც იწვევს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დიდ ქალაქებში მწვავე საბინაო კრიზისის გართულებას,—მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანზე ქალაქის საბჭოები სცემენ ხოლმე სავალდებულო დადგენილებებს,—და რადგანაც, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, შენობის საკუთრების უფლება დაცულ უნდა იქნეს კანონით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს უფლება თავისი სოციალურ-სამეურნეო დანიშნულების მიხედვით ხორციელდება,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლის შენიშვნის საფუძველზე, ადგენენ:

1. დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილის საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციისათვის.

2. უკეთუ აღმოჩენილ იქნა ისეთი შენობა, რომელიც საცხოვრებლად არის დანიშნული და რომელსაც ესაჭიროება რემონტი, რათა მისი ტექნიკური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება თავიდან აცილებულ იქნეს, ქალაქის საბჭო მოახდენს აღნიშნული შენობის ტექნიკურ დათვალიერებას სპეციალური კომისიის მეშვეობით.

3. უკეთუ აღმოჩენილ იქნა შენობის მოუვლელობის ნიშნები, რაც წინა მუხლშია აღნიშნული, ზემოხსენებული კომისია შეადგენს სათანადო აქტს.

4. მესამე მუხლში აღნიშნული ტექნიკური დათვალიერების აქტი წარედგინება ქალაქის საბჭოს, რომელიც საქმის გარემოებათა მიხედვით: ა) ან მისცემს მფლობელს ვადას შენობის საჭირო რემონტის გასაკეთებლად ბ) ან აღძრავს შუამდგომლობას სათანადო სახალხო სასამართლოს წინაშე შენობის მოუვლელობის ფაქტის დასადასტურებლად.

შენიშვნა: ამა მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალაქის საბჭო მისცემს შენობის მფლობელს წერილობითი წინადადებას საჭირო სარემონტო მუშაობის წარმოების შესახებ და ამ მუშაობის შესასრულებლად დაუნიშნავს ვადას არა უმეტეს 6 თვისა.

5. რემონტის შესასრულებლად მიცემული ვადის (მე-4 მუხ. „ა" პუნქტი) გასვლისას, ქალაქის საბჭო, მე-2 და მე-3 მუხ. გათვალისწინებული წესისამებრ, შეამოწმებს შენობის მფლობელის მიერ რემონტის საქმეში დაკისრებული მოვალეობის შესრულებას; ამასთანავე, უკეთუ შენობის მფლობელი ქალაქის საბჭოს წერილობითი წინადადებას არ შეასრულებს, ქალაქის საბჭო იმოქმედებს ამა დადგენილების მე-4 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად.

6. ქალაქის საბჭოს შუამდგომლობას შენობის მოუვლელობის ფაქტის დადასტურების შესახებ სახალხო სასამართლო განიხილავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექ. მე-27ª თავში გათვალისწინებული წესისამებრ, რისთვისაც გამოიწვევს ქალაქის საბჭოს და შენობის მფლობელს, ხოლო საერთო წესის იმ გამონაკლისით, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

7. სახალხო სასამართლოს მიერ შენობის მოუვლელობის ფაქტის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ქალაქის საბჭო წარუდგენს შუამდგომლობას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რათა ხსენებული შენობა მუნიციპალიზაციაქმნილ იყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლის შენიშვნის თანახმად.

8. შენობის მუნიციპალიზაცია მისი მოუვლელობის გამო მოხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, უსასყიდლოდ.

შენიშვნა 1: შენობის გაყიდვა, დაგირავება ან გაჩუქება კომისიის მიერ დათვალიერებისა და მოუვლელობის შესახებ (მუხლი 3) აქტის შედგენის შემდეგ, არ წარმოადგენს დაბრკოლებას აღნიშნული შენობის მუნიციპალიზაციისათვის ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ.

შენიშვნა 2: უკეთუ ამ დადგენილების წესით მოხდა ისეთი შენობის მუნიციპალიზაცია, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კომუნალურ ბანკშია დაგირავებული, ეს გირავნობა ძალაში დარჩება.

შენიშვნა 3: საცხოვრებელი შენობის ამ დადგენილების წესით მუნიციპალიზაციის დროს მუნიციპალიზაციაქმნილად ჩაითვლება ამ შენობის არასაცხოვრებელი ნაწილიც (დარბაზი, საწყობი და სხვ.).

9. დადგენილება ესე შეტანილ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსში 69 მუხლის შენიშვნის დანართის სახით.

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 20-ის თარიღისა და 35 №-ის დადგენილება მოუვლელობის გამო ქალაქად საცხოვრებელი შენობის მუნიციპალიზაციის შესახებ (საქართველოს ს. ს. რესპ. კან. კრებ. 1927 წ. № 3 მუხ. 47), რომელი დადგენილებაც შევსებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 10-ის თარიღისა და 95 №-ის დადგენილებით (საქართველოს ს. ს. რესპ. კან. კრებ. 1927 წ. № 11 მუხ. 154), გაუქმებულ იქნეს.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. პ. ჟულელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი მაგ. დ. უფიაური.

1928 წ. აპრილის 26
თბილისი—სასახლე.

საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა

ბინათ-კავშირის მიღწევები და ნაკლულოვანებანი

თუ როგორ მუშაობდა ბინათკავშირი საანგარიშო პერიოდში, ამის შესახებ დაახლოვებით წარმოდგენას იძლევა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც შეიცავს არა მარტო ბინათკავშირის ფინანსიური მდგომარეობის, არამედ ბინათკავშირის სავაჭრო, საორგანიზაციო და საამშენებლო მუშაობის მიმოხილვასაც. სავაჭრო დარგში სარევიზიო, კომისიის დასკვნით, ბინათკავშირის მაღაზიებში ერთ და იმავე საქონელზე არ არსებობდა ერთი და იგივე ფასები. არ სწარმოებდა აგრეთვე საქონლის ყოველდღიური აღრიცხვა. დირექტივა ფასების ათი პროცენტით დაკლების შესახებ ბინათკავშირის მიერ შესრულებულია ნაწილობრივ: ფასები დაკლებულია 6,2 პროცენტით. ბინათკავშირის საამშენებლო მასალის სამ მაღაზიიდან თავის დანიშნულება გაამართლა მხოლოდ ერთმა მაღაზიამ, დანარჩენი ორი კი წამგებიანი აღმოჩნდა, რის გამოც რევკომისიის წინადადებით, ბინათკავშირი იძულებული შეიქნა დაეხურა ისინი, ბინათკავშირის სავაჭრო მოქმედების ერთერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ იგი ხელშეკრულებას სდებდა ისეთ საქონელზე, რომლის გასაღების შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე გამორკვეული არ იყო.

ორგანიზაციულ მუშაობის დარგში ბინათკავშირს აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები: ჩატარებულია საბინაო ამხანაგობათა გაერთიანება, ბევრ მათგანში მოგვარებულია ანგარიშგება და წარმოება, მაგრამ ამავე დროს ამ დარგში ბინათკავშირს აქვს შემდეგი ნაკლულოვანებანი: არა აქვს ცოცხალი კავშირი პროვინციასთან, არ სწარმოებს მუშაობის აღრიცხვა ადგილებზე. ამხანაგობათა უმრავლესობას არ ეწევა ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით თბილისს გარეთ. არ არსებობს აგრეთვე მუშაობის წესიერი აღრიცხვა: საამშენებლო დარგში შემდეგი მდგომარეობაა: დიდი ნაკლულოვანებაა ის, რომ ბინათკავშირს არა აქვს შემოღებული კონტროლი მიმდინარე მშენებლობაზე, რაც ჰქმნის ზედმეტი თანხების ხარჯვის შესაძლებლობას. მშენებლობა ბინათკავშირს მეტი უჯდება, ვიდრე არის ნავარაუდევი, რადგან საამშენებლო ხარჯებში არაა შეტანილი ბინათკავშირის აპარატის შესანახი ხარჯები და აგრეთვე არ არის გათვალისწინებული მშენებლობა-მუშაობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ამგვარად ნორმა 16 მან. და 10 კაპ., რომელიც გათვალისწინებულია თვითეული კუბიური მეტრის აგებაზე, არ შეეფერება ნამდვილს. საფინანსო დარგში, სარევიზიო კომისიის დასკვნით, ისეთ შეუსაბამობას, რომელიც ხელს შეუშლიდა წარმოდგენილ ბალანსის დამტკიცებას, ადგილი არ ჰქონია.

მოხსენებათა გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს მთავარი ყურადღება მიექცა საიჯარო საბინაო ამხანაგობათა გაერთიანების საკითხს. რამდენიმე ორატორის აზრით გაერთიანება ამცირებს ინტერესს სახლის მეურნეობის დაცვისადმი და აგრეთვე ასუსტებს პასუხისმგებლობასაც. რწმუნებულთა უმრავლესობა არ იზიარებს, ზემოხსენებულ მოსაზრებას. ამ უკანასკნელთა აზრით, საბინაო ფონდის დაცვისათვის აუცილებელია მსხვილ გაერთიანებათა მოწყობა და ბინათკავშირის ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ მან გვიან მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. თვით გაერთიანებას საფუძვლად არ დაუდვა უფრო რაციონალური პრინციპი. საჭირო იყო გაერთიანება მომხდარიყო არა რაიონების მიხედვით, არამედ მომხდარიყო უფრო შეძლებულ შემოსავლიან საბინაო ამხანაგობის გარშემო ნაკლებად შეძლებულ, სუსტ ამხანაგობათა შეკავშირება. კოოპერაციის პრინციპის განხორციელება სუსტ მცირერიცხოვან საბინაო ერთეულში შეუძლებელია. გარდა ამისა, ასეთი პატარა ერთეულები მოკლებულნი არიან უნარს თავის დროზე და წესიერად შეაგროვონ საბინაო ქირა, შეაკეთონ სახლი და რაციონალურად გაუძღვენ მეურნეობას.

შემდეგ ორატორები ეხებოდენ საბინაო ამხანაგობათა შინაურ მდგომარეობას. ამხანაგობების მეტ ნაწილს არა აქვთ წესიერად დაყენებული ანგარიშ-წარმოება, გარკვეული არ არის ამხანაგობათა და მისი წევრების უფლება-მოვალეობანი, მოუწესრიგებელია დამოკიდებულება სასამართლოსა და სხვა ორგანიზაციებთან, მოუგვარებელია ბინის ქირის აკრეფა და სხვა. მრავალ სახლებში მდგმურთა დავალიანება დიდია, განსაკუთრებით იმ პირთა შორის, რომლებიც დიდ ჯამაგირს ღებულობენ. საბინაო სასამართლოები საჩივრების განხილვას აჭიანურებენ. ზოგიერთ ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ ბინის ქირის გადახდევინება ხდებოდეს სასამართლოს უფრო გამარტივებული პროცესით სახელდობრ ბრძანების წესით.

საამშენებლო ამხანაგობის მიმართ ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ შემოღებულ იქნეს კონტროლი მშენებლობაზე, მასალის შეძენა-მომარაგებაზე, უპირატესობა მიეცეს ორ-სამ ოთახიანი ბინების შენებას, აიკრძალოს საამშენებლო მუშაობის გაცემა კერძო მოიჯარადრეებზე, შემოღებულ იქნეს სახლებისათვის სტანდარტული ნაწილების ხმარება და სხვა.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს უმაღლეს ეკონომსაბჭოსთან არსებულ საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულია შემდეგი ახალი კოოპერატივები: დაბა ჩოხატაურის ჩულქების მქსოველთა კოოპერატ. ნადი „ოქტომბერი", ბათომის აბრეშუმის ჩულქის მქსოველთა ნადი „აჭარა", გორის მაზრის სოფ. რუისის საფეიქრო ნადი „დგიმი", თბილისის ტკბილეულობის ნამცხვართა სარეწ. კოოპ. ნადი „ცისარტყელა", მცხეთის საკერამიკო კოოპ. ნადი „თვითმშრომელი", თბილისის ფეხსაცმლეების მკერავთა ნადი „თბილისის კომუნა", თბილისის ჩულქების მქსოველთა ნადი „ვიქტორია", ზუგდიდის მაზრის სოფ. სარაქონჯალრას სამრეწველო არტელი „ლენინი", ზუგდიდის სოფ. ნიკოსიას სას.-სამეურნეო არტელი „თოდუები", ზუგდიდის მაზრის სოფ. ნიკოსიას მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ნაჭყუბიები", იმავე სოფლის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ფარცვანია", სოფ. სვირის სამანქანო ამხ-ბა „გლეხის შრომა", სოფ. საგარეჯოს სას.-სამ. არტელი „წინსვლა", სოფ. ხაშმის (თბილისის მაზრა) სას.-სამ. არტელი „პირველი ცდა", სოფელ ეწერის (ქუთაისის მაზრა) სამანქანო ამხ-ბა „პროდუქციონი", სიღნაღის მაზრის სოფ. გურჯაანის სას.-სამ. არტელი „მშრომელი", სოფელ გურჯაანის სასოფლო-სამეურ. არტელი „ოქტობრის რევოლუციის 10 წლის თავი", ზუგდიდის მაზრის სოფ. ბეჟასილის ფ. მახარაძის სახელობის სას.-სამ. არტელი ზუგდიდის მაზრის სოფ. ტყაიას კაკაბაძის სახ. სას.-სამ. არტელი, ზუგდიდის მაზრის სოფ. ზემო-ჯვალგაში მარიამ ორახელაშვილის სახელობის სას.-სამ. არტელი, ზუგდიდის მაზრის სოფ. ჯალირის სას.-სამ. არტელი „კოლხიდა", თელავის მაზრის სოფ. საბუეს მევენახეთა ამხ-ბა „საბუე", ზუგდიდის მაზრის სას.-სამ. არტელი „ლენინის გზა", სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბეშის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „შრომა", სოფ. ბოდბეს მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „მუშა", სიღნაღის მაზრის სოფ. ულიანოვკას მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „ბედნოტა", გორის მაზრის სოფ. ცხის ჯვარის სას.-სამ. არტელი „წეა-ზოო", ოზურგეთის მაზრის სოფ. დვაბზუს სას.-სამ. არტელი „მომავალი", ზუგდიდის მაზრის სოფელ ფუჯის სას.-სამ. არტელი „დობერა", ოზურგეთის მაზრის სოფ. ბაღდადის სას.-სამ. არტელი „წითელი მზე", სოფ. საგარეჯოს სას.-სამ. არტელი", ზუგდიდის მაზრის სოფ. მაზანდარის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ. „ჭანის წყალი", ზუგდიდის მაზრის სოფ. ნაკიფუს სას.-სამ. არტელი „ოცხელა", ოზურგეთის მაზრის სოფ. ბოხვაურის მებარეუმეთა არტელი „ყაჩი", თბილისის სარეწ. კოოპერატიული ნადი „ხის დამმუშავებელი", თბილისის სამრეწველო-საგამომცემლო კოოპ. არტელი „წიგნის მეგობარი", გორის მაზრის სოფ. წითელ საყდრის მერძევეთა არტელი „წითელი საყდრის მერძევეთა ამხანაგობა", აბულაღის რაიონის სოფ. კონსტანტინოვკას მერძევეთა არტელი „აგრონომი", თბილისის, გორის და შორაპნის მაზრების სატყეო წარმოების სარეწ. კოოპ. ნადი „გლეხის კავშირი", თბილისის მაზრის სოფ. პატარძეულის სამანქანო ამხ. „პირველი ნაბიჯი", თბილისის ხე-ტყის სახერხი ქარხნის სარეწ. კოოპ. ნადი „ხე-ტყის შრომა", ოზურგეთის მაზრის სოფ. ლანჩხუთის სას.-სამეურნეო არტელი „გლეხის იმედი", ოზურგეთის მაზრის სოფ. ბუკის-ციხის სას.-სამ. არტელი „გლეხის მეგობარი", ქუთაისის სოფ. ქვ. ნოღის სას. სამ. არტელი „შრომა", სიღნაღის მაზრის სოფ. ფიჩხიანის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „ნდობა", სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბის ხევის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „მშრომელი გლეხი", ოზურგეთის მაზრის სოფ. სამების სას.-სამ. არტელი „იმედი", თბილისის მაზრის სოფ. ზეშტაშენის სამანქანო ამხ-ბა „რევოლუცია", ოზურგეთის მაზრის სოფ. ახალსოფლის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „ახალი სოფელი", ქუთაისის მაზრის სოფელ გორა-ჯიხაიშის სამანქანო ამხანაგობა „წითელი მეურნე", ქუთაისის მაზრის სოფ. დიდი და პატარა კუხის სამანქანო ამხ-ბა „გლეხთა იმედი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

აგრო-დახმარება კოლმეურნეობებს

კოლექტიურ მეურნეობათათვის აგრო-დახმარების აღმოჩენის მიზნით; „სოფლის კავშირის" კოლმეურნეობათა სექციასთან მოეწყო აგრო-დახმარების განყოფილება. განყოფილების განკარგულებაშია ხუთი აგრონომი. აგრონომები მიმაგრებული იქნებიან რაიონებზე და ადგილობრივ უხელმძღვანელებენ კოლექტივების სამეურნეო მუშაობას.

სოფლის მეურნეობის გამოკვლევა

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა საქართველოს სოფლის მეურნეობის გამოკვლევას.

გამოკვლეული იქნება აგრონომიული, საკრედიტო, საბეითლო, მიწადმომწყობი და სხვა ორგანიზაციები; გამოკვლეული იქნება აგრეთვე კოოპერაცია და კოლექტივები.

გამოკვლევის ჩასატარებლად გამოყოფილია განსაკუთრებული კომისია, რომელიც გაიყო ორ ჯგუფად და გაემგზავრა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. კომისია მუშაობას დაამთავრებს 15 მაისისათვის.

ფართლეულობის კერძო ბაზრის მოწესრიგება

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ყველა კერძო პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ეწევიან ფართლეულით ვაჭრობას, წინადადება მიეცა იქონიონ ანგარიშები იმ ფართლეულის, რომელიც მათ მაღაზიებსა და საწყობებში მოიპოვება, მაღაზიაში უნდა მოიპოვებოდეს ფართლის შეძენის საბუთები და დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ თუ სად არის შეძენილი ფართალი. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულებს (ავტონომიურ რესპუბლიკებში) და აღმასკომების შინა-ვაჭრობის კომისიებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ დადგენილების მტკიცეთ შესრულებას.

მოძრავი კინოს მოწყობა

მოძრავი კინოს მოწყობის საჭიროებისათვის სახკომსაბჭოს სახსრებიდან გადადებულია—10.800 მან.

განათლების სახალხო კომისარიატს დაევალა მოძრავი კინოს მოწყობისათვის საჭირო ხარჯი გაითვალისწინოს 1928—29 წ. ბიუჯეტით.

მწვანე ჩაის ფასი

შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის მოხსენების თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ მწვანე ჩაის ფოთოლზე დააწესა შემდეგი შესასყიდი ფასები: 1-ლი ხარისხის 1 კილოგრ.—48 კაპ.; 2-რე ხარისხის 1 კილოგრ.—37 კ.

თბილისის აღმასკომში

◆ **ხიდი.** კომუნალური მეურნეობა წელს შეუდგება ხიდის აგებას მდ. მტკვარზე სადგურის ქუჩასა და საბურთალოს შორის.

◆ **მუშათა კაბინეტი.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ორგანიზაციულ განყოფილებასთან მოაწყოს მუშათა კაბინეტი, სადაც მუშებს მიეცემათ ყოველგვარი ცნობები თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

◆ ქალაქის კეთილმოსაწყობათ თბილისის აღმასკომმა გადასდო 337.000 მანეთი.

◆ ზოოლოგიური ბაღის ნაწილი გაიხსნება ზაფხულში.

სახ. უნივერსიტეტში

◆ თბ. სახ. უნივერსიტეტის კლუბში კვირას, 29 აპრილს საღამოს 8 ნახ. ს. ნიკო კეცხოველი წაიკითხავს მოხსენებას: „მოგზაურობანი კავკასიონის ქედზე".

◆ **ექსკურსია.** სახ. უნ. არსებული პედაგოგიური წრე დღეს, 12 საათზე აწყობს ექსკურსიას პედაგოგიურ მუზეუმში.

სხვადასხვა

◆ **საჯარო საჩვენებელი პროცესი.** შაბათს, 28 აპრილს, დილის 10 საათზე 1 რაიონის სახალხო სასამართლოს კამერაში (ტრიბუნალის ქ., იუსტიციის სახ. კომისარიატის შენობაში), ფინსახკომის ინიციატივით გაიმართება იმ პირთა საჯარო-საჩვენებელი გასამართლება, რომელნიც განზრახ გაურბიან გადასახადის გადახდას.

წყალდიდობა საქართველოში

თბილისში

გუშინ, საღამოს 10 საათისათვის მდ. მტკვარმა თბილისში საგრძნობლად დაიკლო.

წყალმა დაიკლო აგრეთვე რიყის უბანში, პეტრიწის მოედანზე და ორთაჭალის ბაღებშიც.

გუშინ საღამოს თბილისში მიიღეს ცნობები, რომ წყალი კლებულობს აგრეთვე ბორჯომსა და ახალციხეში.

წყალდიდობის მხრივ საფრთხილო ადგილებში საგუშაგოები არ მოხსნილა.

მდგომარეობა საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე

საქართველოს სამხედრო გზატკეცილის თბილის-გუდაურის დისტანციის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ გზაზე წყალდიდობისა და ზვავებისაგან დაზიანებული ადგილები აღდგენილია.

თბილისიდან გუდაურამდე გზა თავისუფალია და შესაძლებელია ავტომობილით თავისუფალი მიმოსვლა.

მტკვარმა კლება დაიწყო

გუშინ დილიდან მდ. მტკვრის დონემ დაიწყო კლება. დილას მდინარის დონე უდრიდა თბილისში 370 სანტიმეტრს, ხოლო შუადღისას 360 სანტიმეტრს.

მდინარეების ადიდება დასავლეთ საქართველოში

ქუთაისის წყალთა ოლქის უფროსი წყალთა მეურნეობის სამმართველოს აცნობებს: თბილმა ამინდებმა გამოიწვია თოვლის ინტენსიური დნობა დასავლეთ საქართველოს ყველა მთიან ადგილებში. ამას შედეგათ მოჰყვა თითქმის ყველა მდინარეების და პატარა ღელეების ადიდება. განსაკუთრებით ადიდდა მდ. რიონი, ცხენის წყალი, ინგური, ხობი, ყვირილა, ტეხური, ხანის წყალი და სხვა.

მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად დროებითი სამუშაოების შესრულება არ ხერხდება.

რიონი გადავიდა გზატკეცილზე

ქუთაისის მაზრიდან წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო სამეულს აცნობებენ, რომ მდ. რიონმა სოფ. სარბევთან გადალახა ნაპირი და გადავიდა ქუთაის-ბაღდადის გზატკეცილზე. მიმოსვლა შეწყვეტილია.

აჭარისტანში

23 აპრილს საღამოდან მდ. ჭოროხმა დაიწყო ადიდება. წყალი ნაპირებიდან გადმოვიდა სოფ. კაპანდიბთან და დაფარა სახნავ-სათესი მიწები. კახაბერის ქურთების საცხოვრებლები გარშემორტყმულია წყლით.

ალგეთის ლითოგრაფიული ქვის დამუშავება

ალგეთის ლითოგრაფიული ქვა არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთისას. შეწყვეტილია ლითოგრაფიული ქვის შემოტანა საზღვარგარეთიდან. წელს ალგეთში დამზადებული იქნება 303.000 მან. ქვა. მომავალ წლიდან ალგეთის ქვა გატანილი იქნება საზღვარგარეთ.

დღემდე საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში, პოლიგრაფიული ქვა შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან,—უმთავრესად გერმანიიდან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩატარებული იქნა გამოკვლევა ლითოგრაფიული ქვის მადნების აღმოსაჩენად.

სათანადოთ შესწავლისა და ცდების შემდეგ საუკეთესოდ იქნა ცნობილი ალგეთის მადნები. ეს მადნები თბილისიდან დაშორებულია 60 ვერსის მანძილზე და წარმოადგენს მეტად მდიდარ მარაგს, რომელიც საექსპლოატაციოდ იკმარებს მრავალ ათეულ წლების განმავლობაში.

ალგეთის ლითოგრაფიული ქვა არაფრით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთისას.

ამჟამად ალგეთის მადნების დამუშავება სწარმოებს პრიმიტიულ წესით, რაც აბრკოლებს მის ექსპლოატაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს.

გადაწყვეტილია მომავალ წლიდან ჩატარდეს მადნების დამუშავების მექანიზაცია. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში შეკვეთილია საჭირო იარაღ-მანქანები. აგრეთვე გადაწყვეტილია ადგილობრივ მოეწყოს ლითოგრაფიული ქვის დამამზადებელი ქარხანა.

ქარხანასთან მოეწყობა შესაფერი დამხმარე შენობები და საერთო საცხოვრებელი მუშებისათვის.

მიუხედავად მუშაობისათვის არა შესაფერი პირობებისა, შარშან დამუშავებული იქნა 220 ცალი ქვა, ღირებული 65.000 მანეთად. წელს განზრახულია დამზადებული იქნეს 1.350 ცალი ქვა, ღირებული 303.000 მანეთად.

მადნების დამუშავება არსებული წესითაც იმდენად ნაყოფიერად სწარმოებს, რომ უკვე აღარ არის საჭირო საზღვარგარეთიდან ლითოგრაფიული ქვის შემოტანა.

მადნების მექანიზაციის შემდეგ განზრახულია ალგეთის ქვის გატანა უცხოეთის ბაზარზე, სადაც მას დიდი მომავალი აქვს, ვინაიდან ის გაცილებით იაფია და ხარისხითაც უკეთესი, ვიდრე გერმანიის ლითოგრაფიული ქვა.

ადგილების განაწილება დასასვენებელ სახლებში

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებასთან შესდგა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც განიხილა სატარიფო-საეკონომიო განყოფილების მიერ შემუშავებული ცხრილი ადგილების განაწილებისა დასასვენებელ სახლებში.

თათბირმა ცხრილი დაამტკიცა მცირეოდენი შესწორებით. ამ ცხრილის მიხედვით ადგილები დასასვენებელ სახლებში ცალკე კავშირებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი—60 ადგილი, სამთა-მადნო მუშათა კავშირი—15, მელითონეები—278, ქიმიკოსები—70, გემო-კვების მუშაკები—248, ხეზე მომუშავეები—49, აღმშენებელი მუშები—90, ფეიქრები—60, მკერავები—75, მეტყავეები—100, მბეჭდავები—280 ტრანსპორტზე მომუშავეები—110, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები—110, კომუნალური მუშაკები—280, სახალხო კვების მუშაკები—60, მედსანშრომის მუშაკები—135, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკები—280, ხელოვნების მუშაკები—70, განათლების მუშაკები—385, სულ წელს კავშირები დასასვენებელ სახლებში გააგზავნიან—2.819 მუშა-მოსამსახურეს, შარშან კი გაგზავნილი იყო 2.335 კაცი.

ამას გარდა მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს მიეცა კიდევ 1.800 ადგილი, რომელიც ასე ნაწილდება: აჭარისტანი—360, აფხაზეთი—360, სამხრეთ-ოსეთი—35, ქუთაისი—180, ტყიბული—80, ჭიათურა—120, სენაკი—55, ზუგდიდი—43, ფოთი—120, ოზურგეთი—75, გორი—50, ბორჯომი—50, ახალციხე—25, ახალქალაქი—12, ბორჩალო—40, სიღნაღი—85, თელავი—70, დუშეთი—15, რაჭა—10, ლეჩხუმი—10 და ხაშური—5.

სულ პროვინციიდან დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი იქნება 1.800 მუშა-მოსამსახურე, შარშან კი გაგზავნილი იყო 1.716.

აღნიშნული ცხრილი დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სახელგამის მუშაობა

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის გამგემ ამხ. ბ. ბიბინეიშვილმა სახელგამის მიმდინარე მუშაობის შესახებ განაცხადა:

— ჩვენი უახლოესი ამოცანაა ბეჭდვითი სიტყვის დღესთან (5 მაისი) დაკავშირებით მოვაწყოთ წიგნების იაფ ფასებში გაყიდვა.

ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინად სახელგამმა შეადგინა ოთხი სხვადასხვა დარგის პატარა ბიბლიოთეკა: ქოხ-სამკითხველოებისა, მოსწავლეებისა და წითელ-არმიელთა და სამხედრო საკითხებით დაინტერესებულთათვის და საგლეხო - პოპულიარული ბიბლიოთეკა. ყველა ეს ბიბლიოთეკები შემდგარი თითო არა ნაკლებ 70 სახელწოდების წიგნისაგან, იყიდება 50 პროც. ფასდაკლებით ბიბლიოთეკების წიგნების სია ცალკე დარგებად უკვე დაბეჭდილია, კომპლექტები შედგენილია და ეგზავნება მაღაზიებს, როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში.

რაც შეეხება წიგნების იაფ ფასებში გაყიდვას, იგი დაიწყება მაისის 5-ს და გაგრძელდება თვის დამლევამდე. გაიაფებული წიგნებით ვაჭრობა იწარმოებს კვირა-უქმე დღეებშიაც. გამართული იქნება წაუგებელი იაფფასიანი ლატარია და სხვა.

წიგნები ზემოხსენებული დროის განმავლობაში გაიყიდება ძალიან იაფად; 1922, 23, 24 წლების გამოცემანი გაიყიდება 50 პროც. ფასდაკლებით, 1925-26 წ. გამოცემები 40 პროც., 1927 წ. გამოცემანი 30 პროც., და 1928 წ. გამოცემანი 20 პროც. ფასდაკლებით.

გარდა ამისა, გამოყოფილია განსაკუთრებული კატეგორიის წიგნები, რომლებიც გაიყიდება 75 პროც. ფასდაკლებით.

მიღებული იქნება ზომები, რომ წიგნები გავრცელდეს. მშრომელთა ფართო წრეებში. ამისათვის გამოყოფილია სპეციალური ავტომობილი, რომელიც დატვირთული იქნება გაიაფებული წიგნებით და შემოივლის ქალაქის მივარდნილ კუთხეებს.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში,—დასძინა ამხ. ბიბინეიშვილმა საუბრის ბოლოს,—საქართველოს სახელგამის მუშაობა გაიზარდა არა მარტო პროდუქციის გამოშვების მხრით, არამედ იმ მხრითაც, რომ სახელგამმა გაამრავლა სავაჭრო წერტები ცენტრსა და პროვინციაში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სახელგამს შემოუერთდა ისეთი ორგანიზაცია, როგორიც იყო „საწერ-კალამი", ცეკავშირის მაღაზია და სხვ. ვინაიდან საჭიროა უფრო მეტი კავშირი და შეთანხმებული მუშაობა ცენტრსა და პერიფერიის შორის, აპრილის 29-ს მოწვეულია სახელგამის ყველა მაღაზიების (როგორც ცენტრის, ისე პროვინციის) გამგეების თათბირი. თათბირი განიხილავს საკითხებს მიმდინარე საქმიანობის უფრო რაციონალურად დაყენების შესახებ. არსებულ დეფექტების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებებს, იაფი წიგნის სამკვირეულის ჩატარების საკითხს და სხვ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნების ბეჭდვის მხრით მუშაობა რამოდენიმეთ შენელდა, რაც აიხსნება ბაზარზე ქაღალდის ნაკლებობით. მოკლე ხანში გადაწყდება საკითხი სახელგამისათვის ქაღალდის მიცემის შესახებ. განსახკომიც გადმოგვცემს დასაბეჭდ სახელმძღვანელოებს და ზაფხულისთვის კვლავ გაჩაღდება მუშაობა და მომავალი სასწავლო წლისთვის მზადება.

მოზარდ მუშების ჯანმრთელობის დაცვა

უკანასკნელ ხანებში მთელს რესპუბლიკაში ჩატარებული იქნა მოზარდ მუშების ჯანმრთელობის გამოკვლევა.

გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მოზარდ მუშების უმრავლესობა. დაავადებულია სხვადასხვა სნეულებებით, განსაკუთრებით ფილტვების სისუსტით.

გამოირკვა აგრეთვე, რომ მოზარდი მუშები ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ ჯანმრთელობას და გაურბიან პოლიკლინიკებში და ამბულატორიებში ექიმობას.

შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო მხედველობაში ეს მდგომარეობა, შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები მოზარდ მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.

კომისარიატი უკვე შეუდგა მოზარდ მუშების გადაყვანას ჯანმრთელობისათვის მავნე და მძიმე სამუშაოებიდან უფრო მსუბუქ სამუშაოზე.

გარდა ამისა მთელს რესპუბლიკაში არსებულ წარმოებებში ტარდება კამპანია, რომ მოზარდი მუშები გაუფრთხილდენ თავიანთ ჯანმრთელობას და საჭიროების დროს დაუყოვნებლივ მიმართონ საექიმოდ პოლიკლინიკებს და ამბულატორიებს.

კომისარიატის დადგენილებით წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოზარდ მუშების კურორტებზე და აგარაკებზე გაგზავნის საქმეს.

ამ მიზნით წაღვერში და სხვა ადგილებში მოზარდ მუშებისათვის მოეწყობა სპეციალური ახალშენები. ასეთ ახალშენებში ზაფხულის განმავლობაში სულ გაიგზავნება 700—800 მოზარდი მუშა.

ახალშენების მოსაწყობად გადადებულია 15 ათასი მანეთი.

ხელოვნება

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზი
პირველი სამუსიკო ტეხნიკუმის მოწაფეთა საღამო

25 აპრილს, 1 სამუსიკო ტეხნიკუმის გამგეობამ იმის საჩვენებლად, თუ რამდენად მომზადებულნი არიან ტეხნიკუმის მოწაფენი კოლექტიურ მუსიკალურ შემოქმედებისათვის და რამდენად განვითარებულია მათში მუსიკალური გემოვნება, მოაწყო სპეციალური საღამო. საღამოს მთელი პროგრამა შესდგებოდა საანსამბლო ნიმუშებიდან, კონცერტი მომზადებული იყო ტეხნიკუმის მასწავლებლის გროსმანის ხელმძღვანელობით. პროგრამა შეიცავდა მხოლოდ გამოჩენილ კლასიკოსების მიერ ანსამბლისათვის დამუშავებულ შესანიშნავ ნიმუშებს. ამ ნიმუშების შერჩევა და პროგრამაში დანაწილება ამტკიცებს ტეხნიკუმის პედაგოგიური შემადგენლობის მომზადებას და მათ მუსიკალურ კვალიფიკაციას.

პროგრამის პირველი ნაწილი შეიცავდა მოცარტის თხზულებებს. სიმებიანი კვარტეტი, ფორტეპიანოსთან კვარტეტი, სონატა, ტრიო სიმღერისათვის „გრძნეულ ფლეიტიდან", შუბერტის თხზულებებიდან პროგრამაში შედიოდა შესანიშნავი სონატა. განზრახ დაწერილი კომპოზიტორის მიერ მცირეწლოვანთა საერთო შემოქმედებისათვის, ჰაიდნის ნაწარმოებიდან—ტრიო და მენდელსონის—ორხმოვანი და ფორტეპიანოსთან სასიმღერო. პროგრამის მეორე ნაწილში კი ადგილი დაეთმო განსაკუთრებულად ბეთჰოვენის ფრიად მნიშვნელოვან თხზულებებს, როგორც მაგალითად სიმებიან ტრიოს „შოტლანდიურ სიმღერებს" (შესრულებული არ იყო ერთ-ერთი მომღერალის ავად გახდომის გამო), ვიოლონჩელისათვის სონატას, და შესანიშნავ შინაარსის და სტრუქტურის კვარტეტს ფორტეპიანოსთან.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კონცერტის ყველა მონაწილეთა მომზადება საუკეთესო იყო. ძნელი რითმიკის სრული შეგრძნობა და სისტიკი დაცულობა, მრავალხმოვანებაში მელოდიურ ხაზების კარგი მეტყველებით გატარება, დინამიურ ადგილებში ბგერავანი ზრდა და შენელება—ყველა ეს განხორციელებული იყო მოწაფეთათვის არაჩვეულებრივ სერიოზულობით და სისუფთავით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამას ადგილი ჰქონდა ტეხნიკუმში, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ საშუალო საფეხურის მუსიკალურ განვითარებისაკენ.

ყველა ზემოხსენებულის გარდა, კონცერტმა გვიჩვენა, რომ ტეხნიკუმის მოწაფეთა შორის მოიპოვება მრავალი, მუსიკალურ მომავლისათვის საიმედო ძალები. მცირეწლოვან ჯგუფიდან აღვნიშნავთ როიალზე მოსწავლე გოგუაშვილის ქალს (კლ. მასწ. ცანტუროვისა).

მოზრდილთა ჯგუფიდან კი როიალზე მოსწავლეს სეხნიაშვილს (კლ. მასწ. ჩხარტიშვილისა) ვიოლინოზე მოსწავლეებიდან (კლ. მასწ. გროსმანისა) იპყრობენ ყურადღებას მცირეწლოვანი სუხორუკოვი და სტუდენტი ხუმუა. აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დანოვსკაიას ბუნებრივად მშვენიერ ვოკალურ მასალას (იშვიათი ელფერის და მოძრაობის, გულმკერდიდან ამოძახილი და სმენისათვის ალერსიანი დაბალი ხმა კონტრალტო), შეხამებულს ამ მოწაფის მშვენიერ მუსიკალობასთან და მუსიკალურ აზროვნებასთან. უეჭვო იმედს მომავლისათვის იძლევა 15 წლის ვიოლონჩელზე მოსწავლე სუხორუკოვის ქალი, რომელმაც პროგრამის 11 ნომრიდან, მიიღო მონაწილეობა რვა პასუხისმგებელ ნომერში. მიუხედავად ამისა, არავითარმა ფიზიკურმა დაღლილობამ არ შეუშალა ხელი მისი აღსრულების უნაკლობას. ხმოვანების სიმტკიცეს და ნამდვილ მხატვრულ მეტყველებას მის მიერ წარმოშობილ ბგერათა.

ამ კონცერტის პედაგოგიური მნიშვნელობა — უდავოა. ის მოწმობს ტეხნიკუმის პედაგოგიურ ხაზის სისწორეს.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ოპერეტის რეფორმა
(„დღე და ღამე" კამერულ თეატრში)

ნამდვილი თეატრალური შემოქმედება, სწერს ა. ტაიროვი, ორ პოლიუსში ტრიალებს: მისტერიები და არლეკინადა; ისინი აფართოებენ აქტიორის შემოქმედებას და ამტკიცებენ სათეატრო ხელოვნების დამოუკიდებლობას. კამერული თეატრი აქტიორის თეატრია, ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიორის მხატვრულ ემოციებს სავსებით ემორჩილება მისი სხეული. ტაიროვის უდიდესი მიღწევაც იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო ისეთი ტიპის მსახიობის შექმნა, რომელიც იმორჩილებს თავისი სხეულის ყოველ მოძრაობას აბსოლიუტური რიტმის შენარჩუნებით. თეატრში მთავარია არა სიტყვა, არამედ ემოციონალური ჟესტი. ამიტომ იყო, რომ კამერულ თეატრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პანტომიმას, სადაც „სიტყვა მკვდარია, მაგრამ მოცემულია ძლიერი სცენიური მოქმედება". ამ ხაზის გაგრძელებათ ჩაითვლება ის რეფორმა, რომელიც მოახდინა კამერულ თეატრმა ოპერეტაში. არსებითად ოპერეტა წარმოადგენს ვულგარულ „ესთეტიზმის" აბსოლიუტურ განხორციელებას: „მხატვრული" პორნოგრაფია, ინტელიგენტური ბოგემის ბნელი მხარეები, „რომანტიული" სისაძაგლე, „კაბარეს ლამაზი ასულნი" (Красотки кабаре) ფუქსავატ „ინტელიგენტის" მოსაბეზრებელი მასხარობა, პროფანაცია ზნეობრიობის და მრ. სხვა— აი, რით არის დატვირთული ოპერეტების შინაარსი. ა. ტაიროვმა დასწმინდა ოპერეტა ამ მომენტებისაგან, მან სცენაზე მხოლოდ ის, რაიც აუცილებლად სჭირია ჩვენს ახალს მაყურებელს: მსუბუქი, ცოცხალი მუსიკა, მხიარული ცეკვა, მოხდენილი სატირა; ყველა ეს ჰქმნის მხატვრულ იუმორს და იწვევს მაყურებელში ჯანსაღ სიცილს. ამ მომენტების ფონზე ოპერეტის გათანაბრება უფრო შესაძლოა, ვინემ დრამის თუ რომელიმე საოპერო ნაწარმოების.

ლეკოკის მუსიკალურ კომედიაში „დღე და ღამე"—მოცემულია მთელი სტიქია კამერული თეატრისა. ეს არის ნამდვილი „კამერული" სპექტაკლი, სადაც თვალსაჩინოდაა გამოყენებული თეატრის ყველა ფორმალისტურ-ტეხნიკური მიღწევები. ა. ტაიროვმა ამ ოპერეტის სცენიური გაფორმება ამჯობინა არლეკინადის ხაზებში. სტილი არლეკინადის განსაცვიფრებელი სისწორით დაცულია კოსტიუმებში (ორი ფერი) და სცენიურ მოედანში; ეს უკანასკნელი წარმოადგენს თავისებურ ცირკის არენას, რომელსაც იმავე დროს თეატრის სცენის სპეციფიურობაც არ დაუკარგავს. პიესის ტექსტი ეკუთვნის თანამედროვე ავტორს—ვ. მასს. პიესაში მოხდენილად მოცემულია მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შტრიხები; ამ შტრიხების ფონი არის ახალგაზრდა შეყვარებულთა კურიოზული თავგადასავალი.

ვინმე ბარონი ბროზერიო, მცხოვრები პორტუგალიაში, მეტის მეტად „დატვირთულია სახელმწიფო საქმეებით", რისთვისაც ის ირთავს ცოლს ამ უკანასკნელის უნახავათ (ვაიშიო). ბარონი ცოლის მოლოდინშია, მაგრამ მას მოულოდნელად იწვევენ ისპანიის ფრონტზე, რომელთანაც პორტუგალია ომს აწარმოებს. ამავე დროს პორტუგალიის დიქტატორი თავადი კალაბაზასი სდევნის ბარონის სასახლის გამგის მიგუენის საცოლეს მანოლას; ეს უკანასკნელი თავს აფარებს სასახლეს და რომ თავი დააღწიოს მეტისმეტად „ვნებიან" თავადის დევნას, აცხადებს თავს ბარონის საცოლეთ. ბარონი ჩამოდის და ღებულობს მანოლას თავის ცოლათ. მიგუელი და მანოლა სასოწარკვეთილებაშია. ამ დროს მოდის ბარონის ნამდვილი ცოლი კონსუელა, რომელიც აღმოჩნდა მანოლას მეგობარი. გამოსავალი ნაპოვნია: დღით ბარონთან მანოლა, ღამით კი კონსუელა. ისპანელები იმარჯვებენ. ბარონი და თავადი გარბიან. ისინი თავს აფარებენ რესტორანს. ფინალი: ბარონი გაიგებს, თუ ვინ არის ისი ნამდვილი ცოლი. თავად კალაბაზას პორტუგალიის მეფე ხსნის სამსახურიდან. მიგუელა და მანოლა განთავისუფლდნენ თავადის დევნისაგან. უმუშევარ კალაბაზას აძლევენ ლაქიას ადგილს იქვე. სიუჟეტი გაშლილია მხატვრულ ბუფონადის ხაზებში და ეს გარემოება სავსებით გამოყენებულია სპექტაკლის სტილში, რომლის გამო ამ სტილს ეძლევა მონუმენტალური ხასიათი; აქტიორები ამ ოპერეტაში კი არ თამაშობენ, არამედ „ცეკვავენ": ბალეტური ხაზი ბოლომდისაა გატარებული. აქტიორების მოძრაობა მათემატიკური სისწორითაა განსაზღვრული: არც ერთი ზედმეტი ჟესტი, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი ზედმეტი მიმიკაც კი! უდიდესი მიღწევა აქ ის არის, რომ ნაპოვნია აბსოლიუტური რიტმი, ეს ჰქმნის სპექტაკლის სიმშვენიერეს და იწვევს სიხარულის ემოციებს მაყურებელში. მაგრამ უფრო განსაცვიფრებელია სინათლის ეფექტები: ტაიროვმა „სიცოცხლის მაგია" მიანიჭა სინათლეს: სინათლის ყოველი ეფექტი „ახალდგმულებს" „მკვდარ" მატერიას და მით ჰქმნის შესაფერის ილიუზიას რეალობისას. ამ მხრივ შედევრათ უნდა ჩაითვალოს ანთებული ფანრების მიერ შექმნილ ვარიეტეს ცოცხალი ილიუზია.

შესრულება კონცერტიულია: ძნელია იმის თქმა, თუ ვინ უკეთ თამაშობს მოცემულია უდიდესი კულტურა მსახიობის, მოცემულია შეკრული ანსამბლის უდიდესი გამარჯვება.

„დღე და ღამე" განთავისუფლებულია ოპერეტების ტრადიციული მომენტებისაგან; თავიდან ბოლომდი გულწრფელი გულუბრყვილობა და ბუფონადა; არ არის პროფანაცია ზნეობრიობის. სიცილის და სიხარულის ემოციები სავსებით გამართლებულია. ამ ოპერეტის დადგმით ტაიროვმა ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა კამერულ თეატრის მსახიობს, თეატრს მთლიანად და განამტკიცა ოპერეტა, როგორც ნამდვილი სცენიური ჟანრი.

შ. დ—ვა.

ხელოვნების ქრონიკა

გამოსაშვები გამოცდები კონსერვატორიაში

კონსერვატორიაში ყველა კლასებში (თეორეტიულ კლასის გარდა) გამოსაშვები გამოცდები დაიწყება 1 ივნისიდან და დამთავრდება 21 ივნისს. გამოცდების შედეგები გამოცხადებული იქნება 24 ივნისს.

წელს კონსერვატორიის ვოკალური კლასი უნდა დაამთავროს 14 სტუდენტმა, მათ შორის 6 სოპრანოა, 1 ტენორი, 2 ბასი, 2 ბარიტონი და 3 მეცო-სოპრანო; ფორტეპიანოს კლასი უნდა დაამთავროს 12 კაცმა, თეორეტიული კლასი—4, საორკესტრო კლასი—2.

◆ **მოძრავი კინო.** სამთა-მადნო კავშირმა ჭიათურისათვის შეიძინა მოძრავი კინო-აპარატი.

◆ **მოსკოვის კამერულ თეატრის** მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სიროკო".

◆ **„ჯუმა-მაშიდი".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჯუმა-მაშიდი".

◆ **1მაისის** დღესასწაულის აღსანიშნავად 30 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება საზოგადო საღამო-კონცერტი.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა დ. თუშილისპირელის მოთხრობა: „ტყის მკვლელი—კაცის მკვლელია".

სასამართლო

ხშირად ჰკარგავდნენ შრომის უნარს

მიხეილ ლუკას ძე ჯიშკარიანმა 1926 წლიდან სატრანსპორტო საზოგადოებაში შეყო თავი. ჯერ იყო აგენტი, შემდეგ შიკრიკი.

ჯიშკარიანი არ იყო კმაყოფილი თავისი თანამდებობით, მაგრამ დაწინაურების იმედს არ ჰკარგავდა. იმედიც მალე გაუმართლდა. სატრანსპორტო საზოგადოებამ ჩაატარა მომჭირნეობის რეჟიმი, გააუქმა საქმეთა მმართველის თანამდებობა და ეს ფუნქციები შიკრიკ ჯიშკარიანს მიენდო. „საქმეთა მმართველი" ამოიშალა ჯამაგირების უწყებიდან, სამაგიეროდ ჩაწერილი იქნა „მდივანი" ჯიშკარიანი.

ყოველივე ეს ჩამოყალიბებულ იქნა ოქმში, როგორც მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების საბუთი.

ამავე საზოგადოებაში მსახურობდა ვასილ სიმონის ძე სიხარულიძე. ის უკვე იმ თავითვე „დიდი კაცი" იყო—საბირჟო განყოფილების გამგე ხუმრობა საქმე როდია! გამგე იყო სრულუფლებიანი.

ჯიშკარიანი იცნობდა და ენდობოდა სიხარულიძეს. სიხარულიძეც იცნობდა და ყოველ მხრივ ენდობოდა ჯიშკარიანს.

ერთმანეთის საიდუმლო იცოდენ. ჭირშია და ლხინში ერთად იყვნენ. აძლევდენ ერთმანეთს რჩევა-დარიგებას.

— რა იქნება ერთი შვებულება რომ „ჩავარტყათ"! მოირიგი კი არა, ისე... ავადმყოფობით!—სიხარულიძეს დასვენება უნდა.

— კაცო, შენ ვინ მოგცემს ავადმყოფობით შვებულებას! ბულახვით ხარ!

— ეს მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!—სიხარულიძემ გადაუშალა ჯიშკარიანს ყალბი ბიულეტენის შედგენის გეგმა.

— სალაროში, რომ გაიგონ სიყალბე?—წინდახედულობას იჩენს „გამდივნებული" ჯიშკარიანი.

— იქ ჩვენი კარგი ნაცნობი ზის. არც კი დახედავს, ისე გამოგვიწერს ფულს,—სიხარულიძე დაიმედებულია.

ამის შემდეგ რაც მოხდა, ყველაფერი დაწვრილებით არის აღნიშნული საბრალმდებლო დასკვნაში.

ჯიშკარიანი და სიხარულიძე ძალიან ხშირად „ჰკარგავდენ შრომის უნარს". უსვამდენ თავის თავს „დიაგნოზს", თვითონვე განსაზღვრავდენ შვებულების ვადას, ავსებდენ ბიულეტენებს, ბეჭედსაც თვითონ არტყამდენ და ხელსაც აწერდენ გამგის მაგიერ.

გამდივნებულ ჯიშკარიანს მოუნდა ჯამაგირის მომატება. აიღო გამგეობის სხდომის ოქმი, რომელშიაც დადასტურებული იყო მისი მდივნად არჩევა და ტექსტში ჩაწერა: „არჩეულია მდივნად ჯამაგირის კმაყოფით 100 მანეთი თვეში"!

როცა გამოჰკითხეს გამგეობის წევრებს ამის შესახებ, წინასწარ გამოძიების დროს მათ ერთხმად განაცხადეს:

— რას ამბობთ! მაშინ, როცა სასტიკად ვატარებდით მომჭირნეობის რეჟიმს, როცა გაპირვებისაგან სულს ვლაფავდით, შტატებს ვამცირებდით, ისე როგორ გავგიჟდებოდით, რომ 100 მანეთი დაგვენიშნა ჯამაგირათ ჯიშკარიანისათვის!

ეს სიყალბე იმისათვის დასჭირდა ჯიშკარიანს, რომ დამზღვევ სალაროდან „ქუთვნილი შვებულების ანგარიშში" მეტი ფული რგებოდა.

საქმეში დართულია 13 ყალბი ბიულეტენი ცამეტჯერ „დაუკარგავს სიხარულიძეს შრომის უნარი" და გამოუტანია დამზღვევ სალაროდან 300 მანეთამდე.

ერთ ბიულეტენში, რომელიც ჯიშკარიანს, როგორც საზოგადოების მდივანს, სიხარულიძისათვის შეუვსია „სათანადო ბეჭდის დასმით", —ნათქვამია, რომ სიხარულიძემ, „შრომის უნარი დაჰკარგა" 13 სექტემბერს! 13 აგვისტოს შემდეგ კი სიხარულიძე მოხსნილი იყო სამსახურიდან.

ეს აფერისტები „შრომის უნარს ხშირად ჰკარგავდენ", მაგრამ აფერის უნარს არასოდეს!

მიხეილ ჯიშკარიანთან და ვასილ სიხარულიძესთან ერთად პასუხისგებაშია მიცემული დამზღვევ სალაროს განყოფილების გამგე და მოლარე შალვა აბესაშვილი, რომელიც ასე სინჯავდა საეჭვო ბიულეტენებს, არც მინდობილობას სთხოვდა სიხარულიძეს, როცა უკანასკნელს ჯიშკარიანის სახელზე გამოჰქონდა ფული.

საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

—:—

ს. ხუნდაძის საქმე

დღეს თბილისის სამაზრო სასამართლოში დაიწყება სილოვან სიმონისძე ხუნდაძის გასამართლება.

როგორც ვსწერდით, ხუნდაძე ამა წლის 4 იანვარს ბინაზე მიუვარდა ნინა შამანაურს—იმედაშვილისას და მოინდომა მისი მოკვლა. სამჯერ ესროლა რევოლვერი. დასჭრა 2 ადგილას, მაგრამ ქალი გადარჩა სიკვდილს. ხუნდაძეს ამოქმედებდა შურისძიება რომანიულ ნიადაგზე.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ა. კალანდაძე.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინწინ ღამით საზონოვის ქუჩაზე, ნიკოლოზ სტეფანესძე საპინმა მოჰკლა თავისი ცოლი—გალინა თედორეს ასული მიხაილოვსკაია. მკვლელი დაპატიმრებულია.

უცაბედათ დაჭრა

გუშინ დილით ალექსანდრე ვარდენის ძე ანთაძეს (მცხ. არგუთინის ქ., № 6), უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი. ტყვიით დაიჭრა მისი ძმისწული—ნიკოლოზ იაშვილი. ანთაძე დააპატიმრეს.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა შაქრო დავითისძე ქართველიშვილი, პავლე გიორგისძე იმედაშვილი, ვართან სარქისისძე არტუნოვი და ტიგრან ბაგრატიანი.

ქურდობა

გუშინ დილით გაქურდეს ტ. ნიკოლაიშვილის ბინა (ახალციხის შესახვევი 19), წაიღეს 90 მანეთის საოჯახო ნივთები.

კრედიტების განაწილება

საქართველოს სასოფლო-სამ. ბანკმა საკრედიტო ამხანაგობათა შორის გაანაწილა სასოფლო მეურნეობისათვის მიმდინარე წლის მესამე კვარტალში გადადებული კრედიტები.

მუშა საქონლის შესაძენად ამ კვარტალისათვის გადადებულია—46.000 მანეთი (გრძელვადიანი კრედიტი), სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და მასალების შესაძენად—84.000 მანეთი, სასოფლო-სამ. შენობების ასაგებად—45.000 მანეთი, მებოსტნეობისათვის—28.000 მანეთი, მევენახეობისათვის—114.000 მანეთი, სამკურნალო მცენარეულობის დასამზადებლად—25.000 მანეთი, მეძროხეობისა და მეფრინველეობისათვის—40.000 მანეთი, თხილის დასამზადებლად—60.000 მანეთი. დაფნის ფოთლის დასამზადებლად—30.000 მანეთი, მეფუტკრეობისათვის—60.000 მანეთი, მემინდვრეობისათვის—35.000 მანეთი და სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა საწარმოო თანხები გასაძლიერებლად—20.000 მანეთი.

შეღავათიანი ბილეთები

ექსკურსანტებისათვის

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. გამგეობასთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო კომიტეტმა დაამტკიცა დებულება, რომლის თანახმად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პროფსაბჭოების მიერ ჩატარებულ ექსკურსიების დროს, ექსკურსანტებს ბილეთები მიეცემად 50 პროცენტით შეღავათიან ფასებში. აღნიშნულ რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს ამა წლის 1-ლ ოქტომბრამდე მიეცემად სულ—7.500 ბილეთი, ამიერ-კავკასიის ფარგლებში ექსკურსიების ჩასატარებლად. რაც შეეხება ექსკურსიების მოწყობას საბჭოთა კავშირში, აღძრულია შუამდგომლობა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე 3.000 შეღავათიანი ბილეთის დათმობის შესახებ.

საუწყებათაშორისო სატარიფო კომიტეტმა დააწესა აგრეთვე მტკიცე ტარიფი ბილეთებზე თბილისიდან მცხეთამდე თანახმად ტარიფისა, თბილისიდან მცხეთამდე (უკან დაბრუნებით) ბილეთები ექსკურსანტებისათვის ეღირება 50 კაპეიკი იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილი იქნება ჯგუფური ექსკურსია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 500-დე კაცი.

ავიაქიმში

მიღება სამხედრო-საჰაერო სკოლებში

საქ. თავდაცვა-ავიაქიმში მიღებული ცნობების თანახმად, მიმდინარე წლის 15 მაისიდან 10 ივნისამდე იწარმოებს მიღება სამხედრო საჰაერო სკოლებში.

ადგილობრივი მიმღები კომისიები მუშაობას შეუდგებიან 15 მაისს. ცენტრალური კომისია იმუშავებს 20 მაისიდან 10 ივნისამდე.

მსურველებმა განცხადებები უნდა წარადგინონ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში, სადაც ისინი მიიღებენ ყველა საჭირო ცნობებს.

მუშაობა თადარიგის მეთაურთა შორის

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ დაუგზავნა ადგილებს მიწერილობა, რომელშიც ნათქვამია, რომ თადარიგის მეთაურნი და პოლიტშემადგენლობა მაქსიმალურად უნდა იქნან ჩაბმული ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობაში. თადარიგის მეთაურნი გამოყენებულ უნდა იქნან აგრეთვე ავიაქიმის წრეების და რაზმების ხელმძღვანელებათ.

რკინისგზებზე

საექსკურსიო მატარებელი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო კვირას 29 აპრილს აწყობს მასიურ ექსკურსიას ზაჰესში. ამ მიზნით პროფსაბჭომ სთხოვა ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობას დანიშნოს ამ დღეს სპეციალური მატარებელი თბილისიდან მცხეთამდე.

გზის გამგეობამ საქართველოს პროფსაბჭოს თხოვნა დააკმაყოფილა და გადასწყვიტა 29 აპრილს მცხეთამდე დანიშნოს სპეციალური საექსკურსიო მატარებელი, რომელიც დაიტევს 2.000-ზე მეტ მგზავრს. მატარებელი თბილისიდან გავა დილით და დაბრუნდება საღამოს.

შემთხვევა ეიბათ-ფუთას შუა

26 აპრილს ეიბათ-ფუთას შუა გაჩერდა სამარშრუტო მატარებელი, შემადგენლობა სადგურში ჩაიყვანეს ორ ნაწილად.

შემადგენლობის პირველი ნაწილის წაყვანის დროს ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: მას გზაში მოსწყდა ექვსი ცისტერნა. ორთქლმავალი უკან გაბრუნების დროს მე-867 კილომეტრზე დაეჯახა მოწყვეტილ ცისტერნებს. დაჯახების დროს ორთქლმავლის ტენდერი გადავარდა ლიანდაგიდან, დაზიანდა ერთი ცისტერნა. შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებელი. მოძრაობა შეწყვეტილი იყო 7 ნახევარ საათის განმავლობაში.

მატარებლის გაწყვეტა

26 აპრილს აქსტაფიდან გაგზავნილი საბარგო მატარებელი აქსტაფა-შაქარლის შუა კავის მოტეხის გამო გაწყდა და შაქარლიში ჩაიყვანეს ორ ნაწილად.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მატარებლების მოძრაობის შეფერხება.

წყალსადენი საჭილაოს ქარხანაში

გადაწყდა ამხ. ვ. პოზდეევის სახელობის ხე-ტყის სახერხავ ქარხანაში (საჭილაოშია) ხანძრის საწინააღმდეგო წყალსადენის გაყვანის საკითხი.

ამ მიზნისათვის ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობამ გასცა 8.000 მანეთი.

ფიზკულტურა

ფიზკულტურა წითელ არმიაში

წითელ არმიაში ფიზიკური კულტურის განვითარების შესახებ, ამიერ-კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრის ფიზიკური მომზადების უფროსმა ამხ. გ. ბერელაშვილმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

ზაფხულის პერიოდის დაწყების გამო, ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წითელი არმიის ფიზიკურ მომზადების საქმეს, რაც გამოიხატება მებრძოლთა ფიზიკურ გაწვრთნაში, დიდი ლაშქრობების ჩატარებაში, სირბილში, მარშ-ლაშქრობაში, ხელოვნურ და აგრეთვე ბუნებრივ წინააღმდეგობათა დაძლევაში და საერთო ბრძოლისათვის მომზადებაში.

ფიზიკური მომზადების საზაფხულო პროგრამაში შეტანილია, როგორც სამხედრო სწავლის, აგრეთვე სკოლის გარეშე სავალდებულო ვარჯიშობანი. რომელსაც რამდენიმე საათი უნდა დაეთმოს ყოველ კვირაში. ფიზკულტურის პოპულარიზაციის მიზნით ზაფხულის პერიოდში წითელ არმიაში ჩატარებულ იქნება მასიური სამხედრო-სასპორტო შეჯიბრებები ცალ-ცალკე ასეულებსა, ათასეულებსა, ლეგიონებსა და დივიზიებს შორის და აგრეთვე შეჯიბრებები მთელი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პირველობაზე. მოსახლეობის გასამხედროების მიზნით, ყველა ამ შეჯიბრებში მონაწილეობის მისაღებად წითელ არმიასთან მიმაგრებული იქნება აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციებიც.

მიმდინარე წლის ზაფხულში თბილისში ჩატარდება სამხედრო-სასპორტო შეჯიბრი სროლაში კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრის ნაწილებს შორის.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 27 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** შალვა ლებანიძე; თინა გოშთელიანი; ნატალია გაბრიშვილი, ელენე ცატუროვა; ივანე მელქუმანიძე; ვარსენიკ გაბაევა; ნატალია ალექსიშვილი; შუშანა არარატიანი; სარგის აბალიანი; გრიგოლ პეტროსიანი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ნადეჟდა ოჯახოხიძე; ეკატერინე ხავლეშვილი; სვანიძე; სურგო ანასხოვი; ანდრო ანდრონოვი; მიხეილ ივანოვი; ლეონ დავიდოვი; ალექსი ჩხარტიშვილი; თამარ ბაუმანაშვილი; ალექსანდრე კორტაშვილი; დავით როტინოვი; ნაზარეთ ავეტისახი; ნინო მჭედლიძე; არტემ ღარიბოვი; ეკატერინე სოთაძე; ტიგრან ვართანოვი; გრიგოლ ჯელია; მიხეილ ფოცხიშვილი; ალექსანდრე კვეხიევი; სოფიო იუზბაშევა; მარიამ ხუდანიანცი; საჯიანცი; მარიამ ახალდიანი; სამსონ უნჯიშვილი; შალვა შალიკაშვილი; იოსებ ჯაბადარი; პარმენ სალენაშვილი; სუსანა ბეგიევა; დარია კევლიშვილი; ალექსანდრე ბაქრაძე; სოფიო ბაშკიანი; მარიამ ნაზარეტიანი; ნინო მანთელოვა; ანტონინა კიკნაძე და თამარ მაისურაძე. **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** სტეფანე მირუაშვილი; ვართან ტომაშევსკი; მარიამ მოსკოვა; ნიკოლოზ ხარებოვი; სამსონ კურტანიძე; სიმონ ჭაპოშვილი; ვლადიმერ გავაშელიშვილი; მარიამ ილინა და სოფიო რომანენკო. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** მიხეილ გაგლოშვილი; ზაქარია კაზიშვილი; ა. სიუკოვევი; ალექსანდრე მალატიძე; მიხეილ დავარაშვილი; გრიგოლ დურმიშიანც, გაბო უთარაშვილი; თედორე გოროხოვი; არაქელ ვართანოვი; რუბენ კაზაროვი; სედრაკ მხითაროვი; ლეონ ტემსოვი; არუთინ კარაპეტიანი; ნიკოლოზ გრიგორიანი; ქ. პავლიაშვილი და შაუნ არუთინიანი. **მედ. მუშაკთა სექციიდან:** ანნა გინზბურგი; ნაუმ კევშოვი; მიხეილ ფოქი; იოსებ შუბლოვსკი და რახილ ედლინი.

ნარევი

გემებისა და აეროპლანების მართვა რადიოთი

ამ რამოდენიმე ხნის წინად სკაპ-ფლოუსთან (სამხედრო-საზღვაო ბაზა ჩრდილოეთ-ინგლისში) გაიმართა ინგლისის სამხედრო ფლოტის მანევრები. სანიშნეთ ყუმბარებისათვის გამოყოფილი იყო ძველი სამხედრო გემი, რომელსაც რადიოს საშუალებით მართავდენ. გემზე არ იმყოფებოდა არც ერთი კაცი. მიუხედავათ ამისა გემი ასრულებდა რთულ მანევრებს, რომლის გეგმას ამუშავებდნენ ნაპირზე და 50 კილომეტრის მანძილზე მყოფ გემის მიმღებ აპარატებს გადასცემდენ რადიოთი. კროიდონის (ინგლისში) აეროპლანზე მოახდინეს ცდა. აეროპლანი, რომელზეც არ იმყოფებოდა მფრინავი, ჰაერში აკეთებდა ყირამალა წრეებს და სხვა რთულ ტრიუკებს.

დირიჟაბლით ოკეანეზე

ინგლისში ამჟამად შენდება უზარმაზარი დირიჟაბლი, რომელიც დანიშნულია რეგულიარული საჰაერო მიმოსვლისათვის ევროპა - ამერიკას შუა. თავისი სიდიდით ახალი დირიჟაბლი ორჯერ სჭარბობს მსოფლიოში ამჟამად არსებულ ყველა უდიდეს დირიჟაბლებს. დირიჟაბლის მოცულობა უდრის 250.000 კუბიკურ მეტრს, სიგრძე—300 მეტრს. დირიჟაბლის მოტორების საერთო ძალღონება უდრის 10.000 ცხენის ძალას, რაზმი შესდგება—30 კაცისაგან; დირიჟაბლს შეუძლია 120 მგზავრის წაყვანა. გადაფრენას ამერიკიდან ევროპაში მოუნდება 38 საათი. უკან—48 საათი (უკან გადაფრენას მეტი დრო იმიტომ უნდა, რომ ატლანტის ოკეანეზე მუდმივად ქრის აღმოსავლეთის ქარი, რომელიც აადვილებს ამერიკიდან ევროპაში გადაფრენას და აძნელებს გადაფრენას ევროპიდან ამერიკაში). მგზავრობა ეღირება 800 მანეთი. დირიჟაბლი მზად იქნება ივნისში.

რადიო გადაცემა

პარასკევი, 27 აპრილი.

დღეს, 27 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მუშათა უნივერსიტეტების ამოცანები და მიზნები—მოხსენება ქართულ ენაზე.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—თურქულ ენაზე.

აზერბეიჯანის გასაბჭოების 8 წლის თავი—მოხსენება თურქულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევანი—რუსულ ენაზე.

მ. გორკის ნაწერების მხატვრული კითხვა—რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხვალ, 28 აპრილს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტ. კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.) შესდგება ყველა ნაბეჭდ და კედლის გაზეთების მუშკორთა საერთო საქალაქო კრება.

დღის წესრიგშია: მოხსენება კომუჯრედების ბიუროს ხელახალ არჩევნებში მუშკორებისა და პრესის მონაწილეობის შესახებ.

კრებაზე მოწვეულნი არიან ყველანი, როგორც კომპარტიისა და კომკავშირის წევრ-კანდიდატები, აგრეთვე უპარტიონიც.

დღეს, 27 აპრილს, დღის 2 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: ს. მამულია, კ. მეგრელიძე (საქართველოს კომ. პარ. (ბ) ც. კ. აგიტ-პროპ. განყოფილებიდან), დავით კანდელაკი, ვ. კანდელაკი (განათლების სახ. კომისარიატიდან), მალ. ტოროშელიძე, ლავროსი სალუქვაძე, კ. ხულაჭველიძე და სიმონ ხუნდაძე (სახელმწიფო უნივერსიტეტიდან), ზახაროვი, სამოხვალოვი (ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმიდან); სულენტერ რუხაძე (ქართულ მუშფაკიდან); სურახატიანი (სომხურ მუშფაკიდან); პისტრიკი (რუსულ მუშფაკიდან); გულთიანი (ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტიდან); მახათაძე (საქ. ახ. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტიდან), არიბეკოვი (საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტიდან); გეგენავა (პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროდან); შ. დუდუჩავა (სამხატვრო აკადემიიდან); და არჩილ მიქაძე (განათლების მუშაკთა კავშირიდან).

—:—

საქართველოს ახ.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 27 აპრილს, საღამოს 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) შესდგება საქართველოს ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მესამე გაფართოებული პლენუმი, კომკავშირის რაიკომებისა პლენუმებთან, უჯრედების ბიუროს წევრებთან და მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგშია: მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ, საქართველოს ახ.ლ.კ.კ. თბილისის ორგანიზაციის კომიტეტების რაციონალიზაციის შესახებ.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე სტუდენტთა კლუბში მოწვეულია საექიმო ფაკულტეტის პარტიის და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული პარტ-კოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 27 აპრილს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია პარტკოლექტივის და ახ.ლ.კ.კ. უჯრედების გაერთიანებული კრება. პარტიისა და კომკავშირის წევრკანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 27 აპრილს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია პარტ-კოლექტივის და ახ.ლ.კ.კ. ბიუროს გაერთიანებული სხდომა ფაკულტეტის საბჭოს და საგნობრივ კომისიების წევრებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: გიორგი ტოლევი; მაქსიმე ჩხენკელი; მიხეილ კახიძე; გიორგი ყიფიანი; კარპეზ კანდელაკი; შალვა დოლიძე; სოლომონ გოგიძე; მიხეილ გოგოლაშვილი; ატონინა ხოხლენკო; ეგნატე სალუქვაძე.

უნდა გამოცხადდენ აგრეთვე ყველა ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალური პარტიული სკოლის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის მე-2 კურსის კურსანტის, საუკეთესო მუშაკის

ამხ. ანტონ ანდრიას-ძე ჭანტურიას

უდროოდ გარდაცვალებას ა. წ. 25 აპრილს, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2211

ც. პ. ს. კურსანტები: დუნდუა, ჭანტურია, მხეიძე, კბილაძე, პაიჭაძე, კორტავა, კარიაული, ესაკია, ჯიბლაძე, ხუბულავა, თოდუა, მირიანაშვილი, გვენცაძე, ბურკაძე, კიზირია და ანჯაფარიძე აუწყებენ საზოგადოებას ძველი კომკავშირელის ს. კ. პ. (ბ) კანდიდატის, ენერგიით აღსავსე

ამხ. ანტონ ანდრიას-ძე ჭანტურიას

უდროოდ გარდაცვალებას ა. წ. 25 აპრილს, საღამოს 8 საათზე. 2213

ღრმათ დამწუხრებული შვილი ირაკლი მითაიშვილი, დისშვილები: ვანო, ლიდა და ნინა აფხაზავები აუწყებენ მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ათინო

დასაფლავება მოხდება 28 აპრილს, შაბათს, 3 საათზე, ჯუმათში (გურია). 2202

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე იუსტინე მიხეილის-ძე კანდელაკი, რძალი ანიჩკა კანდელაკისა, შვილები: კოტე, ლილი და ანიჩკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

პელაგია (გვრიტია) ბაბანის ასული კანდელაკისა

რომლის დასაფლავება მოხდება შაბათს, 28 აპრილს, საათის 1, ს. კულაშში. 2203 2—1

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: სამსონი და სოფიო შვილებით: ანდრია, ბონდო, ელენე, პეტრე და ნუცა გრიგოლიები აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ, რომ ა. წ. 25 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თამარ სამსონის ასული მჭედლიშვილისა

დაკრძალვა კვირას, 4 საათზე. 2205

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თომა, შვილი თენგიზი, მამამთილი ნიკოლოზი მეუღლით დ შვილებით: დავითი და ლიზიკო მჭედლიშვილები და სიძე ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 25 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თამარ სამსონის ასული მჭედლიშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი 27 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე ალექსანდროვის ქ. № 49, გამოსვენება კვირას, 29 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2204 2—1

	სახკინმრეწვის თეატრები		
აპოლო	სეზონის საუკეთესო კომედია	ნამდვილი მამაკაცი	მთავარ როლში კარმენ ბონი
არფასტო	კომიკური ფილმი	მოსამსახურე ყველაფრისათვის	ბეტი ბალფურის მონაწილეობით
სოლეი	რევოლიუციონური ფილმი	ოქტომბერი	სცენარი და დადგმა ეიზენშტეინის და ალექსანდროვის
დარბაზი	ტარზანი სურათში	„ბუქონის ნაპირთა საიდუმლოება"	3 და 4 სერია
ოდეონი	უკანასკნელად თბილისში	ვარიეტე	
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელად თბილისში	ნიშანი ზერო	დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

ანონსი: მალე მხატვრული სურათი „კრაზანა" საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები. 0—20

საქართვ. სახ. დაზღვ. თბილისის მაზრის

სააგენტოსაგან

საქ. სახ. დაზღ. თბ. მაზრის სააგენტო ამით აცხადებს, რომ

ალექსანდრე ესტატეს ძე თარხნიშვილს

სააგენტოს სახელით მიუღია ფული,—ცეცხლისაგან ნებაყოფლობითი დაზღვევის პრემია, სხვადასხვა დაწესებულებებიდან. თარხნიშვილს, სააგენტოდან არავითარი მინდობილობა არ ქონია ფულის მიღების შესახებ და არც დაზღვევის ქვითარი, რომლის გარეშე დაზღვევა არ შეიძლება ჩაითვალოს დადებულად

2201 სააგენტო.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

დიმ. დ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 30 აპრილს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 6 (მე-3 შრ. კოლ. ყოფ. სასადილო) საბაქოს ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მე-3 შრომის კოლექტივის მოძრავ ქონებას: სპილენძის ქვაბებს, დანა-ჩანგლებს, თეფშებს, მაგიდებს. დაბეჭდილ ღვინოებს, არაყს და სასადილოს სხვადასხვა მოწყობილობას შეფასებულს 442 მანეთად, საკვების კავშირის და ა. სიხარულიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 2 აპრილის 1928 წ. თარიღით, № 1128 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1011

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ქ. ქუთაისი

ექ. თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, სალ. 4—6 საათ. 25—9

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. სალ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სახქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორესის ქ. კუთხე.

იყიდება სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება ქ. ოზურგეთში ილიკო გოგელიასთან და პოლიკარპე ინწკირველთან. 2—2 ნ. 745

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერები მარიამ და მურმან ისაკაძეების სახელზე, ჩ. გ. 2209

დავკარგე: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 20191 ბენია ანტონისძე დოლიძის სახელზე, ჩ. გ. 2212

დავკარგე: პირადობის მოწმობა მარიამ სტეფანეს ასულის აბაშიძეს სახელზე, ჩ. გ. 2199

დავკარგე: შორ. მაზრის განათლების მუშაკთა კავშირიდან გაცემული საწევრო წიგნაკი № 224381 ბაგრატ სამსონის ძე მაჭარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2200

დავკარგე: პირადი წიგნაკი № 136 სამსონი გვილავას სახელზე, ჩ. გ. 2207

დავკარგე: საანგარიშო წიგნაკი № 2173 ბეგლარ ქიქალუას სახელზე, ჩ. გ. 2211

დავკარგე: პირადი წიგნაკი № 25 ბათლომე ჯახუას სახელზე, ჩ. გ 2207

დავკარგე: სამხედრო საალრიცხვო ბარათი კასიანე ბარამიძის სახელზე, ჩ. გ. 2207

დავკარგე: პირადობის მოწმობა 189 და სამხედრო წიგნაკი № 113 ვალერიანე მიქავას სახელზე, ჩ. გ. 2210

დავკარგე: მიწა-ტყის 3 | კავშ. საწევრო წიგნაკი № 473—24 წლ. აპოლონ კარტოზიას სახელზე, ჩ. გ. 2206

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 1699 და თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი პარმენ ისაკაძეს სახელზე, ჩ. გ. 2208

პოლიგრაფტრესტის მე-ა-ე სტამბა, კამოს ქ. № 64